ომგადახდილი მეხნიერები

თბილისი — 2000

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს მოკლე ნარკვევების კრებულს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე მეცნიერთა შესახებ, რომლებიც ომის დაწყებამდე ეწეოდნენ მეცნიერულ მოღვაწეობას ან ომიდან დაბრუნების შემდეგ ჩადგნენ მეცნიერების სამსახურში. ფაშისტური გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ იარაღით ხელში ბრძოლასთან ერთად მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს სამამულო მეცნიერების განვითარებაში.

კრებული გათვალისწინებულია ფართო მკითხველისათვის სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ამ პიროვნებათა ღვაწლის გასახსენებლად.

კრებული მომზადდა ავტორთა კოლექტივის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

შემდგენელი ბრიგოლ ბრეგაძე

რედაქტორი მაყვალა ნათმელაძე

რეცენზიენტები: კარლო ცაიშვილი
ვლადიმერ ასათიანი

წინათქმა

მეორე მსოფლიო ომი, რომელიც გერმანიის ფაშისტური ბლოკის ქვეყნებმა მოახვიეს თავს მსოფლიოს ხალხებს, უპრეცედენტო იყო კაცობრიობის მიერ გადახდილ ომთაგან თავისი მასშტაბის, ადამიანთა მსხვერპლისა და მატერიალურ ფასეულობათა განადგურების მხრივ. ომმა მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტის 100 სახელმწიფო. მაგრამ ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ, რომელშიც საქართველო მონაწილეობდა, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკათაგანი. არა ერთმა ქართველმა და საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელმა ისახელა თავი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მებრძოლთა შორის იყვნენ მეცნიერ მუშაკები და ისინიც, რომლებიც ომში თავიანთი მოქალაქეობრივი ვალის მოხდის შემდეგ დაუბრუნდნენ მშვიდობიან შემოქმედებით შრომას მეცნიერებაში და აქაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამამულო მეცნიერების განვითარებაში. მათი ამ დამსახურების გამომზეურება თუნდაც მოკლე ნარკვევების სახით გახდა წინამდებარე კრებულის მომზადების მიზანი.

სადღეისოდ უკვე გამოქვეყნებულია მედიცინის დარგის ომგადახდილი მეცნიერების შესახებ ნარკვევების ორი სქელტანიანი წიგნი. გამოიცა ასევე კრებულები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაომარ პროფესორ-მასწავლებელთა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა შესახებ. აღნიშნული კრებულებისაგან განსხვავებით, ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული წინამდებარე ნარკვევების კრებული არ იზღუდება მხოლოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემის ინსტიტუტებში მომუშავე ომგადახდილი მეცნიერებით. კრებულში შეტანილია ნარკვევები სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში მომუშავე ომგადახდილ მეცნიერთა შესახებ.

მეცნიერების მოღვაწეთა საბრძოლო გამოცდილების განზოგადებას დიდი პატრიოტული მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავდადების სულისკვეთებით აღზრდისათვის. მეორე მსოფლიო ომში ქართველი ხალხის შვილების მონაწილეობის საკითხების მეცნიერულ გაშუქებაზე ზრუნვა არ უნდა შეწყდეს. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება-განვითარებისათვის.

აბულაძე გრიგოლ იაკობის ძე

დაიბადა 1922 წლის 25 დეკემბერს, ჩხარის რაიონის ახალ თერჯოლაში. 1941 წ. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. 1941 წლის იელისიდან მამაცურად იბრძოდა სმოლენსკთან, სადაც დაიჭრა და კონტუზიაც მიიღო. მოსკოვის მისადგომებთან კონტრშეტევის ოპერაციისას იგი მეორედ დაჭრეს, მაგრამ მაინც არ დაუტოვებია ბრძოლის ველი. 1942 წლის იანვარ-მარტში იბრძოდა ყირიმში, სადაც მიიღო მძიმე ჭრილობა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ 1943-46 წლებში ნახევრად დაინვალიდებული იცავდა საქართველოს სამხრეთის საზღვრებს და მხოლოდ 1946 წ. დეკემბერში დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას. 1947 წ. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1952-1955 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში. 1956 წ. დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, 1968 წ. მიენიჭა დოცენტის წოდება. დაწერა 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის ორი მონოგრაფია, რომლებშიც გაშუქებულია უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები.

40 წელზე მეტია გრ. აბულაძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შემდეგ ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტში, სადაც იგი არჩეულია ომისა და შრომის ვეტერანთა საინსტიტუტო საბჭოს თავმჯდომარედ.

გრ. აბულაძეს დამსახურებული აქვს „სამამულო ომის I ხარისხის ორდენი“ და მრავალი მედალი, მათ შორის „მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ადამია დავით ნესტორის ძე

დაიბადა 1914 წ. ხონის რაიონის ს. მათხოჯში, გლეხის ოჯახში. აქეე გაატარა ბავშვობა და ყმობა, მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება 1922-1933 წლებში. 1937 წ. კი წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და 1938-1949 წლებში ასპირანტურა. 1941 წ. დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და დაიწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე, მაგრამ 1941 წლის ივნისში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის ორდენები", მედლები. დაიღუპა მძიმე ჭრილობების მიღების შედეგად.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე, კავკასიის უღელტეხილებზე იბრძოდა დავით ადამიას უფროსი ძმა შალვა ადამია და მძიმე დაჭრილი დაუბრუნდა საქართველოს. დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მიიღო დოცენტის წოდება და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მან შესანიშნავად აღზარდა თავისი შვილი რობერტ ადამია, რომელიც არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და მუშაობს ქუთაისში მანქანათმშენებლობის სპეციალობით.

აზიროვი არტემ ივანეს ძე

დაიბადა 1922 წლის 19 დეკემბერს თბილისში, მუშის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაუსწრებლად დაამთავრა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტი და მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა.

1941 წ. ა. აზიროვი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. დაეუფლა სამხედრო საქმეს და

1942 წ. გახდა ლეიტენანტი. იგი თაედადებით იბრძოდა ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე. იგი ჯერ იყო ოცეულის, შემდეგ კი ასეულის მეთაური. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში იგი დაიჭრა და 1944 წლის მაისიდან მოქმედი არმიიდან გაანთავისუფლეს როგორც ინვალიდი. დაუბრუნდა სამოქალაქო საქმიანობას. 1944-46 წლებში იყო პედაგოგიურ, სამეურნეო და პარტიულ სამუშაოზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. 1947-1988 წლებში მუშაობდა საქართველოს პარტიულ ორგანოებში. იყო თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიკომის ინსტრუქტორი, მეორე მდივანი, შემდეგ საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორი, პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე და ბოლოს - ოქტომბრის სახ. რაიონის რაიკომის პირველი მდივანი. პარტიულ მუშაობას კარგად შეუთავსა სამეცნიერო მუშაობა, გამოაქვეყნა შრომები. დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამჟამად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ა. აზიროეი დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“, „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით „შრომითი მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვ. დაჯილდოებულია აგრეთვე საქართველოს უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

არახამია შოთა გიორგის ძე

(1919-1994)

დაიბადა 1919 წლის 14 ოქტომბერს ჩხორო-წყუს რაიონის ს. საბუეში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1935 წ. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი და 1939 წ. მიიღო ეკონომისტის სპეციალობა. ამავე წლის სექტემბრიდან 1941 წლის იენისამდე მუშაობდა გალის რაიონული სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამმართველოს ეკონომისტ-მგეგმავად.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველსავე დღეებში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში და მსახურობდა 15 წლის განმავლობაში. 1954 წ. დაბრუნდა ჯარიდან კაპიტნის წოდებით.

1941-1942 წლებში იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში. შემდგომ მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე - იყო ათასეულის მეთაურის მოადგილე, პოლკის პროპაგანდისტი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კავშირგაბმულობის კურსების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ შ. არახამია წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას.

1954-1959 წლებში მუშაობდა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1959-1994 წლებში იყო თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის ჯერ უფროსი მასწავლებელი, შემდეგ კი კათედრის დოცენტი.

1964 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მის კალამს ეკუთვნის 34 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ოთხი მონოგრაფია. იგი მონაწილეობდა მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის მუშაობაში. იგი აირჩიეს პროფესორად.

შ. არახამია გამოირჩეოდა შესანიშნავი ადამიანური თვისებებით, იყო თავმდაბალი, ოჯახისა და მეგობრების მოსიყვარულე, საშშიბლისათვის თავდადებული. მან დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და 10 მედალი, მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ასათიანი იოველ ერასტის ძე

დაიბადა 1907 წლის 14 მარტს ქუთაისში. 1925 წ. დაამთავრა ქუთაისის მეორე შრომის სკოლა და ამავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში იყო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის წევრი და მწერალ-

თა კავშირის ქუთაისის განყოფილების პ/მგ მდივანი. 1925-1926 წლებში ქუთაისის პოლიტიკურ ჟურნალებში ბეჭდავდა ლექსებს. 1930 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი და გაიწვიეს წითელ არმიაში, სადაც მუშაობდა გაზეთ „წითელ არმიელის“ პ/მგ მდივნად. 1931 წელს მიიღეს კომუნისტური პარტიის რიგებში და მიაველინეს ლენინგრადში ერთწლიან ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ - 1932 წ. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა ი. ასათიანს მიანიჭა დოცენტის წოდება და 1933-1935 წლებში საშუალება მისცა კვალიფიკაცია აემაღლებინა ლენინგრადის წითელი პროფესურის ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილებაზე. ლენინგრადიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1935-1940 წლებში იყო ჯერ ჭიათურის რაიონის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე, შემდეგ - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტი.

1941-1945 წლებში ი. ასათიანი იმყოფებოდა სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე (კავკასიის მარუხის ულელტეხილზე, სტალინგრადში და სხვ.) პოლიტმუშაკის თანამდებობზე. 1946 წ. კაპიტნის წოდებით დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1953 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მოიპოვა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1969 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს სამი მონოგრაფია, რამდენიმე ცალკე შრომა და სტატიები. მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

1994 წ. გამოქვეყნდა იოველ ასათიანის მონოგრაფია „ილია ჭავჭავაძე და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკი“, რომელიც გახდა მისთვის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების საფუძველი 1995 წ.

ომგადახდილმა მეცნიერმა და პედაგოგმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და 11 medალი, მათ შორის: „მამცობისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“ და საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

აფაქიძე ანდრია მელიტონის ძე

დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს, სენაკის მაზრის ს. ზანაში, ხელმოკლე თავადიშვილის ოჯახში. აქვე მიიღო ა. აფაქიძემ პირველდაწყებითი განათლება, 1931 წ. კი დაამთავრა ქ. ახალსენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი და გაგრძელა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც თავიდანვე მიიქცია ახალი ქართული არქეოლოგიის უფროსის პროფ. გ. ნიორაძის ყურადღება და მისი წინადადებით, 1936 წ. მონაწილეობდა წყალწითელას ხეობის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ეხმარებოდა თავის პროფესორს საკაციის პალეოლითური მღვიმე-საცხოვრისის გათხრა-გამოკვლევაში.

1937 წ. ა. აფაქიძემ წარჩინებით დაამთავრა იავანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობით - ძველი ქვეყნების ისტორია და 1937-1940 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში არქეოლოგიის კათედრაზე, პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. 1936 წ. ა. აფაქიძე აკად. ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომელი გახდა.

1941 წლის 21 მაისს ა. აფაქიძემ იე. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1941 წ. გაზაფხულზე ა. აფაქიძე კვლავ მცხეთაშია. ის განაგრძობს საველე გათხრით სამუშაოებს არმაზისხევთან და თანაც მას დაეკისრა ხელმძღვანელობა ბაგინეთის - არმაზი-ციხის გათხრებისა.

1941 წლის იელისის დასაწყისში ა. აფაქიძე უკვე თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტია, ხოლო, იმავე წლის 26 დეკემბერს იგი განაწესეს სტალინგრადის სამხედრო ოლქის არტილერიის უფროსის განკარგულებაში და 1941 წლის დეკემბრიდან მისი სამხედრო სამსახური დაუკავშირდა სტალინგრადის, ყირიმისა და კავკასიის დაცვას.

1942 წლის 8 აგვისტოს ლეიტენანტმა ა. აფაქიძემ ფაშისტთა ჯარის შენაერთთან ბრძოლაში მძიმე ჭრილობა და კონტუზია მიი-

ღო. 1942 წ. 10 ოქტომბერს მწყობრიდან გამოსული ლეიტენანტი ა. აფაქიძე გაიგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც მოღვაწეობს დღემდე. 1942 წლის დეკემბრიდან იქ ი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი; 1943 წლიდან - საქარველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი; 1952-1972 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელად და ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგედ.

1959 წელს ა. აფაქიძემ, პირველმა ქართველ არქეოლოგთაგან, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1967 წ. მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1983 წ. აკადემიკოსად.

1980 წლიდან ა. აფაქიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმდივანია, ხოლო 1986 წლიდან ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების ხელმძღვანელი.

დიდად მნიშვნელოვან სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობის კვალდაკვალ ა. აფაქიძე ეწევა ფართო საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს - 1952-1973 წლებში თხრის და იკვლევს ბიჭვინთის ნაქალაქარს, რომლის შედეგები ასახულია სერიაში „დიდი პიტიუნტი - არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები", რომლის სამი ტომი გამოვიდა 1975-1978 წლებში. 1975 წლიდან ის უბრუნდება დიდ მცხეთას, ხოლო უკანასკნელ წლებში მეთაურობს არქეოლოგიურ გათხრებს არმაზციხეში, წიწამურსა და ღარითისკარში. ამ კვლევის შედეგია ცნობილი კოლექტიური სერია „მცხეთა-არქეოლოგიური კვლევის შედეგები" 10 ტომად და მისი მონოგრაფია: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში".

ა. აფაქიძე თაოსანია საქართველოს არქეოლოგიაში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების დანერგვისა და შესაბამისი ლაბორატორიების შექმნისა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავისი სახელოვანი მასწავ-

ლებლის ტრადიციას აკად. ა. აფაქიძე წარმატებით განაგრძობს პედაგოგიური ხაზითაც. უმნიშვნელო როლია საქართველოს არქეოლოგიაში პირველი საკანდიდატო და პირველი სადოქტორო დისერტაციების ავტორი მოესწროს ამ დარგში ოცდაათიოდე მეცნიერებათა დოქტორის და ასამდე მეცნიერებათა კანდიდატის მოღვაწეობას.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის შესაფერისად ა. აფაქიძის მაღალნაყოფიერი შრომა და ბრძოლა დაფასდა: ის არის საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურიატი; დაჯილდოებულია: „სამამულო ომის I და II ხარისხის", „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით, საბრძოლო და სამოქალაქო მედლებით. დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით ანდრია აფაქიძე დაჯილდოდა „ღირსების ორდენით". იგი არის ქალაქ მცხეთის, ქალაქ ახალსენაკის, უდაბნოს და იყალთოს საპატიო მოქალაქე.

ალლაძე ანდრია ვასილის ძე

(1910-1975)

დაიბადა 1910 წლის 6 ივნისს რაჭის მაზრის ს. მუხლში (ამბროლაურის რ-ნი), გლეხის ოჯახში. მცირეწლოვანი დაობლდა და მისი აღზრდა უფროსმა დამ იკისრა.

1928 წ. ა. ალლაძე ამთავრებს ონის საშუალო სკოლას და ამავე წელს ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. 1930 წ. ის ამთავრებს უნივერსიტეტს და ინიშნება ჭიათურის ინდუსტრიული მუშაკისა და პედტექნიკუმის მასწავლებლად. 1932-1933 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში სამთო მსროლელი დივიზიის პირველ ქართულ პოლკში. თადარიგში გასვლის შემდეგ ისევ განაგრძობს პედაგოგიურ მუშაობას. 1933-1937 წლებში მუშაობდა გორის რ-ის საშუალო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად. 1937 წლის ნოემბერში ა. ალლაძე გორის რ-ის განათლების განყოფილების გამგედ დააწინაურეს და შეთავსებით ლექციებსაც კითხულობდა გორის პედინსტიტუტში. 1939 წლის მარტი-

დან მუშაობდა საქართველოს განსახკომის უმაღლესი სკოლების სამმართველოს ინსპექტორად, ხოლო 1939 წლის იენისიდან - საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორად. 1941 წლის 5 იელისს ა. აღლაძე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, სადაც დაჰყო 1954 წლის 30 იელისამდე და პოდპოლკოვნიკის წოდებით გაეიდა თადარიგში.

არმიაში სამსახურის დროს ა. აღლაძე იყო ჯერ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა ნაწილების შტაბების უფროსი და ოცეულის მეთაური, ხოლო შემდეგ შორეული აღმოსაელეთის პირველი წითელდროშოვანი არმიის 59-ე მსროლელთა დივიზიის პოლკის აგიტატორი და 26-ე კორპუსის ლექტორი, შემდეგ იმიერ-ბაიკალის სამხედრო ოლქის გარნიზონის ოფიცერთა სახლის განათლების უფროსი ინსტრუქტორი, ბოლოს თბილისის სამთო-საარტილერიო სასწავლებლის პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორი, თბილისის გარნიზონის სპეცნაწილის პოლიტგანყოფილების პროპაგანდისტი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის სამსახურის ოფიცერთა შემდგენლობის სწავლების ციკლის უფროსი მასწავლებელი.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას: იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, სექტორის გამგე; რამდენიმე მეცნიერული შრომის ავტორი, გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი და დოცენტი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე. დაიმსახურა „წითელი ვარსკვლავის" ორდენი და რამდენიმე მედალი, მათ შორის „იაპონიაზე გამარჯვებისათვის", „შრომის ვეტერანი", აგრეთვე საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

ახვლედიანი შარდენ ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1923 წ. ცაგერის რაიონის ს. უცხენში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებალეობის, მევენახეობის და მებოსტნეობის ფაკულტეტი და მიიღო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. 1942 წლის თებერვალში მოხალისედ წაეიდა საბჭოთა არმიაში. ამავე წელს დაამთავრა ქუთაისის უმ-

ცროს მეთაურთა სკოლა და ჩაირიცხა 392-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში. მონაწილეობდა კავკასიისათვის ბრძოლებში. 1945 წ. დემობილიზებული უბრუნდება საქართველოს და იწყებს მუშაობას სპეციალობით.

1951 წ. შ. ახვლედიანი იწყებს მუშაობას საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრაზე ასისტენტად. 1956 წ. იცავს საკანდიდატო დისერტაციას და 1956 წ. სამუშაოდ გადადის მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მუშაობს ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1978 წლიდან ხელმძღვანელობს ხეხილის სელექციის განყოფილებას. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მან სამჯერ შეავსო ხეხილის სამრეწველო ასორტიმენტი.

შ. ახვლედიანის თეორიული ხასიათის სამუშაოებიდან აღსანიშნავია ჩატარებული კვლევა ხეხილის ქართული ჯიშების წარმოების საკითხებზე, აღნიშნული სამუშაო საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა 1986 წ. 1990 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლის მანძილზე შ. ახვლედიანმა 100-ზე მეტი შრომა გამოაქვეყნა, მათ შორისაა მისი თანაავტორობით გამოცემული საქართველოს მეხილეობის ოთხტომეული. მისი აღზრდილი კადრები სასარგებლო შრომას ეწევიან სამეცნიერო დაწესებულებებსა და საწარმოებში.

ომის ვეტერანი პროფ. შ. ახვლედიანი დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის" ორდენით და 8 მედლით, მათ შორის მედლით „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და სხვ.

ბაბალაშვილი ივანე პავლეს ძე

(1905-1983)

დაიბადა 1905 წლის 2 ნოემბერს თბილისში, მუშის ოჯახში. 1914-1917 წლებში სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. 1923 წ. დაამთავრა ტექნიკუმი და შეეიდა ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში. 1925 წ. სამხედრო სკოლის საარტილერიო განყოფილე-

ბის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1936 წლამდე მსახურობდა პირველი ქართული მსროლელი დივიზიის საალტილერიო პოლკში და ეკავა სასწავლო ოცეულის, ბატარეის, საარტილერიო დივიზიონის მეთაურის თანამდებობები.

1936-1937 წლებში ი. ბაბალაშვილი სწავლობდა ლენინგრადში წითელი არმიის მეთაურთა დახელოვნების კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა 47-ე ქართულ მსროლელი დივიზიის საარტილერიო პოლკის უფროსად ქ. ქუთაისში. 1938 წ. წითელი არმიის ეროვნული შენაერთების დაშლის შემდეგ გადაიყვანეს ქ. ერევანში 76-ე მსროლელი დივიზიის საარტილერიო შტაბის უფროსად; ხოლო 3 თვის შემდეგ გადმოიყვანეს თბილისის საარტილერიო სასწავლებელში.

1939-1941 წლებში ი. ბაბალაშვილი მეთაურობდა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტთა სასწავლო დივიზიონს და დაუსწრებლად სწავლობდა მოსკოვის მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში იგი იყო 47-ე არმიის არტილერიის შტაბის უფროსი, 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური და მონაწილეობდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის განთავისუფლებისათვის.

ომის შემდეგ ი. ბაბალაშვილმა დაამთავრა კ. ვოროშილოვის სახელობის სამხედრო აკადემია ოქროს მედლით და მეთაურობდა სამხედრო შენაერთებს. შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსი. 1954-1958 წლებში მას ეკავა მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მასწავლებლის თანამდებობა. 1958 წ. ი. ბაბალაშვილი დაინიშნა წითელდროშოვანი ამირკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილედ.

1965 წლიდან გენერალ-მაიორი ი. ბაბალაშვილი თადარიგში გადასვლის შემდეგ შეუდგა ინტენსიურ სამეცნიერო-კელევით მუშაობას საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პრობლემატიკაზე. 1969 წ. დაიცვა საკანდიდატო დასერტაცია. 1972 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. მას ახასიათებდა უაღრესად მაღალი პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და პრინციპულობა მეცნიერულ მუშაობაში.

ი. ბაბალაშვილი არის 30 გამოქვეყნებული ნაშრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიის ავტორი. ამავე დროს ის არის თანაავტორი საქართველოს ისტორიის ნარკვევების მრავალტომეულის მე-8 ტომისა და სხვ. ამ ნაშრომებში გაშუქებულია მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე და ზურგში ქართველი ხალხის მონაწილეობის ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემები, კერძოდ, ქართველი ხალხის მონაწილეობა უკრაინისათვის ბრძოლებში, უკრაინისა და საქართველოს კავშირები 1941-1945 წლების ომში, ქართული ეროვნული დივიზიების შექმნა და მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში და სხვ. მან გამოიკვლია და შეჯამებული სახით წარმოადგინა საქართველოს წვლილი ფაშიზმზე გამარჯვების საერთო საქმეში. ცალკე გამოსაყოფია ფუნდამენტური მონოგრაფია „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში" (რუსულ ენაზე).

ი. ბაბალაშვილს პირველს ეკუთვნის ომის წლებში საქართველოდან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში გაწვეულთა საერთო რიცხვის (700000-მდე) განსაზღვრა, რომელიც ეფუძნება სანდო და უტყუარ დოკუმენტურ მასალებს, ამიტომაც იგი გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ივ. ბაბალაშვილს ეკუთვნის აგრეთვე საქართველოდან ომში დაღუპულთა და უგზოუკოლოდ დაკარგულთა რაოდენობის საევარაუდო განსაზღვრაც.

გენერალ-მაიორმა ი. ბაბალაშვილმა დაიმსახურა „ლენინის" — 2, „წითელი დროშის" — 2, „წითელი ვარსკვლავის" ორდენები და მრავალი მედალი.

ბაჩალიაშვილი ირაკლი ელიზბარის ძე

დაიბადა 1924 წ. საინგილოში, კახის რაიონის ს. კახში (აზერბაიჯანი), მოსამსახურის ოჯახში. 1942 წლის ოქტომბრიდან მონაწილეობდა ომში კავკასიისა და უკრაინის ფრონტებზე სერჟანტის წოდებით, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებაში. 1947 წლის დეკემბერში დემობილიზაციით დაუბრუნდა საქართველოს.

1948 წელს დაამთავრა კახის ქართული საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის, მეხილეობისა და მებოსტნეობის ფაკულტეტზე,

რომელიც დაამთავრა 1953 წელს. 1954-1989 წლებში მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კელევით ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად და უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1977 წ. დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერსო ხარისხის მოსაპოვებლად. გამოაქვეყნა 21 სამეცნიერო შრომა.

ი. ბაჩალიაშვილმა ომისა და შრომის ფრონტებზე დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და რამდენიმე მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის", „პრაღის განთავისუფლებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და „შრომის ვეტერანი".

ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე

(1917-1996)

დაიბადა 1917 წლის 17 დეკემბერს ჩოხატაურის რაიონის ს. ერკეთში, რკინიგზელი მუშის ოჯახში. 1925-1931 წლებში დაამთავრა ერკეთის შვიდწლიანი შრომის სკოლა, 1931-1932 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმში, შემდეგ ს. გორა-ბერეეულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1935 წ. 1935-1937 წლებში განაგრძო სწავლა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში, იყო პუშკინის სახელობის სტიპენდიანტი. 1938-1940 წლებში მუშაობდა ჩოხატაურის რაიონის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად და ამავე დროს დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1940 წ. მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში და 1967 წლამდე იყო მის რეგულარულ ნაწილებში, სადაც გაიზარდა რიგითი ჯარისკაციდან პოლკოვნიკამდე და გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებაც დაიმსახურა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ალ. ბერიძე იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ დასავლეთის, კალინინის, ბრიანსკის, ცენტრალურ და პირველ ბელორუსიის ფრონტებზე. კურსკის შეერილზე. იგი ბრძოლებში რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ ის არ წა-

ვიდა ბურგში სამკურნალოდ, დაკმაყოფილდა ფრონტის ჰოსპიტლებში მკურნალობით. იგი მუდამ მწყობრში იდგა.

1952-1955 წლებში ალ. ბერიძემ დაამთავრა სამხედრო-პოლიტიკური აკადემია, სადაც 1956 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1956-1960 წლებში მუშაობდა უფროს მასწავლებლად თბილისის უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში, სადაც 1960-1964 წლებში იყო კათედრის გამგე და დაიმსახურა პროფესორის წოდებაც. 1994 წ. მიიღო გენერალ-მაიორის წოდება.

1939 წლიდან ალ. ბერიძემ დაწერა და გამოაქვეყნა 50-მდე მეცნიერული შრომა.

ალ. ბერიძემ დაიმსახურა 2 „წითელი ვარსკვლავის", „სამამულო ომის I და II ხარისხის" ორდენები და 22 მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „მოსკოვის დაცვისათვის", „კავკასიის დაცვისათვის" და სხვ.

ბერიძე გრიგოლ მარკოზის ძე

(1924-1975)

დაიბადა 1924 წლის 23 სექტემბერს, ახალქალაქის რაიონის ს. ჩუნჩხაში, გლეხის ოჯახში. 1942 წელს დაამთავრა ბორჯომის №15 რკინიგზის საშუალო სკოლა. 1942-1943 წლებში მუშაობდა ახალქალაქის რაიონის ს. ქილდის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1943 წლის 16 მაისიდან გაიწვიეს წითელ არმიაში და იბრძოდა კურსკის მისადგომებთან. აქედან მოყოლებული ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა ფრონტზე, დაიჭრა რამდენჯერმე და მკურნალობდა ჰოსპიტალში. მონაწილეობდა ქ. პრაღის განთავისუფლებაში. 1947 წლის მაისამდე იმსახურა საბჭოთა არმიაში. დემობილიზებულმა 1952 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დაინიშნა გორის რაიონის ს. მეჯერისსეის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1961 წ. გრ. ბერიძე საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და მუშაობდა თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხანაში, 1970 წლიდან დანიშნეს ქართული ენის მასწავლებლად თბილისის 148-ე რუსულ საშუალო სკოლაში.

1972 წ. გრ. ბერიძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და განაგრძო მუშაობა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. იგი არის 30-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფიისა.

გრ. ბერიძემ ომისა და შრომის ფრონტებზე დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „დიდების" III ხარისხის ორდენები და 12 მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „შრომის ვეტერანი".

ბოლქვაძე სიმონ სპირიდონის ძე

დაიბადა 1913 წ. ქ. ქუთაისში, მოსამსახურის ოჯახში. სწავლა დაიწყო 1921 წ. კერძო სასწავლებელში. 1930 წ. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1931-1934 წლებში მუშაობდა რიონჰესის მშენებლობაზე მსაზველად. 1934-1940 წლებში კი სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში არქიტექტურის სპეციალობით. 1941 წლის ივნისში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. 1941-1943 წლებში მსახურობდა აეროდრომის მომსახურების 481-ე ბატალიონში, ხოლო 1943 წლიდან საავიაციო ბაზირების ერთ-ერთ ნაწილთან ერთად იმყოფებოდა რუსეთის, პოლონეთისა და გერმანიის სხვადასხვა რაიონებში. 1945 წ. დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში კაპიტნის წოდებით და დაიწყო მუშაობა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად. 1949-1957 წლებში მონაწილეობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ და ციხე-სიმაგრეთა შემსწავლელ ექსპედიციებში. 1958 წლიდან იყო მუზეუმის სწავლული მდივანი, 1966 წლიდან - მუზეუმის აღრიცხვა-დაცვის განყოფილების გამგე. 1968 წელს ს. ბოლქვაძეს მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. 1971 წლიდან იყო მუზეუმის დირექტორის მოადგილე და ფონდების მთავარი მცველი.

ს. ბოლქვაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და მედლები მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის" და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ბრეგაძე გრიგოლ ვასილის ძე

დაიბადა 1911 წლის 5 იენისს ტყიბულის რაიონის ს. ცუცხვათში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1924 წ. ცუცხვათის ოთხწლედისა და 1928 წ. ს. სანირის შვიდწლედის ფრიადზე დამთავრების შემდეგ 1929-1933 წლეში მუშაობდა ტყიბულის ქვანახშირის შახტაში, გახდა დამკერელი მ-უშა. 1932 წ. დაამთავრა სამთო-სამრეწველო სკოლა და 1933 წ. გაგზავნეს სასწავლებლად ამიერკავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1936 წელს გადაიყვანეს საქართველოს კპ ცკ-ში ლექტორად.

1936-1938 წლებში ის მსახურობდა თბილისის სამხედრო სკოლაში მასწავლებლად, სადაც დაიმსახურა უფროსი პოლიტხელის წოდება და დიდი სამამ-ულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ მიაშ-ურა ფრონტს. იბრძოდა ყირიმში (ქერჩის სამხედრო დიდების მუზე-უმში არის მისი საბრძოლო ბიოგრაფია ფოტოთი). 1942-1946 წლებში გრ. ბრეგაძე მონაწილეობდა ბრძოლებში სტალინგრადისათვის, დემიანსკის პლაცდარმზე ბლოკადაში მოქცეული ლენინგრადის სახსნელად, შემდეგ ბელორუსიაში მონაწილეობდა ოპერაციაში „ბაგრატიონი", კენიგსბერგში და ბოლოს მანჯურიაში გამართულ ბრძოლებში. 1946 წ. ყირიმში ორგზის დაჭრილი მეორე ჯგუფის ინვალიდი დაუბრუნდა საქართველოს. 1946-1953 წლებში იყო საქართველოს კპ ცკ-ის სექტორის გამგე და ჟურნ. „აგიტატორის ბლოკნოტის" რედაქტორი, 1954-1976 წლებში - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე. 1977 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის 18 მონოგრაფია. არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გრ. ბრეგაძე დაჯილდოებულია „სამამულო ომის ორი I, II ხარისხის" და „წითელი ვარსკვლავის" ორდენებითა და 16 მედლით,

მათ შორის „სტალინგრადის დაცვისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“.

ბუაძე შოთა დავითის ძე

დაიბადა 1925 წლის 11 დეკემბერს, ხონის რაიონის სოფელ ქუტირში, მოსამსახურის ოჯახში.

1942 წ. დაამთავრა ხონის საშუალო სკოლა და იმავე წლის ნოემბერში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. იყო არტირელისტი მემიზნე, ომის დამთავრების ბოლო დღემდე მამაცურად იბრძოდა სხვა და სხვა ფრონტზე კრასნოდარის, ხარკოვის, უმანსკის, ბრესლაუს მიმართულებით. დემობილიზებული იქნა ჯარიდან 1948 წლის აპრილში.

იმავე წელს შ. ბუაძე ჩაირიცხა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1952 წელს და მიიღო ფიზიკური კულტურის მასწავლებლის სპეციალობა.

შ. ბუაძე 1952-1957 წლებში სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში ფიზიკური აღზრდის და მეთოდიკის კათედრაზე. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დღემდე იგი მოღვაწეობს აღნიშნულ კათედრიზე - იყო მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, კათედრის გამგე, ხოლო 1987 წლიდან არის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე.

1967 წელს შ. ბუაძემ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1974 წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური შრომა. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ქართულ ენაზე მომზადდა და გამოცემულია სახელმძღვანელოები ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის საგანში.

შ. ბუაძემ თავი გამოიჩინა სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიცაა ძალოსნობა, იგი სრულიად საკავშირო კატეგორიის მსაჯია

ამ სახეობაში. 1988 წ. მას მიენიჭა ფიზიკური კულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

წლების მანძილზე შ. ბუაძე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას საბჭოთა კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ხაზით.

შ. ბუაძე საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია „დიდი სამამულო ომის I ხარისხის" ორდენით, საბრძოლო მედლებით, სიგელებით და სხვ.

შ. ბუაძემ თავდადებული, ერთგული მუშაობით, უბრალოობით დაიმსახურა პატივისცემა და ავტორიტეტი რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებაში.

გაბრიჭიძე კარლო ერემიას ძე

დაიბადა 1919 წ. 1941 წლის ივნისში დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. იყო ხარკოვის მე-III საგანგო სკოლაში უფროსი მასწავლებელი. ომის დამთავრების შემდეგ გადმოიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, სტაციონარული სამხედრო ავტო-სარემონტო ქარხნის უფროს მექანიკოსად, ხოლო 1946 წლის სექტემბრიდან გადავიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე უფროს მასწავლებლად. შემდეგ კათედრის გაუქმებასთან დაკავშირებით გადაიყვანეს თადარიგში.

1961 წლის სექტემბერში კ. გაბრიჭიძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1972 წლიდან ხელმძღვანელობდა მანქანათა სასწავლო პარკს კათედრის გამგის მოვალეობით, გადამდგარმა ინჟინერ-პოლკოვნიკმა, ომისა და შრომის ვეტერანმა დაიმსახურა „წითელი დროშის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენები, 12 მედალი, მრავალი ქების სიგელი.

გაგოიძე ვახტანგ ალექსის ძე

დაიბადა 1920 წლის 14 იელისს ახმეტის რაიონის ს. ქეემო ალვანში, გლეხის ოჯახში. აქეე ფრიადზე დაამთავრა შეიდწლედი, ხოლო ბაქოში მიიღო საშუალო განათლება, შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვში ნ. ჩერნიშევსკის სახელობის ისტორიის, ფილოსოფიისადა ფილოლოგიის ინსტიტუტში. .სამამულო ომის დაწყებისთანაეე გაიწვიეს მოქმედ არმიაში. იგი თავდადებით იბრძოდა დასავლეთის, ლენინგრადისა და ბალტიისპირეთის ფრონტებზე. 1941 წლის დეკემბერში გახდა ოფიცერი. იყო ჯერ ოცეულის, შემდეგ ასეულის, საბრძოლო ბატალიონის მეთაური. 1946 წლის იანვარში გვარდიის მაიორის წოდებით დაბრუნდა საქართველოში. 1949 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, 1952 წ. კი მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1953 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1964 წ. კი სადოქტორო დისერტაცია. 1952-1962 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, 1962-1993 წლებში - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრების საბჭოს თავმჯდომარე.

პროფ. ვ. გაგოიძე 100-მდე მეცნიერული შრომის აეტორია, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიისა, როგორიცაა: „ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის კრიტიკა“, „ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა“, „ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი XIX საუკუნის საქართველოში“ და სახელმძღვანელოებისა დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებმაც დაიმსახურეს უმაღლესი განათლების სამინისტროს პრემიები.

ომისა და შრომის ვეტერანი პროფ. ე. გაგოიძე დაჯილდოებულია: „სამამულო ომის I და II ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენებით და მრავალი მედლით, მათ შორის: „მამაცობი-

სათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის", „შრომითი მამაცობისათვიეს", „შრომითი წარჩინებისათვის", აგრეთვე მედლით „შრომის ვეტერანი", საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1917 წ. ცაგერის რაიონის ს. ტვიშში. დაამთავრა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია. აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1939 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრია.

1941-1943 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში, დაამთავრა ქ. თელავში იმ დროს არსებული სამხედრო სასწავლებელი. იგი არის კავკასიის დაცვის აქტიური მონაწილე, მეთაურობდა ჯერ ოცეულს, ხოლო შემდეგ ასეულს. ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდ ბრძოლებში დაჭრის მიუხედავად არასოდეს მიუტოვებია ფრონტი.

წითელ არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ კ. გარდაფხაძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, 1946-1961 წლებში ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნად.

1961-1976 წლებში კ. გარდაფხაძე იყო საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო 1977-1988 წლებში საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი.

ომისა და შრომის ვეტერან კ. გარდაფხაძეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამჟამადაც არის საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. მისი უშუალო

ხელმძღვანელობით განეითარდა საქართველოს სატელევიზიო ტექნიკური ბაზა, ფერადი სატელევიზიო მაუწყებლობა, სატელევიზიო ფილმების სტუდიისა და თუატრის საქმიანობა.

მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს აპარატისა და სისტემის მუშაობის გარდაქმნასა და გაუმჯობესებაში.

კ. გარდაფხაძის აქტიური მონაწილეობით, მის მიერ დაწერილი მრავალი პუბლიცისტური წერილი და შექმნილი სატელევიზიო ფილმები ამკეიდრებდნენ მაღალ ზნეობასა და სიკეთეს, დაუზოგავად ებრძოდნენ სიყალბესა და მანკიერებას.

ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა კ. გარდაფხაძე გამოირჩეოდა აქტიურობითა და თავმდაბლობით, პრინციპულობით, მომთხოვნელობითა და შეურიგებლობით უდისციპლინობისა და უპასუხისმგებლობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

ამიტომ აქტიური საზოგადო მოღვაწე კ. გარდაფხაძე არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობების დელეგატად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

კ. გარდაფხაძე დაჯილდოებულია: „შრომის წითელი დროშის", „სამამულო ომის I და II ხარისხის", „ხალხთა მეგობრობის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მედლებით.

გეგენავა გრიგოლ ვლასის ძე

დაიბადა 1919 წლის 25 ნოემბერს, ოზურგეთის რაიონის, ს. მამათში, გლეხის ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, სწავლობდა მოსკოვის სამხედრო-ქიმიურ აკადემიასთან არსებულ სამეთაურო კურსებზე, მაგრამ არ დაუმთავრებია ფრონტზე გაგზავნის გამო. მონაწილეობდა ბრძოლებში ჯერ სამხრეთისა და უკრაინის ფრონტებზე, შემდეგ სტალინგრადის გვარდიული მექანიზებული კორპუსის შემადგენლობაში. უკანასკნელი ფანამდებობა

იყო მექანიზებული ბრიგადის ქიმიური სამსახურის უფროსი, წოდებით გვარდიის კაპიტანი.

1946 წ. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში ლაბორანტად, შემდეგ აქვე გახდა ინსტიტუტის ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, შემდეგ-საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროორექტორი სამეცნიერო ნაწილში, კათედრის გამგე და საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

პროფ. გრ. გეგენავას გამოქვეყნებული აქვს 122 სამეცნიერო შრომა. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მოღვაწე.

გრ. გეგენავა დაჯილდოებულია „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „საპატიო ნიშნის", „შრომის წითელი დროშის" ორდენებით და მედლებით: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „ბულგარეთის განთავისუფლებისათვის", „ბუდაპეშტის აღებისათვის". ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მედლით „მეგობრობა".

გეგეშიძე მიხეილ კირილეს ძე

(1918-1982)

დაიბადა 1918 წლის 7 ოქტომბერს თბილისში, რკინიგზელის ოჯახში. 1925-1935 წწ. სწავლობდა თბილისის რკინიგზის მე-5 საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ შეიყვანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1939 წ. ჩაირიცხა ასპირანტურაში ეთნოგრაფიის სპეციალობით.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთავნავე მ. გეგეშიძე გაიწვიეს ფრონტზე. 1942 წ. ზაფხულსა და შემოდგო-

მაზე მონაწილეობდა გააფორებულ ბრძოლებში გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ კავკასიის ფრონტზე.

ომიდან დაბრუნების შემდეგ მ. გეგეშიძე აღადგინეს ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1947 წ. 1948 წ. მ. გეგეშიძე მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1949 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1951 წ. გადაიყვანეს სამუშაოდ ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ თანამშრომლად ეთნოგრაფიის განყოფილებაში, რომლის გამგე გახდა 1954 წლიდან. მ. გეგეშიძე 1952 წლიდან შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა ზოგადი ეთნოგრაფიის კურსს და უძღვებოდა სპეცკურსს საქართველოს ეთნოგრაფიაში.

1967 წლიდან მ. გეგეშიძე წარმატებით ხელმძღვანელობდა კვლევა-ძიებას კონკრეტულ სოციოლოგიაში, განაგებდა შესაბამის განყოფილებას. 1968 წ. მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. შექმნა 50-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის ფუნდამენტური გამოკვლევა „სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა", 1961).

მ. გეგეშიძემ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ეთნიკურ-ეროვნული კულტურისა და ტრადიციების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების მეცნიერულ შესწავლას ნაშრომში „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები" (1978).

აღსანიშნავია მ. გეგეშიძის სხვა ნაშრომებიც: ქართული ტრანსპორტი. ტ. 1, (1956); საქართველოს მთის ზოლის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური აქტივიზაციის საკითხები (1975) და სხვ. იგი იყო არა ერთი შრომის, კრებულის რედაქტორი, მიუკერძოებელი რეცენზენტი და ოპონენტი. ობიექტური და კეთილსინდისიერი პიროვნება, ყოველმხრივ სანიმუშო მეცნიერი, მოღვაწე, მოქალაქე.

მ. გეგეშიძეს სხვა მეცნიერებთან ერთად ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ შინამრეწველობისადმი მიძღვნილი 5-ტომიანი გამოცემისათვის 1995 წ. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ღაწლმოსილი პროფესორი მ. გეგეშიძე დაჯილდოებული იყო მედლებით „კავკასიის დაცვისათვის“ და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

გვრიტიშვილი დავით ვლადიმერის ძე

დაიბადა 1915 წლის 15 თებერვალს ქსნის ხეობის ს. იკოთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. დედის გარდაცვალების შემდეგ ობლად დარჩენილ ხუთ და-ძმას შორის ყველაზე უმცროსი დავითის ბავშვობამ შიმშილსა და გაჭირვებაში განელო. 5-6 წლის ბავშვს სახრე ეჭირა ხელში და საქონელს დასდევდა, ხოლო შვიდი წლისა უკვე მთელი სოფლის ნახირს მწყემსავდა. ამასთან ერთად შვიდწლედი ფრიადზე დაამთავრა და როგორც საუკეთესო მოსწავლე ქუთაისის პარტიულ სკოლაში გაგზავნეს სასწავლებლად, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1934 წ. მუშაობდა კომკავშირის ლენინგორის რაიკომის მეორე, შემდეგ - პირველ მდივნად.

1938 წ. დ. გვრიტიშვილმა ასევე წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1938-1941 წლებში იყი ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტი იყო. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად. 1942 წ. დ. გვრიტიშვილმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იყო პოლიტხელი და ბატალიონის კომისარი, მამაცურად იბრძოდა სტალინგრადის მისადგომებთან. გენერალ-მაიორი ნ. თაყართქილაძე თავის წიგნში „მრისხანე დღეები“ ასე იგონებს დავით გვრიტიშვილის საბრძოლო მომენტებს: მიტინგზე, რომელიც ერთ-ერთი ბრძოლის დაწყების წინ გაიმართა, დავითიც გამოვიდა სიტყვით. მებრძოლებს თვალებში ცრემლჩამდგარი უამბობდა ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს, მოაგონებდა მათ მრავალჭირნახული ქართველი ხალხის ძნელბედობის დღეებს, რომლებიც ყამთა სიავემ განაცდევინა მათ ხან-

გრძლივი ისტორიის მანძილზე, და ბოლოს თავისი გამოსვლა დასრულა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ ქართველებს, შეგნებული გვაქვს ჩვენი მოვალეობა სამამულო ომში, ვერ დამსახელებთ ვერც ერთ ფრონტს, სადაც ქართველი ვაჟკაცები გმირულად არ ყლეტენ „არიელ გველებს". ჩვენ ვიცით, რომ სტალინგრადისათვის ბრძოლა ეს თბილისისათვის ბრძოლაა. დავიცვათ სტალინგრადი — ეს ნიშნავს დავიცვათ ჩვენი დედაქალაქი თბილისი".

სტალინგრადის ბრძოლებში იგი მძიმედ დაიჭრა და 1943 წ. საქართველოში დაბრუნდა. გამოჯანმრთელების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე. 1944 წ. მან გამოაქვეყნა შრომა „ქართველი სტალინგრადელები" და მიუძღვნა იგი თავის ფრონტელ მეგობრებს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ამავე პერიოდში დაბეჭდილი წერილები პეტრე ბაგრატიონზე და კრწანისის გმირებზე.

1956-1961 წლებში დ. გვრიტიშვილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.

1953 წ. დ. გვრიტიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1955 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება. დავითის გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე გამოქვეყნდა მისი ვრცელი მონოგრაფია - „მასალები ქართველი ერის ისტორიისათვის (XII საუკუნე). სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა მან აგრეთვე თავისი სამგომეული „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან".

დ. გვრიტიშვილის სურათი ამშვენებს გმირი ქალაქის დამცველებისადმი მიძღვნილ დიდი მემორიალის კედელს სტალინგრადში.

გოზალიშვილი შალვა ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1909 წლის 4 იანვარს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში, გლეხის ოჯახში. სწავლობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში და სიღნაღის დაწყებით სასწავლებელში. 1925 წ. დაამთავრა თბილისის მეორე შრომის სკოლა.

შ. გოზალაშვილი იყო 1926 წელს ბემო ბოდბის დაწყებითი სკოლის გამგე და მასწავლებელი, 1930 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტი და 1930-1939 წწ. სხვადასხვა რაიონებში მსახურობდა მასწავლებლად. 1939-1941 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1941-1945 წლებში მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1946 წლის 26 მარტს დემობილიზებულ იქნა და განაგრძო მუშაობა საქართველოს სახელწიფო მუზეუმში. 1953 წ. მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1964 წელს კი დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

შ. გოგალიშვილი 1958-1964 წლებში მუშაობდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროს, ხოლო 1965-1064 წლებში ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1965 წლის მარტიდან კი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია.

შ. გოგალიშვილს 1985 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-ზე მეტი მონოგრაფია ალექსანდრე ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა შესახებ. მას დიდ სამამულო ომში მონაწილეობისათვის მიღებული ჰქონდა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და რამდენიმე მედალი.

გუჩუა ვიქტორ გესას ძე

(1914-1985)

დაიბადა 1914 წ. წალენჯიხის რაიონის ს. ფახლანში, გლეხის ოჯახში. ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად. 1939 წ. დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ენერგიული პედაგოგი დააწინაურეს ფახულანის საშუალო სკოლის დირექტორად. 1941-1945 წწ. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1943-1944 წლებში მამაცურად იბრძოდა პოლონეთის პარტიზანულ რაზმში.

ტყვეთა ბანაკში მან ჩაშოაყალიბა ქართველ პარტიზანთა არალეგალური ჯგუფი, რომელმაც მოაწყო ტყვეობიდან გაქცევა. ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელში. მუშაობდა საშუალო სკოლის დირექტორად.

ვ. გუჩუამ 1955 წ. დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1984 წ. კი გახდა დოქტორი. გამოაქვეყნა 50-მდე მეცნიერული შრომა.

ღრმა მეცნიერული კვლევის უნარი და ალღო ვ. გუჩუას საშუალებას აძლევდა მართებულად გადაეწყვიტა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლი, რომელიც ვიქტორ გუჩუამ დასდო საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას. პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში დაგროვილმა მდიდარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ, მას საშუალება მისცა, პროფ. შ. მესხიასთან ერთად, შეედგინა უაღრესად საჭირო სახელმძღვანელო, რომელიც დაჯილდოვდა განათლების სამინისტროს პირველი პრემიით. „საქართველოს ისტორიის“ აღნიშნული სახელმძღვანელო თარგმნილია რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ფართო მკითხველი საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა ვ. გუჩუას მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომს - „გადავხედოთ წარსულს“ (1967).

სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო აგრეთვე 1967 წელს ვ. გუჩუას მიერ პროფ. ი. ანთელავასთან თანაავტორობით დაბეჭდილმა ნაშრომმა - „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან საქართველოში“.

აქტიურად მონაწილეობდა ვ. გუჩუა საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის შექმნაში. იგი იყო III ტომის თანარედაქტორი და თანაავტორი, რისთვისაც 1982 წელს მას, ავტორთა კოლექტივთან ერთად მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ინტენსიურ მუშაობას ეწეოდა „თბილისის ისტორიის“ სამტომეულზე, როგორც ერთ-ერთი ავტორი და პირველი ტომის თანარედაქტორი. ვ. გუჩუამ დაიმსახურა საბრძოლო და შრომითი მედლები, მათ შორის „იუ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედალი“.

დავითაია თეოფილე ფარნას ძე
(1911-1979)

დაიბადა 1911 წლის 2 სექტემბერს, სენაკის რაიონის ს. ეკში. აქვე გაატარა ბავშვობა და მიიღო დაწყებითი განათლება. თბილისში კი დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1939-1941 წლებში სწავლობდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში, მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და თ. დავითაიამაც მიაშურა ფრონტს, ხელმძღვანელობდა მეტეოროლოგიურ სამსახურს. ნიჭიერად მეთაურობდა სამხედრო საპაერო ქვეგანაყოფებს ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის ფრონტებზე. ომის დამთავრების შემდეგ - 1945 წ. დაუბრუნდა მშობიდობიან შრომას, დაინიშნა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის აგროკლიმატოლოგიის ლაბორატორიის გამგედ. 1946-1950 წლებში თავისი გამოკვლევების შედეგები თ. დავითაიამ შეაჯამა ნაშრომში „ვაზის კლიმატების გამოკვლევები სსრკ-ში და მათი პრაქტიკული გამოყენების დასაბუთება". ეს იყო მისი სადოქტორო დისერტაცია. 1952 წ. გამოცემული ეს მონოგრაფია მევენახეობისა და აგროკლიმატოლოგებისათვის სამაგიდო წიგნია.

1951 წ. თ. დავითაია გადაიყვანეს მოსკოვში და 1959 წლამდე იყო სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. აქ მან დიდი შრომა გასწია სოფლის მეურნეობისა და მთელი ქვეყნის კლიმატური ატლასის შესადგენად.

1958-1959 წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მიწვეული თ. დავითაია მუშაობდა ჩინეთის ბუსებრივი დარაიონების პრობლემებზე, რასაც მოჰყვა გამოცემა მეცნიერული მონოგრაფიისა „კლიმატი და სოფლის მეურნეობა", აგრეთვე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის „აგრომეტეოროლოგია" ჩინურ ენაზე.

1960 წ. თ. დავითაია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და გადმოვიდა მოსკოვიდან საქართველო-

ში. 1962 წლიდან გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, 1979 წ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი და საერთაშორისო გეოგრაფიის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი. მას დიდი წელილი მიუძღვის კლიმატისა და ამინდის არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლის მეთოდების თეორიის დასაბუთებაში. მან დაამუშავა აგროკლიმატური დარაიონებისა და კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების მეთოდები, შექმნა კლიმატის საწარმოო შეფასების ახალი მეცნიერული მიმართულება, დადგინა თანამედროვე ცივილიზაციის ზეგავლენით ბუნებაში თავისუფალი ჟანგბადის სისტემა-კლების აქამდე უცნობი მოვლენა. 1971 წ. თ. დავითაიას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია, 1972 წ. მან მიიღო კუბის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დიპლომი და დიდი ოქროს მედალი, 1973 წელს - სსრკ სახელმწიფო პრემია.

თ. დავითაიამ მოსაწრო თავის სიცოცხლეში გამოექვეყნებინა 400-ზე მეტი მეცნიერული შრომა. იგი აღიარებულია მსოფლიო რანგის მეცნიერად. მისი სახელობის გემი „დავითაია" სერავს ზღვებსა და ოკეანეებს.

თ. დავითაიამ დაიმსახურა „სამამულო ომის I" და „II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები.

დვალი რაფიელ რაფიელის ძე
(1909-1985)

დაიბადა 1909 წლის 4 აპრილს ქ. ზესტაფონში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისში. 1931 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და გახდა ინჟინერ-მექანიკოსი. 1932-1935 წლებში იგი იყო ასისტენტი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს და უძღვებოდა სემინარებს სახელმძღვანელოების უქონლობის რთულ პირობებში ავტომობილებისა და ტრაქტორე-

ბის მშენებლობის დისციპლინებში 1937 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და დიდი სამამულო ომის დაწყებამდე იყო დოცენტი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

1941-1943 წლებში მსახურობდა მოქმედ არმიაში კავკასიისა და ამირკავკასიის ფრონტებზე. ავადმყოფობის გამო რ. დვალი 1943 წ. გათავისუფლებული იქნა ჯარიდან. იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტად. ამავე დროს იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საცდელი სადგურის დირექტორი. 1948 წ. სადოქტორო დისერტაციის დაცვისთანავე იგი გახდა პროფესორი და 1948 წლიდან ხანგრძლივ პერიოდში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომობილების, ტრაქტორებისა და ავტოტრაქტორების ძრავების კათედრის გამგე.

რ. დვალი 1950-1957 წლებში რედაქტორობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეურნალ „მეცნიერებასა და ტექნიკას". 1955 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1956-1958 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი. 1958 წ. იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და 14 წლის განმავლობაში წარმატებით უძღვებოდა ამ თანამდებობას. 1961 წ. მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1936-1985 წლებში რ. დვალმა გამოაქვეყნა 200-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მონოგრაფიისათვის „ტრაქტორის თეორია" მან 1973 წ. მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია. ამავე დროს იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის" (1959-1968წწ.) რედაქტორი, საბჭოთა და ქართული ენციკლოპედიების მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი (1975-1985 წწ.) დიდია მისი დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადებაშიც. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით 30 მეცნიერ-თანამშრომელმა და პედაგოგმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მისი მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგები ცნობილია საზღვარგარეთაც. ამის დასტურია 1971 წ. მისი არჩევა გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის (ბერლინის) უცხოელ წევრად და 1972 წელს - დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. მან დიდი და ნაყოფიერი შრომა გასწია ქართული ტექნიკური ტერმი-

ნოლოგიის შესაქმნელად. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით შეიქმნა და გამოქვეყნდა 1957-1977 წწ. ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია. რ. დვალის ავტორობითა და რედაქციით გამოსულმა დარგობრივმა და ტექნიკურმა ტერმინოლოგიის ტომებმა 1978 წ. დაიმსახურეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია.

ომგადახდილმა მეცნიერმა რ. დვალმა დაიმსახურა 2 „ლენინის ორდენი", „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და 12 მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „შრომითი მამაცობისათვის", საიბილეო ნიშანი „სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის 20 წელი", „უნგრეთის მანქანათმშენებლობის წარჩინებული ინჟინერი" და სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის დიდი ოქროს მედალი.

აკადემიკოსი რაფიელ დვალის სახელი მიენიჭა საქართველოს მეცნიერების აკადემიის მექანიკის ინსტიტუტს, ამბროლაურის პირველ საშუალო სკოლას და ქუჩებს თბილისში და ამბროლაურში.

დიდებულიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე

დაიბადა 1915 წლის 19 მარტს ქ. რიგაში, მოსამსახურის ოჯახში. 1937 წ. დაამთავრა თბილისის კავშირგაბმულობის ინჟინერთა ელექტროტექნიკის ინსტიტუტი რადიოტაღდამცემის სპეციალობით და მუშაობდა რადიოგაზომვების ჯგუფის ინჟინრად. 1941-1946 წლებში კი იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. ასრულებდა სხვადასხვა დავალებებს საფრონტო კავშირგაბმულობის საზით.

დემობილიზაციის შემდეგ კ. დიდებულიძე 1946-1951 წწ. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, 1951-1956 წწ. „ვიესხის" საქართველოს ფილიალის ლაბორატორიის გამგე, ხოლო 1956-1987 წწ. საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის სპეცსახეების გამოყენების ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

კ. დიდებულიძე იყო ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ავტო-

რი 60-მდე გამოქვეყნებული მეცნიერული ნაშრომისა, 17 გამოგონებისა.

კ. დიდებულიძე დაჯილდოებული იყო „სამამულო ომის II ხარისხის", „საპატიო ნიშნის" ორდენებით და რამდენიმე მედლით.

დოლიძე გივი ვალერიანის ძე

დაიბადა 1924 წ. ქ. ბათუმში, მუშის ოჯახში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და მუშაობდა მახინჯაურის საჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად.

1942 წ. სექტემბრიდან საბჭოთა არმიის რიგებშია და ამავე წლის ბოლოს პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ქ. ტუაფსესთან. მონაწილეობდა კრასნოდარის, ნოვოროსიისკის, ანაპის და ტამანის ნახევარკუნძულის, ბელორუსიის, ლიტვის, პოლონეთის განთავისუფლებაში და ბერლინისათვის ბრძოლებში.

გ. დოლიძემ 1947 წ. დემობილიზაციის შემდეგ მშვიდობიანი მუშაობა განაგრძო მახინჯაურის ციტრუსების მეურნეობაში აგროტექნიკოსად.

1952 წ. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1954 წლიდან სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, იმაღლებდა კვალიფიკაციას მოსკოვის უნივერსიტეტიტს ბიოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტზე, ლენინგრადის მცენარეთა დაცვისა და ბიოლოგიის ინსტიტუტებში. 1956 წელს მუშაობდა საქართველოს მცენარეთა დაცვის, ხოლო 1957 წლიდან მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში, ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგედ. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1957, ხოლო სადოქტორო - 1972 წელს, პროფესორის წოდება მიიღო 1990 წ. იგი 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია.

პროფ. გ. დოლიძის ხელმძღვანელობით დაცულია 5 საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია. მისმა მეცნიერულმა ნაშრომებმა დაიმსახურეს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფე-

ნის მონაწილის 5 მოწმობა და 2 ბრინჯაოს მედალი. მეცნიერული მიღწევების პროპაგანდისათვის დაჯილდოებულია საზოგადოება „ცოდნის“ მედლით.

გ. დოლიძე დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის“ ორდენით და მედლებით „მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვ.

დუმბაძე მამია ქიშვარდის ძე

(1915-1990)

დაიბადა 1915 წლის 3 ივნისს ოზურგეთის რაიონის ს. ზემო ზენობანში, გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1929 წ. სასაელებლად გადმოვიდა თბილისში. დაამთავრა ამიერკავკასიის პიდროტექნიკუმი. მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სამშენებლო უბნებზე მშენებელ-ტექნიკოსად.

1935-1936 წლებში მ. დუმბაძე სწავლობდა ამიერკავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ მუშაობდა თბილისის ლენინის რაიონის ალკა რაიკომში ინსტრუქტორ-პროპაგანდისტად, შემდეგ პოლიტსასწავლებლის განყოფილების გამგედ. 1938 წ. დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იგი აკად. ს. ჯანაშიას რეკომენდაციით მიიღეს ასპირანტურაში.

1941 წლის ოქტომბრიდან ასპირანტურის კურსის დასრულებისთანავე მ. დუმბაძე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. იყო მეკავშირეთა ბატალიონის მებრძოლი თემრიუკ-ეორონიკოვსკაიას, ყიზლარის, კრასნოდარის ზონაში. 1942 წლის აპრილში ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ იქნა. ამ დროიდან მ. დუმბაძის მეცნიერული საქმიანობა დაუკავშირდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს. 1943 წ. მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის, 1957 წ. კი დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1960 წ. მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1974 წ. - საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მ. დუმბაძეს ქართული საისტორიო მეცნიერების მრავალ სფეროში მოუხდა მოღვაწეობა. მის ნაშრომებში ასახულია ფეოდალური საქართველოს ისტორიის რიგი საკვანძო საკითხები V საუკუნიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე.

პროფ. მ. დუმბაძემ დიდი ამაგი დასდო დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობის საფუძვლიან შესწავლასა და წარმოჩენას. იგი იყო აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის თორმეტტომეულის აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი და რედაქტორი.

დიდად დასაფასებელია ის მასშტაბური სამუშაოები, რომლებიც მ. დუმბაძემ საქართველოს ისტორიის ფუნდამენტური მრავალტომეულის შექმნისათვის გასწია. ის იყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების IV ტომის რედაქტორი და თანაავტორი. მ. დუმბაძეს მრავალტომეულის სხვა რედაქტორებთან და ავტორებთან ერთად 1982 წ. მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასთან ერთად მ. დუმბაძე წლების მანძილზე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი დისერტაცია. ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ორგანიზატორული საქმიანობისათვის მ. დუმბაძეს 1974 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1979 წ. იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მ. დუმბაძე დაჯილდოებული იყო მედლებით „დიდი სამამულო ომის ვეტერანი“ „იოანე ჯავახიშვილის 100 წლისთავი“.

ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე
(1910-1995)

დაიბადა 1910 წლის 8 ნოემბერს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო როგორც ტირიფონის არხის მუშამ. 1928 წელს დაამთავრა თბილისის მეორე შვიდწლიანი შრომის სკოლა, 1931 წელს - თბილისის ინდუსტრიული მუშფაკი. 1939 წ. წარჩინე-

ბით დაამთავრა ლენინგრადის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი. 1940წ. იყო გაზეთების - „კომუნისტის“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ლენინგრადში. ამავე დროს სწავლობდა სკკპ ცკ-თან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

როგორც კი ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ო. ეგაძე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. იგი გაგზავნეს ბლოკირებულ ლენინგრადში, სადაც ის მეთაურობდა წითელი არმიის მზვერავთა ჯგუფს 1941-1943 წლებში და თავდადებით ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. როგორც ნიჭიერმა ხელოვანმა შექმნა შესანიშნავი პლაკატი „ხიშტით და კალმით“. 1944-1948 წლებში ო. ეგაძე დანიშნეს საქართველოს სახკომსაბჭოს მთავარი სამმართველოს უფროსად და პარალელურად ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინზმის კლასიკოსთა შრომების ქართულად თარგმნის საქმეს. 1949-1951 წლებში მუშაობდა „პრავდის“ კორესპონდენტად საქართველოში, 1951-1953 წლებში - საქართველოს რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მინისტრად და 1953-1954 წლებში გაზეთ „ზარია ეოსტოკას“ რედაქტორად, 1954-1973 წლებში იყო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორი და გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი.

ო. ეგაძე ავტორია ბალეტების „სინათლე“, „გორდა“ და სხვ. ლიბრეტოების. ამავე დროს მან დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ისტორიის მეცნიერების დარგში.

ომგადახდილმა მეცნიერმა და მწერალმა ოთარ ეგაძემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური წიგნები, მწერლობისა და ხელოვნების პრობლემებზე, დოკუმენტური პროზაული ნაშრომები. ო. ეგაძე იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თანამედროვე კულტურის ამაგდარი, იგი სადაც უნდა ყოფილიყო პარტიულ, თუ სახელმწიფო სამუშაოზე, მუდამ ქართული ხელოვნების სასიკეთოდ იღწვოდა.

ოთარ ეგაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „ლენინგრადის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, შრომის ვეტერანი და სხვ.

ესაიაშვილი ვარლამ გიორგის ძე
(1910-1977)

დაიბადა 1910 წლის 12 აპრილს ქუთაისში, ხელოსნის ოჯახში. 1930 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1933 წ. იგი სტუდენტობის წლებში იჩენდა დიდ ინტერესს სამეცნიერო-კვლევისადმი, აქვეყნებდა წერილებს ჟურნალ-გაზეთებში და გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია ჟურნალისტური მოღვაწეობა.

1941 წ. 23 ივნისს ვ. ესაიაშვილი გაიწვიეს მოქმედ არმიაში პოლიტმუშაკად და 1941-1945 წლებში იყო ქართული საფრონტო გაზეთის, „წინ სამშობლოსათვის" რედაქტორი, 1945-1946 წლებში მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის პოლიტსამმართველოს უფროს ინსპექტორად ოფიცერთა პოლიტიკური მომზადების დარგში.

1946 წლის ნოემბერში იგი დაუბრუნდა მშვიდობიან მშენებლობას საქართველოს კპ ცკ-ში ჯერ პროპაგანდის განყოფილების ლექტორად, სექტორის გამგედ, შემდეგ დაინიშნა ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორად, თბილისის ა. პუშკინის (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის) საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის გამგედ.

ვ. ესაიაშვილი იყო დიდი გამოცდილების მქონე საზოგადო მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სპეტაკი პიროვნება, ახალგაზრდობის უანგარო აღმზრდელი, ხამშობლოს თაედადებული პატრიოტი. მისი უშულო ხელმძღვანელობით 1957 წელს პირველად სრული სახით გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები.

ომგადახდილმა მეცნიერმა ვ. ესაიაშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის" და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ეფრემიძე შოთა პორფილეს ძე

დაიბადა 1915 წლის 4 ოქტომბერს ქ. ცხინვალში, 1941 წ. დაამთავრა მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტი და ქუკოვსკის სახელობის სამხედრო აკადემიის კურსები. არმიაში გაიწვიეს 1941 წლის ნოემბერში. იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. იყო ჯერ პოლკის, შემდეგ კი დივიზიის უფროსი ინჟინერი, უფროსი ლეიტენანტის წოდებით.

ომის დამთავრების შემდეგ 1945-1946 წწ. მუშაობდა მასწავლებლად თბილისის საავიაციო ტექნიკუმში, 1947-1955 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, 1955-1957 წლებში - მოსკოვში საკავშირო სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში, 1957-1959 წლებში ჩაისა და სუბტროპიკული მანქანების საკონსტრუქტორო-საპროექტო ინსტიტუტში, ხოლო 1959 წლიდან 1985 წლამდე (პენსიაზე გასვლამდე) საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის ხელმძღვანელად მან შექმნა გადიდებულ ელექტრო სიხშირეზე მომუშავე ცხვრის ელექტრო საპარსი მანქანა. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე საავტორო გამოგონება.

შ. ეფრემიძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის" ორდენი და მედლები.

ვაშაკიძე ვალერიან ვლადიმერის ძე
(1922-1999)

დაიბადა 1922 წლის 23 თებერვალს, სამტრედიის რაიონის ს. დიდ ჯიხაიშში, გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს არმიაში. 1941-1945 წლებში იყო შინაგანი ჯარების 37-ე დივიზიის 226 პოლკის რიგითი ჯარისკაცი და ათეულის მეთაური. ბელორუსიის ტერიტორიაზე იცავდა ქალაქებს, სტრატეგიულ ობიექტებს. მან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა მეომარმა.

ომის დამთავრების შემდეგ ვ. ვაშაკიძე იყო იმავე პოლკის ოცეულის მეთაური. 1948 წ დემობილიზებულმა რამდენიმე თვე იმსახურა თბილისში. 1949 წ. დაიწყო მუშაობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ კლუბში მწვრთნელად მძლეოსნობაში. 1954 წ. ვ. ვაშაკიძემ წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და კონკურსით ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1958 წლიდან მუშაობდა ამავე უმაღლესი სასწავლებლის მძლეოსნობის კათედრაზე ჯერ მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, შემდეგ კათედრის გამგედ.

ვ. ვაშაკიძემ სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში. 1953 წ. მისმა ნაშრომმა ლენინგრადში სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე დაიმსახურა მეორე საკავშირო პრემია. 1963 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მას შესრულებული აქვს 121 სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ნაშრომი.

1964-1966 წლებში ვ. ვაშაკიძე მივლინებით იყო კუბაში და მონაწილეობდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში პედაგოგთა და სპორტსმენთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში.

ვ. ვაშაკიძე იყო საქართველოს, ამიერკავკასიისა და ბელორუსიის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი რბენის სხვა და სხვა სახეობაში. 1952 წ. მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება, 1976 წელს - საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება სპორტში. 1980 წ. იგი იყო მიწვეული მსაჯ-არბიტრად XXII ოლიმპიურ თამაშებზე მოსკოვში.

ვაშაკიძე ოთარ ნიკოლოზის ძე

(1926-1980)

დაიბადა 1926 წ. თბილისში, მოქმედ არმიაში იმყოფებოდა 1943-1946 წლებში, იბრძოდა გერმანიაში. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. მას შემდეგ მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით

ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1963 წლიდან მუშაობდა საქართველოს მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელად. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე შრომა, ძირითადად მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის საკითხებზე.

ო. ვაშაკიძემ დაიმსახურა „დიდების III ხარისხის" ორდენი, „შრომის წითელი დროშის" ორდენი და მედლები.

ვაშალომიძე ალექსანდრე პანტელეიმონის ძე

დაიბადა 1913 წლის 30 აგვისტოს ოზურგეთის რაიონის ს. მთისპირში, გლეხის ოჯახში. 1940 წ. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და მიიღო ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობა.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი გაიწვიეს საგანკო ბატალიონში, უმცროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდებით ჯერ ყირიმში, შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ გახდა სამხედრო ავტოსახელოსნოების უფროსი. 1947 წ. დემობილიზებული დაბრუნდა არმიიდან და მუშაობდა საქართველოს მანქანათა საგამოცდო სადგურში უფროს მეცნიერ მუშაკად, 1949-1954 წლებში მთავარ ინჟინრად, 1954-1966 წლებში დირექტორად, ხოლო 1977 წლიდან - საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კი ლაბორატორიის ხელმძღვანელად. ა. ვაშალომიძეს მინიჭებული აქვს ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხში, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 76 ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია, აქვს აგრეთვე 5 საავტორო მოწმობა.

ა. ვაშალომიძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" და „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები.

ვაშაყმაძე შოთა ნოეს ძე

დაიბადა 1919 წლის 15 იანვარს ბაღდადის რაიონის ს. რუხში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1935 წ. დაამთავრა ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა. 1936 წ. მუშაობა დაიწყო ვარციხის მეურნეობაში. 1937-1941 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1941 წლის ივლისში შ. ვაშაყმაძე მოხალისედ წავიდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებლის კურსების დამთავრების შემდეგ 1942 წლიდან ლეიტენანტის წოდებით მონაწილეობდა როსტოვის, დონბასის, დნეპროპეტროვსკის, ჟიტომირის, ბერდიჩევის, ლვოვის, პერემიშლის, კრაკოვის, ბურდესლაუსათვის გამართულ საომარ ოპერაციებში. ომის დამთავრების შემდეგ ხუთი თვე მსახურობდა გერმანიაში დისლოცირებულ საბჭოთა არმიაში. 1945 წ. დაბრუნდა საქართველოში უფროსი ლეიტენანტის წოდებით.

1946 წ. განაახლა სტუდენტობა და 1948 წ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ამასთან ერთად ეწეოდა მეცნიერულ მუშაობასაც. 1956 წ. დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1954-1961 წლებში მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია რაფიელ ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ათზე მეტი ცალკე მეცნიერული ნაშრომი, მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ენციკლოპედიურ და მრავალტომიან გამოცემებში, სადაც გაშუქებულია ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები.

შ. ვაშაყმაძის თავდადება ბრძოლაში აღინიშნა „სამამულო ომის - I“ და „II ხარისხის“ ორდენებით, აგრეთვე მედლებით, მათ შორის „კავკასიის დაცვისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“.

ზაქარიაძე გერმანე ირაკლის ძე
(1912-1990)

დაიბადა 1912 წ. ოზურგეთის რაიონის ს. ჭანიეთში, გლეხის ოჯახში. ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შუახევის რაიონის დაწყებითი სკოლის გამგედ და მასწავლებლად. 1937 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის ფილოსოფიური განყოფილება და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, მაგრამ 1941 წ. დაიწყო დიდი სამამულო ომი და მოხალისედ წავიდა მოქმედ არმიაში, იყო ჯერ ოცეულის, შემდეგ ასეულის მეთაური კაპიტნის წოდებიეთ; იბრძოდა სხვადასხვა ფრონტებზე, მონაწილეობდა პრაღის გათავისუფლებასა და ბერლინის აღებაში.

გ. ზაქარიაძე 1946 წ. დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას და დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის უფროს მასწაელებლად. 1951 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1980 წ. სადოქტორო დისერტაციები. 1982 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა წამყვან მეცნიერ თანამშრომლად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. გამოაქვეყნა 30-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის სამი მონოგრაფია. იგი იყო საქართველოს კპ ცკ-ის და საზოგადოება „ცოდნის" აქტიური ლექტორი.

ომისა და შრომის ფრონტებზე გ. ზაქარიაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვიეს", „პრაღის განთავისუფლებისათვის", „ბერლინის აღებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „ყამირი მიწების ათვისებისათვის", „შრომის ვეტერანი".

ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის ძე

დაიბადა 1917 წლის 25 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის ს. შემოქმედში, მასწავლებლის ოჯახში. 1930-1934 წლებში წარჩინებით დაამთავრა ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1934-1939 წლებში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1939-1946 წლებში ვ. ზურაბიშვილი იმყოფებოდა წითელ არმიაში, სადაც გაიარა საბრძოლო გზა რიგითი მებრძოლიდან მაიორის წოდებამდე. იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანში, ტამანის ნახევარკუნძულზე, ქერჩსა და სევასტოპოლში. იყო პოლკის არტილერიის უფროსი.

1946 წ. დამლევს იგი დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. 1947-1953 წლებში მუშაობდა სახელმწიფო კონტროლის სისტემაში, 1953-1986 წლებში - ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობაზე და მინისტრის მოადგილედ.

1961-1976 წლებში ვ. ზურაბიშვილი შეთავსებით კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1974 წ. დაიცვა საკანდიდატო, 1994 წ. კი სადოქტორო დისერტაციები, მიენიჭა პროფესორის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია ფინანსებისა და ეკონომიკური ანალიზის პრობლემებზე.

1986 წლიდან ვ. ზურაბიშვილი მუშაობს სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტებში, მათ შორის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის განყოფილების გამგედ.

პროფ. ვ. ზურაბიშვილმა ომისა და შრომის ფრონტებზე დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ და „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და 12 მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „შრომის ვეტერანი“. მას მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება.

თოლორაია დომენტი სიმონის ძე

დაიბადა 1912 წ. ზუგდიდის რაიონის ს. ოდიშში. აქვე მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება, რის შემდეგ ორი წელი იმუშავა განათლების სისტემაში. 1933 წ. დაიწყო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტზე გეოგრაფიის სპეციალობით და წარჩინებით დაამთავრა იგი 1938 . ორი წელი იმუშავა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად და თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მასწავლებლად.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე დ. თოლორაიამ მიაშურა ფრონტს. გაიგზავნა ახალქალაქში მოკლევადიან კურსებზე არტილერიის სპეციალობით, გახდა ლეიტენანტი და ქართული დივიზიების ჩამოყალიბებამდე მსახურობდა ირანში. 1942-1943 წლებში იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში მოზდოკის, პროსლადნაიას და ნალჩიკის მიდამოებში ოცეულის მეთაურად. მან პირადად ააფეთქა ფაშისტთა ორი ტანკი. დაიმსახურა ჯილდოზე წარდგენა და კომუნისტური პარტიის რიგებში მიღება. გმირულ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფრონტს, შემდეგ იბრძოდა იაპონელი იმპერიალისტების წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში. ვლადივოსტოკიდან თავისი ოცეულით შეიჭრა მანჯურიაში და 9 თვე იმსახურა იაპონელ ტყვეთა 60-კაციანი ბანაკის უფროსის მოადგილედ.

1946 წ. დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში. 1977 წ. კელავ თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში შეუდგა მუშაობას უფროს მასწავლებლად. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ გახდა დოცენტი და წლების განმავლობაში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ჯერ დეკანის მოადგილე, შემდეგ 25 წელიწადი დეკანი. 1995 წლიდან არის გეოგრაფიის კათედრის დოცენტი და ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და მონოგრაფია თანაავტორებთან ერთად.

ომგადახდილმა დ. თოლორაიამ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის ორდენი“ და მრავალი მედალი, მათ შორის: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“

თურნავა სერგო ერისტოს ძე

დაიბადა 1915 წლის 20 მარტს ლანჩხუთის რაიონის ს. ნათლისმცემლის უბანში, ღარიბი გლეხის ოჯახში, აქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება. 1932-1935 წლებში სწავლობდა თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის სასწავლებელში.

1935-1940 წლებში წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ფრანგული ენისა და ლიტერატურის განხრით. ამავე დროს აქვეყნებდა წერილებს ქართულ პრესაში ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას ს. თურნავა ასწავლიდა ფრანგულ ენას ხარაგოულის საშუალო სკოლაში. ი. სტალინის 1941 წ. 3 ივლისის სიტყვის შემდეგ ის მოხალისედ წავიდა ფრონტზე, 1941-1942 წლებში იბრძოდა ქერჩის ნახევარკუნძულზე ოცეულის მეთაურად. იქ იგი დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ მოხვდა უკრაინის მეოთხე ფრონტის 167-ე დივიზიის 615 პოლკის შემადგენლობაში კარპატის მთებში, სადაც ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას. ს. თურნავა იყო აღნიშნული პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწე დაზვერვის დარგში. მან აქ გამოიჩინა თავი გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, კავშირი გააბა ერნსტ ტელმანის თანამებრძოლებთან, რომლებიც ჰიტლერის არმიაში არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ. მათი დახმარებით თურნავამ თავის თანამებრძოლებთან ერთად ტყვედ აიყვანა მრავალი მოენე ჯარისკაცი და ოფიცერი, ერთი გენერალი და ჰიტლერის ადიუტანტი პოლკოვნიკი მომი.

1944 წლის ოქტომბერში ს. თურნავა, როგორც უცხო ენების მცოდნე, გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროს სამხედრო ტყვეთა №44 ბანაკში, რომელიც დისლოცირებული იყო ქალაქ მორავსკა-ოსტრავას მისადგომებთან.

ს. თურნავამ დიდი მუშაობა გასწია ფაშისტების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოსაკვლევად ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ფაშისტებმა ოთხ კრემატორიუმში 7 მილიონი უდანაშაულო ადამიანი დაწვეს.

ს. თურნავა 1946 წ. დაბრუნდა თბილისში და 1952 წლამდე გააგრძელა მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროში მთარგმნელის თანამდებობაზე სამხედრო ტყვეთა ბანაკებში. აქ მისი მონაწილეობით ომის ბევრი დამნაშავე ამხილეს. დემობილიზაციის საშუალება ს. თურნავას მხოლოდ 1952 წ. მიეცა. 1952-1957 წლებში ს. თურნავა მუშაობდა ვ. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ლექტორად, უძღვებოდა ლექცია-საუბრებს ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. მისმა შრომამ საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში მკითხველი ნახავს მრავალ, მათ შორის საზღვარგარეთის კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა ჩანაწერებს, სადაც მას მადლობას უცხადებენ საინტერესო საუბრებისათვის.

1957-1966 წლებში ს. თურნავა მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში - ჯერ სწავლულ მდივნად, შემდეგ - დაკომპლექტებისა და წიგნთა გაცვლის განყოფილების გამგედ, აქ მუშაობის პერიოდში მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1966 წლის ოქტომბერში ს. თურნავა გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1994 წლამდე ამ ინსტიტუტში მუშაობდა იგი ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილებაში. შემდეგ კი გადავიდა პენსიაზე, მაგრამ კელავ აგრძელებს მეცნიერულ მოღვაწეობას. მან დაამყარა მეცნიერული, ლიტერატურული კონტაქტები საზღვარგარეთის მეცნიერებთან, მწერლებთან, პოლიტიკურ მოღვაწეებთან.

მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა, 12 ცალკე წიგნი. მათ შორის „ანდრე სტილის შემოქმედებითი გზა", „თანამედროვე

ფრანგული ლიტერატურა“, „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“, „ლიტერატურული ნარკვევები“ და სხვ.

საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ს. თურნავას იცნობენ როგორც ქართულ-საზღვარგარეთულ კულტურულ, მეცნიერულ და ლიტერატურულ ურთიერთობათა მკვლევარს, ფრანგული და გერმანული ენების მთარგმნელს. ექვსი ათეული წლის განმავლობაში იგი უანგაროდ ემსახურება ქართულ მეცნიერებას.

ს. თურნავამ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის ორდენი“ და 12 მედალი.

თუშაბრამიშვილი დავით მიხეილის ძე

დაიბადა 1922 წ. ლაგოდეხის რაიონის ს. შრომაში. პედაგოგის ოჯახში. 1937 წ. მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა ქ. თელავში, სადაც 1939 წ. დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა.

1940 წ. გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. 1941 წ. დაამთავრა კრასნოდარის საგენიტო არტილერიის საშუალო მეთაურთა სასწავლებელი და ომის წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის ოფიცრის სხვადასხვა თანამდებობებზე. იბრძოდა ყირიმში, სტალინგრადსა და კავკასიის ფრონტებზე.

1946 წლის დეკემბერში დ. თუშაბრამიშვილი დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1951 წ. 1954 წლამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტი არქეოლოგიის განხრით, 1956 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშორომლად, ხოლო 1973 წლიდან არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად. ამავე დროს 1961-1970 წლებში მიწვევით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ-

ქეოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 1984-1987 წლებში შეთავსებით მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კელევის ცენტრის ქვის ხანის განყოფილების სელმძღვანელად. 1988 წ. მან მიიღო საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ომისა და შრომის ფრონტებზე დ. თუშაბამიშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის ორდენი" და მედლები, მათ შორის „სტალინგრადის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „შრომის ვეტერანი".

იოსელიანი ავთანდილ პავლეს ძე
(1910-1991)

დაიბადა 1910 წლის 2 ნოემბერს წყალტუბოს რაიონის ს. გვიშტიბში. 1929 წ. მიიღო საშუალო განათლება ქუთაისში. 1931-1936 წლებში წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1937 წ. სწავლა განაგრძო ასპირანტურაში აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1941 წ. დაიცვა დისერტაცია და გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კითხულობდა ლექციებს ბათუმისა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, მაგრამ 1941 წ. აგვისტოში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, სადაც 1942 წ. ოქტომბრამდე მსახურობდა კაპიტანის წოდებით №382-ე მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროს ინსტრექტორად. 1942 წლის ნოემბერში საევაკუაციო ჰოსპიტლიდან ა. იოსელიანი გათავისუფლდა მოქმედი არმიიდან.

1943 წლის თებერვლიდან ა. იოსელიანი შეუდგა ლექციების კითხვას უმაღლეს სასწავლებლებში. 1946 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, 1960 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს მონაწილეობის შესახებ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. 1964 წელს ა. იოსელიანს მიენიჭა პრო-

ფესორის, შემდეგ კი მეცნიერების დასახურებული მოღვაწის წოდებები.

ა. იოსელიანი ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მან შექმნა მეცნიერული შრომები როგორც ძველი, ისე ახალი ისტორიის საკითხებზე.

1948-1965 წლებში ავ. იოსელიანი იყო ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იე. ჯავახიშვილიო სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო შემდეგ ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე. ა. იოსელიანის ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები აისახა მის მიერ გამოქვეყნებულ 150-მდე მეცნიერულ ნაშრომში, მათ შორის 15 წიგნსა და მონოგრაფიაში. კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში.

ომისა და შრომის ვეტერანის ა. იოსელიანის მეცნიერული ხელმძღვანელობით მრავალმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი.

ომისა და შრომის ვეტერანმა ავთანდილ იოსელიანმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის ორდენი“ და მედლები, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“, „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წელი“, „შრომის ვეტერანი“

იოსელიანი დიმიტრი მელიტონის ძე
(1913-1989)

დაიბადა 1913 წლის 2 დეკემბერს ლანჩხუთის რაიონის ს. ჩიბათში, მოსამსახურის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისში მე-8 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1931 წ. 1938 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 1949 წელს - მოსკოვის ცენტრალური ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და გახდა ფიზკულტურის მასწავლებელი. 1931-1940 წლებში მუშაობდა თბილისის, შემდეგ მოსკოვის

სპორტულ დაწესებულებებში, იყო ფიზიკური კულტურის მწერთნელი. სასწავლო ნაწილის გამგე, სპორტული საზოგადოება „ნაუკას“, ჯერ რესპუბლიკური, შემდეგ საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელი.

დ. იოსელიანი 1940 წლის სექტემბერში გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე ცნობილი პანფილოვის დივიზიის შემადგენლობაში და ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს ბელორუსიაში, საიდანაც მძიმედ დაჭრილი დაუბრუნდა საქართველოს. და მეცნიერულ მუშაობას მოკიდა ხელი. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1979 წ. გახდა პროფესორი. დ. იოსელიანი არის 24 სამეცნიერო და სამი გამოგონების ავტორი. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პედაგოგიკისა და ადამიანის ფიზიკური აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში.

დ. იოსელიანმა დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენები, აგრეთვე 14 მედალი.

კაკულია შალვა თეოფანეს ძე

დაიბადა 1916 წლის 12 დეკემბერს, მარტვილის რაიონის ს. კინიაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1923-1931 წლებში სწავლობდა ამ სოფლის გლეხი ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში და 1932 წელს სწავლა განაგრძო სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა ფრიადზე 1935 წ. 1936-1938 წლებში მუშაობდა კომკავშირის მარტვილის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1938-1940 წლებში გაზ. „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტად ტყიბულის ზონაში.

შ. კაკულია 1940 წლის სექტემბრიდან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, ფაშისტური გერმანიის მიერ სსრ კავშირზე თავდასხმისთანავე წავიდა მოქმედ არმიაში. იგი იყო პოლიტხელი გენერალ კონსტანტინე ლესელიძის არმიის იმ სამხედრო ნაწილში, რომელიც იცავდა ნოვოროსიისკს, სადაც მძიმედ დაიჭრა. მაინც არ მიუტევებია ფრონტი,

მაგრამ უფრო ურთულდებოდა ჭრილობები. მაშინ გენერალ-მაიორმა გ. ყურაშვილმა იგი გაგზავნა ზურგში სამკურნალოდ.

შ. კაკულიამ ქვედა კიდურების სერიოზული დაზიანების გამო ეელარ შესძლო ფრონტზე დაბრუნება. კვლავ განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1946 წ. იგი დატოვეს ასპირანტურაში. რამდენიმე წელიწადში მანდ დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, გახდა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

შ. კაკულიამ 1995 წლისათვის გამოაქვეყნა 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია, რომელთაგან ერთ-ერთ მათგანში „ადამიანის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობაში" (1977) გაანალიზებულია დიდი ქართველი ისტორიკოსის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მდიდარი მემკვიდრეობა.

ომის ვეტერანმა შ. კაკულიამ დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის" ორდენები და მედლები.

კალანდაძე ალექსანდრე პავლეს ძე

დაიბადა 1916 წლის 1 იენისს ჩოხატაურის რაიონის ს. ხიდისთავში გლეხის ოჯახში. შეიდწლიანი შრომის სკოლასთან ერთად 1931 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1931-1932 წლებში მუშაობდა მასწავლებლად. 1936 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, პარალელურად უცხო (ფრანგულ და გერმანულ) ენათა უმაღლესი კურსები. 1936-1939 წლებში მუშაობდა საგარეჯოში მასწავლებლად და სკოლის დირექტორად.

1939 წელს ალ. კალანდაძე გაიწვიეს წითელ არმიაში, იყო პოლიტხელი. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე იყო ბრესტის ციხე-სიმაგრის დამცველი, შემდეგ მონაწილეობდა პოლონეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში, 1944-1945 წწ. იყო სამხრეთ საფრანგეთში მოქმედი პარტიზანული რაზმის კომი-

სარი, შემდეგ იყო სსრკ მინისტრთა საბჭოს სამხედრო მისიის მეკავშირე ოფიცერი.

1945 წლის დეკემბრიდან ა. კალანდაძე საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტში მსახურობდა, 1954 წლიდან კი საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1966 წელს - სადოქტორო დისერტაციები. 1960 წლიდან მუშაობს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ - უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1975 წლიდან ჟურნალისტიკის განყოფილების გამგედ.

1931 წლიდან ა. კალანდაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. მას გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აქედან 12 მონოგრაფიაა. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პარალელურად ნაყოფიერად იღწვის სამწერლო ასპარეზზე - „გამოქვეყნებული აქვს ხუთი რომანი და სხვა მხატვრული ნაწარმოებები.

ა. კალანდაძეს 1982 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მან დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის ორდენი", მედლები: „მამაცობისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", საფრანგეთის რესპუბლიკის „ომის ჯვარი" და „ვერცხლის ვარსკვლავი".

კალატოზიშვილი მიხეილ გიორგის ძე
(1917-1991)

დაიბადა 1917 წ. გურჯაანის რაიონის ს. კალაურში. 1940 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

1941 წლის ივნისიდან იგი დიდი სამამულო ომის ფრონტზე იყო, მონაწილეობდა უმაღლესი მთავარსარდლის მთავარბანაკის ნაწილების საბრძოლო მოქმედებებში სევასტოპოლთან. მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის 280-ე ცალკე ავტოსატრანსპორტო ასეულში. ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა მოქმედ არმიაში, შემდეგ კი სპეციალობის მიხედვით განაგრძო მოღვაწეობა. საქ-

მიანობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მათ შორის ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად, „საქსოფტექნიკის“ დიღმის სარემონტო ქარხნის დირექტორად, საქართველოს ზონალურ მანქანათა საგამოცდო სადგურის დირექტორად. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა საქართველოს კ. ამირეჯიბის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1971 წ. მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო შრომა და მიიღო აგრეთვე 6 საავტორო მოწმობა.

ბრძოლასა და შრომაში მ. კალატოზიშვილმა დაიმსახურა „წითელი ვარსკვლავის“, „სამამულო ომის II ხარისხის“, „შრომის წითელი დროშის“ ორდენები და მრავალი მედალი.

კაჭარავა პეტრე მიხეილის ძე
(1908-1969)

დაიბადა 1908 წ. ქ. ქუთაისში, მუშის ოჯახში. 1930 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში და ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა ბრძოლის წინა პოზიციებზე. იბრძოდა ყირიმში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბელორუსიაში, დაწინაურდა ასეულის მეთაურის თანამდებობებზე.

1946 წ. დემობილიზაციით დაუბრუნდა პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობას. მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეხილეობის კათედრაზე დოცენტად და სკრის მეხილეობის საცდელ სადგურში აგროტექნიკის განყოფილების გამგედ. 1948 წ. დაინიშნა სკრის საცდელი სადგურის დირექტორად. 1961 წ. დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1963 წ. გახდა პროფესორი. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პ. კაჭარავამ თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში აღზარდა მრავალი სპეციალისტი. მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა 15-ზე მეტმა მეცნიერ

მუშაკმა და ასპირანტმა. იგი ავტორია 80-მდე სამეცნიერო შრომისა, მათ შორის სახელმძღვანელოსი.

პროფ. ჯ. კაჭარავამ ბრძოლაში და შრომაში დაიმსახურა „წითელი ვარსკვლავის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის" და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

კერესელიძე შალვა იასონის ძე

(1913-1997)

დაიბადა 1913 წლის 26 დეკემბერს ონის რაიონის ს. უწერაში, გლეხის ოჯახში. 1937 წ. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და ჩაირიცხა მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სასწავლო ინსტიტუტში ასპირანტად.

1941 წლის ივნისში ომის დაწყებიდან მეორე დღესვე გაიწვიეს არმიაში. მონაწილეობდა კავკასიისა და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტების ბრძოლებში მაიორის წოდებით. მძიმედ დაჭრის შემდეგ 1943 წლის მაისიდან იგი გაათავისუფლეს არმიიდან.

შ. კერესელიძემ მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჯერ ასისტენტად, შემდეგ დეკანის მოადგილედ. 1949 წლიდან მუშაობდა ჩაის მანქანების საკონსტრუქტორო ბიუროში, შემდეგ - ამავე ბიუროს ბაზაზე შექმნილ სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისა და სუბტროპიკული კულტურების მანქანების საკავშირო ინსტიტუტის ხელმძღვანელად. 1954 წ. გადაიყვანეს ქ. ქუთაისში ახლად შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში კათედრის გამგედ, შემდეგ გახდა მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანი და ინსტიტუტის პროორექტორი.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინისა და კ. ამირეჯიბის სახელობის პრემიების ლაურეატი, მეცნიერებისა და ტექნიკის

დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული გამომგონებელი, იყო ონისა და ლაითურის საპატიო მოქალაქე, პქონდა საკავშირო გამოფენის 2 ოქროს და ვერცხლის მედალი, გამოქვეყნებული 300-მდე მეცნიერული შრომა და 105 საავტორო მოწმობა.

შ. კერესელიძემ მსოფლიოში გაითქვა სახელი ჩაის შერჩევითი კრეფის პირველი მანქანის შექმნით. მისი უშუალო ავტორობით და ხელმძღვანელობით შექმნილი ჩაის შერჩევითი კრეფის მანქანა „საქართველო" ფართოდ არის დანერგილი რესპუბლიკაში. რისთვისაც მას მიენიჭა ლენინის პრემია (1967) და დაჯილდოვდა 2 „ლენინის", „სამამულო ომის II ხარისხის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები.

კვაშილავა გრიგოლ ერასტის ძე

დაიბადა 1921 წ. სენაკის რაიონის ს. ნოსირში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, საიდანაც როგორც მოხალისე შეუდგა სამხედრო სამსახურს. 1941-1945 წლებში იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, შემდეგ ბელორუსიის მესამე ფრონტზე. იყო ოცეულის და ასეულის მეთაური.

უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ. 1948 წ. დაინიშნა ქ. ფოთის პიდრომელიორაციის ტექნიკუმში პედაგოგად. აქვე დააწინაურეს ჯერ დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში, ხოლო შემდეგ დირექტორად. 1966 წ. შეთავსებით მუშაობდა ქ. ფოთში არსებულ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ფაკულტეტის დეკანად. 1967-1973 წლებში არჩეული იყო ქ. ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად და 1970-1973 წლებში ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1973 წლიდან სამუშაოდ გადმოვიდა თბილისში საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" მთავარ სპეციალისტად და მალე აგხდა ამავე ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი. 1982 წლიდან მუშაობდა სა-

ქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დოცენტად. 1982 წლის დეკემბერში აირჩიეს ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის დეკანად. ამ თანამდებობაზე გრ. კვაშილავამ იმუშავა 1987 წლამდე. შემდეგ ეკავა დოცენტის თანამდებობა. 1990 წ. მარტის თვიდან არჩეულია კათედრის პროფესორად.

გრ. კვაშილავამ გამოაქვეყნა 61 სამეცნიერო შრომა, რომელთა შორის ორი სახელმძღვანელოა, ერთი მონოგრაფია და სხვ.

გრ. კვაშილავამ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის" და „საპატიო ნიშნის" ორდენები, აგრეთვე 11 მედალი.

კვეკვესკირი ივანე ბარდღუს ძე

დაიბადა 1903 წლის 30 სექტემბერს გალის რაიონის ს. ცსირგალში, გლეხის ოჯახში. 1924-1928 წწ. სწავლობდა სოხუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, შემდეგ — მოსკოვის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, რომლის დამთავრების შემდეგ იდეოლოგიურ მუშაობას ეწეოდა გალისა და გუდაუთის რაიონებში. 1927-1928 წწ. მუშაობდა გალის რაიონის ზემობარდღებში საშუალო სკოლის დირექტორად. 1931-1938 წწ. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის გალის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, 1938-1941 წწ. - საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის პირველი მდივანი.

1941 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, ი. კვეკვესკირი (დაჯავშნის მიუხედავად) მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში და 1945 წლამდე თავდადებით იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. მოქმედ არმიაში იგი, როგორც სტალინგრადის დივიზიის კლუბის უფროსი, წლების განმავლობაში მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდა პოლიტმუშაკის მძიმე და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობას. ი. კვეკვესკირის მიერ პოლიტმუშაკისა და ოფიცრის რანგში შეუპოვარი მებრძოლის ფუნქციების ოპტიმალური შეხამებისა და ამით მტრის განადგურებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილის თაობაზე მოთხრობილია ომის

თემაზე გამოქვეყნებულ მრავალ დოკუმენტურ ნაწარმოებში. აი რას წერს, მაგალითად, გენერალ-მაიორი ნ. თაყართქილაძე:

„სტალინგრადის დაცვის მეტად კრიტიკულ და გადამწყვეტ დღეებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარისკაცთა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებას და იდეურ-მორალურ სიმტკიცეს. სწორედ მებრძოლებთან იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უბანს ემსახურებოდა ქართველი მეთაური ივანე კვეკვესკირი... მტრის ტყვიების წვიმაში კვეკვესკირი თავის თანამებრძოლებთან ერთად სანგრიდან სანგარში ტადადიოდა, მეომრებს მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენას უნერგავდა, მომხედურთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. ბრძოლების პერიოდში კი ქართველი ოფიცერი კლუბის აგიტმხატვრული ჯგუფის სხვა ჯარისკაცებთან ერთად უშიშრად ეკვეთებოდა ხოლმე მტერს.

ერთხელ, როცა აგიტმხატვრული ბრიგადა კულტურულ-მასობრივ ღონისძიებას ატარებდა, მტერი შეტევაზე გადმოვიდა. გამოჩნდნენ ფაშისტების ტანკები და ქვეითი ჯარი. ი. კვეკვესკირი არ დაიბნა, მან ბრძოლისაკენ მოუწოდა მეომრებს და პირველმა დაუშინა ტყვია მტერს. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. ამ ბრძოლაში მარტო იმ ჯგუფის მებრძოლებმა, რომელსაც სათავეში ედგნენ დივიზიის პოლიტგანყოფილების მუშაკები კუდიაკოვი და კვეკვესკირი, გაანადგურეს მტრის სამი ტანკი და ცოცხალი ძალა“.

ი. კვეკვესკირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კურსკის, ორიოლის, ჩერნიგოვის, ლუცკის, სანდომირის, ოდესის, ბრესლავის და ბევრი სხვა ქალაქისა და დასახლებული პუნქტის გერმანელი დამპყრობლებისაგან განთავისუფლებაში.;

ი. კვეკვესკირი 1946 წელს კაპიტნის წოდებით დემობილიზებული დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1950 წელს ლენინგრადის ედანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მიენიჭა დოცენტის წოდება.; იგი ათეული წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა საქართველოს პოლიტექნიკურ და სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ-კვლევით მუშაობას, გამოაქვეყნა 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი ი. კვეკვესკირი დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის“, „სამამულო ომის სამი I და II ხარისხის“ ორდენებით და 17 მედლით, მათ შორის „მამაცობისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვა.

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე
(1913-1981)

დაიბადა 1913 წლის 27 მაისს დაბა მარტყოფში, გლეხის ოჯახში. ოჯახი გადმოსახლდა თბილისში 1921 წელს და მ. კვესელავამ 1930 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის 33-ე საშუალო სკოლა. 1931-1936 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და როგორც ფრიადოსანი 1936 წელსვე ჩარიცხეს ასპირანტურაში დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. 1940 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და განაგრძო ლექციების კითხვა უნივერსიტეტში, მაგრამ 1941 წ. აგვისტოში გაიწვიეს მოქმედ არმიაში და დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე.

მაიორი მ. კვესელავა 1945-46 წლებში მონაწილეობდა ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მუშაობაში გერინგის, რიბენტროპის, პესის წინასწარ დაკითხვებსა და გასამართლებაში. მ. კვესელავამ თავი ისახელა რუსული, გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენების, მსოფლიო ომისა და ფილოსოფიის საკითხების ღრმა ცოდნით. 1964 წელს მან დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს ოპონენტებმა, მაგალითად, შ. ნუცუბიძემ თავის ოცგვერდიან რეცენზიაში ხაზგასმით აღნიშნა „პარადიგმების“ ფილოსოფიური მხარე - შოპენჰაუერის, ნიცშეს, ჰაიდეგერის, სარტრის და სხვათა იდეების კვესელავასეული ანალიზის ღირსება.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად, ფილოლოგიის მეცნიერების დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე მ. კვესელავა იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ეცხო ეხათა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს კპ ცკ-ის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების განყოფილების გამგე. ამავე დროს მან გამოაქვეყნა ღირშესანიშნაები მონოგრაფიები: „ბულგარული ლიტერატურა“, „ადამ მიცკევიჩი“, ორგომიანი „ფაუსტური პარადიგმები“, ტრილოგია მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი კულტურულ-ფილოსოფიური და ისტორიული განზოგადებით დაწერილი „ასერგასის დღე“ და სხვ.

ომგადახდილი მეცნიერი, მწერალი და ლიტერატურათმცოდნე მ. კვესელავა დაჯილდოებული იყო „სამამულო ომის II ხარისხის“, ორი „წითელი ვარსკვლავის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი საბრძოლო მედლით, მათ შორის: „მამაცობისათვის, „ვენის აღებისათვის“, „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

კობახიძე ქიშვარდ ვლადიმერის ძე
(1923-1995)

დაიბადა 1923 წლის 23 სექტემბერს ამბროლაურის რ-ნის ს. იწაში. აქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება და დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. 1942 წლის იანვარში გაიწვიეს საბჭოთა არმაიმი, ჩარიცხეს რეაქტიულ სანაღმტყორცნო („კატიუშების“) გვარდიულ პოლკში. 1942 წლის სექტემბრის ბოლოს, როდესაც გერმანელ ფაშისტთა ჯარები სტალინგრადის მისადგომებს მიადგნენ, დაეუფლნენ ქალაქზე გაბატონებულ სიმაღლე მამაის ყორღანს, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, ქ. კობახიძე იბრძოდა საარტილერიო რეაქტიულ ნაღმსა-

ტყორცნთა მე-80 გვარდიულ პოლკში, რომელიც უმაღლესი მთავარსარდლის უშუალო განკარგულებაში იმყოფებოდა.

სტალინგრადთან მტრის დაჯგუფების განადგურების შემდეგ ქ. კობახიძე მონაწილეობდა დიდ სატანკო ბრძოლებში კურსკის შეერილზე. მტრის უთვალავი ტანკის სასტიკი შეტევის მოგერიებისას საზენიტო ტყვიამფრქვევით მან თავის თანამებრძოლ ცნობილ ქართველ პოეტ აკაკი გეწაძესთან ერთად ჩამოაგდო ორი თვითმფრინავი. მზვერავთა ნაცვლად სათვალთვალო უბანზე სარდლობის დავალების შესრულებისათვის დააჯილდოვეს მედლით „მამაცობისათვის“.

ქ. კობახიძემ ბრძოლებით გაიარა უკრაინის ველები დნეპრის გადალახვით და 1944 წლის გაზაფხულზე იბრძოდა რუმინეთის ტერიტორიაზე, სადაც მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ ირიცხებოდა 229-ე საბადრაგო მსროლელ პოლკში და მხოლოდ 1946 წლის მარტში დაბრუნდა შინ. ამავე წელს შეეიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ - 1951 წლიდან სწავლა გახაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1954 წელს. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1956 წელს გადაიყვანეს ახალქალაქის ექსპერიმენტული მეურნეობის გამგედ, 1961-1995 წწ. მუშაობდა ი. ლომოურის სახელობის მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცენარეთა ფიზიოლოგიის და ბიოქიმიის განყოფილების გამგედ.

ქ. კობახიძე იყო 38 მეცნიერული ნაშრომის ავტორი. მისი ნაშრომები ეხებიან მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებსა და ბიოქიმიურ ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ქ. კობახიძემ აღზარდა არაერთი ახალგაზრდა მეცნიერი.

ქ. კობახიძე დაჯილდოებული იყო „სამამულო ომის II ხარისხის ორდენით“ და მრავალი მედლით, მათ შორის: „სტალინგრადის დაცვისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

კოჩინაშვილი ალექსი ვლადიმერის ძე

დაიბადა 1902 წლის 2 აპრილს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და სწაელა განაგრძო რუსეთში. 1933 წ. წარჩინებით დაამთავრა ნოეოჩერკასკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-მეტალურგის სპეციალობით. 1934-1936 ლებში მუშაობდა ქ. იეევსკის მტალურგიულ ქარხანაში საამქროს უფროსად, 1937-1941 წლებში - ზესტაფონის ფერომანგანუმის ქარხანაში ინჟინერ-დამპროექტებლად.

1941 წ. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვეიეს არმიაში, მიენიჭა კაპიტნის წოდება. მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ა. კოჩინაშვილი როგორც სპეციალისტი დაინიშნა თბილისის საავიაციო ქარხნის საამქროს უფროსად და მთავარ მეტალურგად, სადაც მუშაობდა 1950 წლამდე. ინჟინრის სპეციალობას კარგად უთავსებდა მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმანობას. 1945 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა დოცენტი და კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1992 წლამდე.

ა. კოჩინაშვილი იყო შრომის დაცვის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ომისა და შრომის ვეტერანმა ალ. კოჩინაშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“, „შრომის წითელი დროშის“, 2 „საპატიო ნიშნის“ ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „შრომის ვეტერანი“.

კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის ძე
(1903-1985)

დაიბადა 1903 წლის 2 ნოემბერს ლანჩხუთის რაიონის ს. ყულაში, რკინიგზელის ოჯახში. ბავშვობის ასაკიდანვე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით და ბეჯითი სწავლით. 1922 წ. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი, 1927 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და ახალგაზრდა ასაკში დაიცვა ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები.

პროფესორი ვ. კუპრაძე 1936-1941 წლებში მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორად, ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალურ და ინტეგრალურ განყოფილებათა კათედრას.

1941-1943 წლებში ვ. კუპრაძე იმყოფებოდა მოქმედ არმიაში. მონაწილეობდა ყირიმში გამართულ მძიმე ბრძოლებში. რედაქტირობდა გერმანულ ენაზე გამომავალ ანტიფაშისტურ გაზეთს.

აქ ის გაეცნო და დაუმეგობრდა გერმანელ ანტიფაშისტს ოტო ტრეჩერს, რომელმაც ვ. კუპრაძეს დაბადების 70 წლისთავი ასე მიულოცა გერმანიიდან რადიოთი: „პატივცემულო მეგობარო ვიქტორ კუპრაძევ! გაგიკვირდებათ, როცა თქვენი დაბადების დღეს საქართველოს რადიოთი ჩემს ხმას გაიგონებთ. ალბათ უკვე მიცანით, მაგრამ მე მაინც წარმოგიდგენთ თავს. მე ოტო ტრეჩერი ვარ, ის გერმანელი, რომელიც 1941 წლის 29 დეკემბერს ფეოდოსიაში საბჭოთა არმიის მხარეზე გადმოვედი და წილად მხვდა ბედნიერება თქვენი გაცნობისა... მე ვლოცავ ამ ბედნიერ შემთხვევას... ძვირფასო ვიქტორ დიმიტრის ძევ! თქვენ ეკუთვნით იმ ადამიანთა რიცხვს, რომლის პირადმა მაგალითმა და მტკიცე ხასიათმა ჩემს ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა“ (გაზ. „თბილისი“, 1983, 2 ნოემბერი).

ვ. კუპრაძე დემობილიზაციის შემდეგ - 1944-1953 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი, 1954-1959

წლებში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და საქართველოს მათემატიკური საზოგადოების პირველი პრეზიდენტი.

ვ. კუპრაძემ შექმნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი შრომები დრეკადობის თეორიაში, რომ ჯერ კიდევ 1946 წელს დაიმსახურა არჩევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1971 წ. მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

შრომასა და ბრძოლაში ვ. კუპრაძემ დაიმსახურა „ლენინის" ორი ორდენი, „ოქტომბრის რევოლუციის", „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მრავალი მედალი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ვ. კუპრაძე 1958 წ. როგორც საბჭოთა კავშირის დელეგატი მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესიის მუშაობაში, სადაც შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა.

კუჭავა გიორგი დომენტის ძე

დაიბადა 1922 წლის 9 აგვისტოს თბილისში, მუშის ოჯახში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ - 1940 წ. გაიწვიეს წითელ არმიაში და დიდი სამამულო ომის დაწყებიდან ბრძოლით განვლო ქ. ბრესტის მიდამოებიდან თითქმის მთელი ბელორუსია. ქ. სლუცკის რაიონში ომის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ იგი მძიმედ დაიჭრა ფეხში, რის გამო რამდენიმე თვე მკურნალობდა ჰოსპიტალში. განკურნების შემდეგ კელავ იბრძოდა ვორონეჟის ფრონტის წინა ხაზზე ზარბაზნის მეთაურად და ოცეულის მეთაურის თანაშემწედ უფროსი სერჟანტის წოდებით. 1943 წელს ქ. ხარკოვის მიმართულებით განვითარებული შეტევის დროს დაიჭრა გულმკერდის არეში ფილტვის დაზიანებით, რის გამოც რვა თვე მკურნალობდა ჰოსპიტლებში. ომის დამთავრებამდე და შემდეგაც 1946 წ. დეკემბრის შუა რიცხვებამდე მსახურობდა სათადარიგო ნაწილებში და ასწავლიდა ჯარისკაცებს სამხედრო საქმეს.

1946-1950 წლებში ვ. კუჭავა სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა

1950-1953 წლებში „საქსოფლელექტროს“ ტრესტში ინჟინრად, 1953-1956 წლებში კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტრ ენერგიის გამოყენების განყოფილების გამგედ. 1957-1960 წლებში დაამთავრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1961 წლიდან მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი გ. კუჭავა არის ავტორი 40-ზე მეტი დაბეჭდილი შრომისა, რომლებსაც იყენებენ როგორც საქართველოში, ისე მოლდავეთში, ყირიმში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში. მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება.

გ. კუჭავამ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და 11 მედალი.

ლაშქარაძე დავით ბესარიონის ძე

დაიბადა 1917 წლის 15 ივნისს ქუთაისში მუშის ოჯახში. 1934 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი პედაგოგიური ტექნიკუმი, 1939 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის სპეციალობით, 1941 წ. — ასპირანტურა.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე დ. ლაშქარაძე მონაწილეობდა მოსკოვის პირველი სასალხო ლაშქრის ბრძოლებში დასავლეთის ფრონტებზე, მაგრამ გერმანელმა ფაშისტებმა მძიმედ დაჭრეს და 1943 წ. ძლიერ დაავადებული დაბრუნდა საქართველოში და დაუყოვნებლივ შეუდგა დიდად ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. 1949 წ. და-

იცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1978 წ. სადოქტორო, გახდა პროფესორი. აღზარდა რამდენიმე მეცნიერ-პედაგოგი. მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1995 წლამდე მან გამოაქვეყნა ასზე მეტი მეცნიერული შრომა, უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებზე, მათ შორის 8 მონოგრაფია: „ფრიდრიხ შილერი", „ჰაინრიხ ჰაინე", „გოეთე ქართულ ლიტერატურაში", „გერმანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში", „ნარკვევები ლიტერატურულ მერიდიანებზე" და სხვ.

ამავე დროს დ. ლაშქარაძე ეწეოდა დიდ სარედაქციო ხასიათის მოღვაწეობას. ერცელი მეცნიერული შესავლით და ღრმაშინაარსიანი შენიშვნებით აქვეყნებს გამოჩენილი უცხოელი მწერლების ნაწარმოებებს, მათ შორის აღსანიშნავია ფრიდრიხ შილერის თხზულებათა სამტომეული, ჰაინრიხ ჰაინეს, ჰენრიხ იბსენის ცალკე ტომეულები, გოეთეს „ფაუსტის" ორიოდე ნაწილი გერმანისტ ოთარ ჯინორიასთან ერთად. აღსანიშნავია აგრეთვე დ. ლაშქაარძის ხელმძღვანელობით გამოცემული კ. მარქსის და ფრ. ენგელსის თხზულებათა გამოცემები ქართულ ენაზე.

ომგადახდილმა მეცნიერმა დ. ლაშქარაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „მოსკოვის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და სხვა. ჯილდოები.

ლომინაძე გიორგი სილოვანის ძე

(1902-1975)

დაიბადა 1902 წ. ოზურგეთის რაიონის სოფ. ცრემლისსიდში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1924 წ. დაამთავრა ოზურგეთის ქუმანიტარული ტექნიკუმი. მასწავლებლობდა ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონების სკოლებში. 1935 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების ფაკულტეტი და მიიღო აგრონომ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია ჩაის მეურნეობის დარგში. მუშაობდა ნატანების ჩაის ფაბრიკის დირექტორად. სამეცნიერო კვლევით მუშაობისადმი განსაკუთრებული

მიღრეკილების გამო 1936 წ. გადმოიყვანეს ანასეულის ჩაის ფაბრიკის დირექტორად და მიანიჭეს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის წოდება.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გ. ლომინაძე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. იბრძოდა ალყაშემორტყმულ სევასტოპოლში, ფეოდოსიაში, ქერჩში, „მცირე მიწაზე". ნოვოროსიისკის გააფთრებულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა დაკარგა ცალი თვალი.

1943 წლის ივნისში ინვალიდად დაუბრუნდა ნატანების ჩაის ფაბრიკას და შეუდგა მშვიდობიან შრომას. მისი თანაავტორობით შეიქმნა და წარმოებაში დაინერგა მწვანე ბაიხის ჩაის საფიქსაციო აგრეგატი, როლერების ბაზაზე შავი და მწვანე ჩაის წარმოებაში გრეხვა, შეიქმნა ჩაის ნახევარფაბრიკატის ხუთსართულიანი, კომბინირებული დამხარისხებელი მანქანა დატვიფრული ბადეების გამოყენებით. მასვე ეკუთვნის იდეა ჩაის მწვანე ფოთლის ეტაროდ გადაზიდვის ორგანიზაციისა. იგი ავტორია მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა.

გ. ლომინაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენები და მედლები.

ლორთქიფანიძე იოსებ პავლეს ძე

დაიბადა 1922 წლის 26 იანვარს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1941 წლის ივლისში ი. ლორთქიფანიძე მოხალისედ წავიდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1942 წლის ივლისში ლეიტენანტის წოდებით იყო ოცეულის მეთაური, დივიზიონის შტაბის უფროსი, ბატარეის მეთაური. მონაწილეობდა დიდ სამხედრო ოპერაციებში: სტალინგრადის დაცვაში, ბრიანსკისა და ეორონეჟის გათავისუფლებაში, ცენტრალური და უკრაინის I ფრონტის მი-

ერ ჩატარებულ სამხედრო შეტევებში, რომელთა შედეგად გათავისუფლდა უზარმაზარი ტერიტორია. 1945-1947 წლებში იგი მსახურობდა გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიებზე განლაგებულ საბჭოთა არმიის ჯგუფებში.

სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ი. ლორთქიფანიძემ განაგრძო სტუდენტობა და 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. 1956 წლიდან მუშაობს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. 1964 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1974 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი. მათ შორის რვა მონოგრაფია. ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ი. ლორთქიფანიძე აქტიურად თანამშრომლობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მომზადებაში, კერძოდ ტექსტოლოგიის დარგში.

ი. ლორთქიფანიძემ ბრძოლასა და მრომაში დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის", „შრომის წითელი დროშის" ორდენები და 10 მედალი, მათ შორის „სტალინგრადის დაცვისათვის", „ბერლინის აღებისათვის", „პრაღის გათავისუფლებისათვის" და სხვ.

მაისურაძე ზაქარია პავლეს ძე

დაიბადა 1925 წლის 15 ივლისს ადიგენის რაიონის სოფ. ედეში, გლეხის ოჯახში.

1943 წ. 23 იანვარს მეცხრე კლასიდან გაიწვიეს წითელ არმიაში, ქუთაისის მოკლევადიანი სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაგზავნეს ფრონტზე, იბრძოდა სმოლენსკში მოქმედი მსროლელი დივიზიის პოლკში ბატალიონის მეთაურის შეკავშირედ. 1944 წ. 12 იანვარს მძიმედ დაჭრილი მკურნალობდა ქ. რუბინსკის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც სამხედრო სამედიცინო კომისიამ იგი ინვალიდად ცნო და როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი გაათავისუფლა არმიიდან.

დემობილიზაციის შემდეგ ბ. მაისურაძემ 1950 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 1954 წ. კი მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგროპედფაკულტეტი. 1950-1960 წლებში მასწავლებლობდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმში. 1961 წ. გადავიდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1968 წ. მან დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად 1969 წ. მიიღო დოცენტის წოდება.

ბ. მაისურაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის" ორდენი და 7 მედალი.

მამაცაშვილი გიორგი დავითის ძე

დაიბადა 1914 წ. კასპის რაიონის ს. ასალქალაქში, მუშის ოჯახში. 1939 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით, რის შემდეგ მუშაობდა თბილისის I ავტოსარემონტო ქარხნის ტექნიკურ განყოფილებაში კონტროლიორად. 1940 წლის 5 აპრილს გაიწვიეს არმიაში როგორც კადრის ოფიცერი. იყო ჯერ ავტოსატრანსპორტო ოცეულის მეთაური, შემდეგ ავტოასეულის მეთაურის მოადგილე, ავტოასეულის მეთაური. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში იბრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ კავკასიის, უკრაინის და ბელორუსიის ფრონტებზე.

1948 წ. არმიიდან კაპიტნის წოდებით დემობილიზებულმა გ. მამაცაშვილმა მუშაობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ჯერ უფროსი ლაბორანტის, შემდეგ კი ასისტენტისა და უფროსი მასწავლებლის თანამდებობებაზე. 1961 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო შრომა.

გ. მამაცაშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „ვარშავის განთავისუფლებისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

მაჩაიძე ირეოდიონ ილარიონის ძე

დაიბადა 1916 წლის 23 ივნისს ონის რაიონის ს. ჭიშრეეში, გლეხის ოჯახში. სოფლის სკოლის ოთხი კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო 1932-1936 წლებში ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში და პარალელურად მუშაობდა აბრეშუმის ძაფსაღებ ფაბრიკაში.

1941 წ. ივნისში წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და მაშინვე მოსალისედ წავიდა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ფრონტზე. 1941 წლის დეკემბერში დაამთავრა ბაქოს სამხედრო საზენიტო არტილერიის სასწავლებელი, მიიღო ლეიტენანტის წოდება და დაინიშნა მსროლელი ოცეულის მეთაურად. 1942 წ. მარტში ის მძიმედ დაჭრეს და მკურნალობდა ტულის, რიაზანის, კოლომნის და ბოლოს მოსკოვის ჰოსპიტლებში. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი გაანაწილეს ზერგში სამუშაოდ, ხოლო 1942 წლის ივლისში გაიგზავნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის კადრების განყოფილების განკარგულებაში, მსახურობდა თავის სამხედრო სპეციალობით ყაზანში, ქუთაისსა და მანგლისში, №296-ე დივიზიაში ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაურად. იგი კაპიტანი გახდა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ირ. მაჩაიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1976 წლიდან 1987 წლამდე იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ისტორიის კათედრის გამგე. 1981 წ. წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის

ხარისხის მოსაპოვებლად და ერთი წლის შემდეგ მიიღო პროფესორის წოდება. მას გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 4 მონოგრაფია. მისი ნაშრომები ძირითადად ეხება რუსეთში, ამიერკავკასიასა და კერძოდ, საქართველოში XX საუკუნეში მოქმედი პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის ისტორიას. იგი იყო სამედიცინო უნივერსიტეტის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი.

პროფ. ირ. მაჩაიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ირ. მაჩაიძე დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის" ორდენით და მრავალი მედლით, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის". არის „ღირსების" ორდენის კავალერი".

მაჭავარიანი ვარდენ მიხეილის ძე

დაიბადა 1923 წლის 24 მაისს, საჩხერის რაიონის ს. ჭორვილაში, მოსამსახურის ოჯახში, აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1941 წლის 1 ოქტომბრიდან იგი გაიწვიეს მოქმედი არმიის რიგებში. 1942 წლის აგვისტომდე იყო მე-5 საჰაერო სადესანტო ბრიგადაში, მიიღო ლეიტენანტის წოდება და 1942-1946 წლებში იბრძოდა შორეული მოქმედების ავიაციის 229-ე გვარდიის, წითელი დროშის ორდენოსანი როსლავის საავიაციო პოლკის საშუალო სამძღვარის რადიოსადგურის უფროსის თანამდებობაზე.

დემობილიზაციის შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიიღო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დიდხანს მოღვაწეობდა საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კელვევით ინსტიტუტში, ჯერ მეცნიერ მუშაკად, შემდეგ განყოფილების გამგედ

და ბოლოს პენსიაში გასვლამდე (1991 წ.) დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

ომგადახდილმა, მრავალი სამეცნიერო შრომის აეტორმა ე. მაჭავარიანმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და „შრომის ვეტერანი".

მაჭარაშვილი დავით ვასილის ძე
(1921-1998)

დაიბადა 1921 წლის 3 მარტს, საჩხერის რაიონის ს. კორბოულში, გლეხის ოჯახში. 1939 წ. დაამთავრა კორბოულის საშუალო სკოლა. იმავე წლის ოქტომბერში დ. მაჭარაშვილი გაიწვიეს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში. 1939-1941 წლებში იყო 712-ე მსროლელი პოლკის ჯარისკაცი, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომში და ბესარაბიის განთავისუფლებაში. დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე ჩაება ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში და სამჯერ დაიჭრა. სამხედრო ნაწილები, რომლებშიც ჯერ იყო ოცეულის მეთაურის თანაშემწე, შემდეგ - ასეულის მეთაური, მეოთხე უკრაინის ფრონტის შემადგენლობაში მედგრად ებრძოდა მტერს კიშინოვის, დნეპროპეტროვსკის, ნოვოჩერკასკის, როსტოვის მიმართულებით. ომში იგი დაინვალიდდა.

1946 წლის მარტში ლეიტენანტის წოდებით იგი დემობილიზებული იქნა.

დ. მაჭარაშვილმა 1946-1951 წლებში წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1955 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დოცენტის და პრო-

ფესორის თანამდებობებზე. იგი 50 სამეცნიერო ნაშრომის და სამი სახელმძღვანელოს ავტორია.

დ. მაჭარაშვილი 1967 წელს მიელინებული იყო კუბის რესპუბლიკაში, სადაც რამდენიმე თვე მუშაობდა ფიზიკური აღზრდის უმაღლესი სკოლის პედაგოგად და სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს სპორტის ფიზიოლოგიაში. მოამზადა კადრები ფიზიოლოგიის კათედრაზე სამუშაოდ. მისი ხელმძღვანელობით კუბელმა ახალგაზრდებმა მოამზადეს სპეციალური შრომები და დამსმარე სახელმძღვანელო.

დ. მაჭარაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, საქმისადმი ერთგულმა მუშაკმა. იგი სისტემატურად ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

საბრძოლო დამსახურესბისათვის დ. მაჭარაშვილმა დაჯილდოვდა „სამამულო ომის I ხარისხის" ორდენი და მედლები „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

მაჭარაშვილი კარლო შალვას ძე

დაიბადა 1924 წლის 20 ნოემბერს საჩხერის რაიონის ს. კორბოულში, გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1942 წ. წარჩინებით დაამთავრა კორბოულის საშუალო სკოლა და გაიწვიეს მოქმედ საბჭოთა არმიაში. იბრძოდა ჩრდილო კავკასიისა და ბალტიისპირეთის ფრონტებზე. მიიღო რამდენიმე ჭრილობა.

1947 წ. დემბილიზაციით დაბრუნდა და სწავლა განაგრძო თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წ. დაინიშნა საჩხერის მეორე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და საჩხერის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად. 1955 წლის შემოდგომაზე სწავლა განაგრძო საქართველოს განათლების სამინისტროს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ

მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1959 წ. მოიპოვა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და მუშაობა დაიწყო ამავე ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სექტორში, ჯერ უმცროსი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე. 1960 წლიდან აირჩიეს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის სექტორის გამგედ. 1969 წელს კ. მაჭარაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და გახდა პროფესორი.

კ. მაჭარაშვილი იყო სამეცნიერო ნაწილში პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის, 1973-1977 წლებში საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის, 1977-1993 წლებში პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1993 წლის ოქტომბრიდან კი მუშაობს ამავე ინსტიტუტის იაკობ გოგებაშვილის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამგედ. ის იყო აგრეთვე 1961-1983 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და სასკოლო ჟურნალის „სკოლა და ცხოვრება" სარედაქციო კოლეგიის წევრი და რუსული ჟურნალის „რუსკი იაზიკ ე ვრუზინსკოი შკოლე" მთავარი რედაქტორი და ჟურნალ „რუსკი იაზიკ" (მოსკოვი) სარედაქციო კოლეგიის წევრი. კ. მაჭარაშვილი არის 300-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, 4 სასკოლო და ერთი უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს შემდგენელი და ავტორი. მას მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია. 1980 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ომგადახდილმა მეცნიერმა კ. მაჭარაშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის" ორდენები და 12 მედალი, მათ შორის „მამაცობისათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და „შრომის ვეტერანი".

მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე
(1911-1982)

დაიბადა 1911 წლის 21 იანვარს დუშეთის რაიონის ს. მლეთაში, 1932 წ. წარჩინებით დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანაში, სადაც 1934 წ. დააწინაურეს ქარხნის მთავარ ინჟინრად. 1938-1941 წლებში იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტრაქტორებისა და ავტომობილების კათედრის გამგე. 1941-1945 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში.

1946 წ. დაუბრუნდა მშეიდობიან შრომას თავისი სპეციალობით. დიდმნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა შიგაწვის ძალების სითბურ პროცესებს. ფართოდ გავრცელდა ვ. მახალდიანის მიერ დამუშავებული მაღლივ პირობებში მომუშავე ძრავას თბური გაანგარიშების მეთოდი და არასრული დატვირთვით მომუშავე ძრავას დროსელირების თეორია. მან შექმნა კუმშვის ხარისხის ავტორეგულირების ძრავა, დაამუშავა მისი თეორია და გაანგარიშების მეთოდები, აგრეთვე როტაციული (მოცულობითი და რეაქტიული) ძრავების მუშაობის პრინციპები. ვ. მახალდიანი იყო ომგადახდილი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი (1949), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი და პრეზიდიუმის წევრი (1954), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1955), მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1961), საქართველოს სახელმწიფო პრემიების (1971,1981) და გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის (1978) ლაურეატი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ვ. მახალდიანი ომისა და მშეიდობის ფრონტებზე თავის გამოჩენის და დამსახურებისათვის დაჯილდოეს „ოქტომბრის რევოლუციის", „შრომის წითელი დროშის", „წითელი ვარსკვლავის" „სპატიო ნიშნის" ორი ორდენით და მედლებით, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

მახარაძე ილია სამეულის ძე
(1916-1993)

დაიბადა 1916 წლის 15 ივლისს ს. ნატანებში, გლეხის ოჯახში. აქვე შეიდწლიანი საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა ოზურგეთის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1931 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1938 წ. იყო ჯერ თბილისის პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი, შემდეგ თბილისის 54-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

1941 წ. გაიწვიეს დიდი სამამულო ომის ფრონტზე, საიდანაც დაბრუნდა 1942 წლის ბოლოს მძიმედ დაჭრილი. გამოჯანმრთელებისთანავე მუშაობას შეუდგა გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის რვაწლიანი სკოლის დირექტორად. 1945-1948 წლებში მუშაობდა საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტრესტში კადრების განყოფილების უფროსად. 1949 წლის 1 ოქტომბრიდან ი. მახარაძე სწავლობდა საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურაში ისტორიის მეთოდიკის სპეციალობით. 1953 წ. წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1992 წელს კი პროფესორის წოდებაც.

ი. მახარაძე ავტორია 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, მათ შორის 17 მონოგრაფიისა და სამი სასკოლო სახელმძღვანელოსი. მას აღზარდა მეცნიერ-პედაგოგთა კადრები, ისტორიის სწავლების მეთოდისტები.

ი. მახარაძე არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად, რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოების სექციის ხელმძღვანელად და საქართველოს განათლების სამინისტროს ისტორიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. მან სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში მნიშვნელოვანი დამსახურებისათვის მიიღო იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი და რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

პროფესორ ი. მახარაძეს დიდი ღვაწლისათვის, პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის კაბინეტს, სადაც ის მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ისტორიისა და გეოგრაფიის სექტორის გამგედ, მიენიჭა მისი სახელი.

ომგადახდილმა ი. მახარაძემ დაიმსახურა ჯილდოები: „სამამულო ომის I და II ხარისხის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და „შრომის ვეტერანი".

მგელაძე დავით ირაკლის ძე

დაიბადა 1917 წლის 15 ნოემბერს ტყიბულის რაიონის ს. დაბაძველში, მუშის ოჯახში. 1935 წ. დაამთავრა ამავე რაიონის ს. ორპირის საშუალო სკოლა, 1940 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1936-1942 წლებში მუშაობდა ჯერ ტყიბულის რაიონის ს. სანირის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ ს. ხრესილის საშუალო სკოლის დირექტორად.

1942 წ. დ. მგელაძე გაიწვიეს წითელ არმიაში. იყო ქართველი მსროლელი დივიზიის პოლიტხელი და მონაწილეობდა 1942 წლის შემოდგომაზე ჩრდილოეთ კავკასიაში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მდ. ბაქსანის ხეობაში.

ქართველი მეომრები, მამაცი მეთაურები და პოლიტმუშაკები გმირული ბრძოლით დიდ ზიანს აყენებდნენ მტერს, არ აძლევდნენ ფაშისტებს საშუალებას შემოჭრილიყვნენ საქართველოში. დ. მგელაძე კაპიტნის წოდებით მხოლოდ საბჭოთა კავშირის დიდი სასამულო ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას და შეუდგა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1946-1949 წლებში მუშაობდა ხრესილის საშუალო სკოლის დირექტორად. 1949 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და დაიწყო მუშაობა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში ჯერ ლექტორად, შემდეგ მეცნიერ თანამშრომლად. 1963 წლიდან სამუშაოდ გადავიდა საქართველოს პოლიტექნიკურ

ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად და 1965 წელს მოიპოვა დოცენტის სამეცნიერო წოდება. მან გამოაქვეყნა 50-მდე მეცნიერული შრომა, მათ შორის სამი მონოგრაფია. ამავე დროს იგი არის პარტიების ისტორიის კათედრაზე კოლექტიურად მომზადებული დამხმარე სახელმძღვანელოს თანააგტორი.

ომგადახდილი მეცნიერი, ომისა და შრომის ვეტერანი, დ. მგელაძე თანამედროვე რთულ პირობებშიც ნაყოფიერად ეწევა აქტიურ სალექციო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პოლიტიკური პარტიების ისტორიის კათედრაზე.

დ. მგელაძის დამსახურება ომისა და შრომის ფრონტებზე აღინიშნა „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენებითა და მრავალი მედლით, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

მელაშვილი კოტე მიხეილის ძე

დაიბადა 1923 წლის 21 მაისს ბაღდადის რაიონის ს. ზედა დიმში, გლეხის ოჯახში. 1940 წ. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და უგამოცდოდ ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე.

1941-1942 წლებში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოკლევადიან კურსებზე სწავლის შემდეგ სახელმწიფო უშიშროების უმცროსი ლეიტენანტის წოდებით გაამწესეს განსაკუთრებულ სამხედრო ნაწილში. იყო მოკავშირე ქვეყნების იალტის კონფერენციის მონაწილეთა დაცვის საგანგებო სამხედრო-სადაზვერვო ნაწილის უფროსი ყირიმში. 1945-1946 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში დაზვერვისა და კონტრდაზვერვის განყოფილებაში. 1951 წ. ექსტერნის წესით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და 1957-1979 წწ. მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

კ. მელაშვილის პირველი ლექსები 1939 წ. დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და „ნორჩ ლენინელში“. გამოქვეყნდა მისი ლექსების წიგნი სერიით „ქართველი მწერლები დიდ სამამულო ომში“, ლექსების 7 და მოთხრობების 4 კრებული, ერთი ვრცელი კრიტიკული მონოგრაფია, 3 მეცნიერული წიგნი და მრავალი სტატია. 1977 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1979 წლიდან მუშაობს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნიველრსიტეტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტად.

გ. მელაშვილი დაჯილდოებულია „სამამულო ომის II სარისხის“ ორდენით და მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვ.

მელქაძე ვალერიან ირაკლის ძე

დაიბადა 1912 წლის 18 დეკემბერს სამტრედიის რაიონის, ს. ჩხენონში, გლეხის ოჯახში. 1931 წ. წარჩინებით დაამთავრა სამტრედიის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1938 წ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 1941 წ. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1941 წ. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. მოკლევადიანი კურსების შემდეგ იყო პოლიტიკურ სამუშაოზე და გაიზარდა ჯარისკაციდან პოლკოვნიკამდე. იბრძოდა სხვადასხვა ფრონტებზე, მათ შორის აღმოსავლეთ პრუსიაში. ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ 1946 წ. მაისიდან დაუბრუნდა მშვიდობიან მშენებლობას, მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე საქართველოს კპ ცენტრალურ და თბილისის საქალაქო კომიტეტებში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის დროს. არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურიატი.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვ. მელქაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტი გახდა ეკონომიკური პრობლემების კვლევის, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის ცენტრი. ეს პერიოდი მეცნიერული თვალსაზრისით ყველაზე ნაყოფიერი იყო ვ. მელქაძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. ამ წლებზე მოდის დიდი ნაწილი მისი 140 გამოქვეყნებული მეცნიერული შრომისა, რომლებმაც მას თვალსაჩინო მეცნიერ ეკონომისტის სახელი მოუხვეჭეს.

ვ. მელქაძემ ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის" და სხვა ჯილდოები.

მელქაძე ილია იაკობის ძე
(1907-1984)

დაიბადა 1907 წლის 15 მაისს სამგრედიის რაიონის ს. ჩხენისში. 1926 წ. დაამთავრა ს. კულაშის საშუალო სასწავლებელი, 1929 წ. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მუშაობდა ქუთაისის საბჭოთა და პარტიული რესპუბლიკური სკოლის დირექტორად. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. პარალელურად მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

1937-1938 წლებში ი. მელქაძე იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1938 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1960 წ. სადოქტორო დისერტაცია.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ი. მელქაძე გაიწვიეს არმიაში. 1942 წლის აგვისტოში, როდესაც ფა-

შისტური არმიის ნაწილებმა გადალახეს კავკასიონის ულელტეხილი და გეზი სოხუმისაკენ აიღეს, რათა ხელში ჩაეგდოთ შავი ზღვის აფხაზეთის სანაპირო და გაჭრილიყვნენ თბილისისაკენ, ი. მელქაძე მონაწილეობდა ბრძოლებში გაგრისა და სოხუმის დასაცავად. ი. მელქაძის საბძოლო დამსახურების დასტურია მის სახელზე ყოფ. საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის, მარშალ ა. გრეჩკოს ხელმოწერით გამოგზავნილი მისალოცი ბარათი ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით.

ომიდან დემობილიზაციის შემდეგ ი. მელქაძე კვლავ დაუბრუნდა მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალს, 1947 წ. კი გადავიდა სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, სადაც სათავეში ჩაუდგა მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრას. იმ კათედრას, რომელიც აერთიანებდა ძირითად პუმანიტარულ დისციპლინებს, ი. მელქაძე განაგებდა პენსიაში გასვლამდე. იგი სამი ათეულზე მეტი ხნის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველ და არა მარტო ქართველ მხატვართა თაობების აღზრდაში.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ი. მელქაძე ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა საქართველოს კომუნისტური პარტიის, ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხები და სხვ.

ი. მელქაძე მიეკუთვნება მეცნიერ-ისტორიკოსთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს. რომლის კალამს ეკუთვნის ისტორიული მოვლენების შესახებ დაწერილი დოკუმენტური მხატვრული ნაწარმოებები, მათ შორის „კოლხეთის ცისკარი", რომელიც 3-ჯერ გამოიცა.

ღვაწლმოსილი პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე მელქაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

მესხი კალისტრატე ათანასეს ძე

(1905-1988)

დაიბადა 1905 წელს თბილისში. დაამთავრა საქარველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობდა თბილისის ტროლეიბუსების სამმართველოში მთავარ ენერგეტიკოსად. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს მსახურობდა საავიაციო ნაწილში. აქ-

ტიურად მონაწილეობდა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლებში კავკასიის ფრონტზე და ევროპის მთელი რიგი ქვეყნების განთავისუფლებისათვის. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა „ვიესხის" თბილისის ფილიალში და საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

კ. მესხის მეცნიერული მუშაობა ძირითადად შემოისაზღვრებოდა ცხვრის საკრეჭი ელეტრიფიცირებული ხელის აპარატისა და სხვა ორიგინალური ხელსაწყოების შექმნით. მისი ეს ნამუშევრები ფართო მასშტაბით დაინერგა საქართველოს მეცხვარეობის სისტემაში.

ომგადახდილმა ტექნიკის მეცნიერების კანდიდატმა და უფროს მეცნიერ მუშაკმა კ. მესხმა გამოაქვეყნა 90 ნაშრომი და მიიღო საავტორო მოწმობა, დაიმსახურა „წითელი ვარსკვლავის", ორი „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენები და 8 მედალი.

მესხია შოთა ამბაკოს ძე

დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს წალენჯიხის რაიონის ს. ობუჯში, გლეხის ოჯახში. დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ზუგდიდში. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას.

1941-1942 წლებში შ. მესხია იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტზე ჩრდილოეთ კავკასიაში. ფაშისტების მიერ მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა ზურგში და განაგრძო სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. 1948 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1955 წელს გახდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1957 წელს - პროფესორი, 1967 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1956 წლიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე და 1961 წლიდან ისტორიის ფაკულტეტის დეკანიც.

შ. მესხია შესანიშნავად ათავსებდა ერთიმეორესთან პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას. შექმნა საქართველოს ქალაქების ისტორიის სამგომეული. მის შრომას „ძველი საკვირველი“ 1974 წელს მიენიჭა აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია. ის იყო საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომის რედაქტორი და II და III ტომების თანაავტორი. გარდაცვალების შემდეგ მას მრავალტომეულის სხვა ავტორებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მრავალმხრივ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად შ. მესხია ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და არაერთი სხვა სამეცნიერო საბჭოს წევრი. პრინციპულობა მეცნიერულ მუშაობაში, თავმდაბლობა და დიდი გულისხმიერება ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში შ. მესხიას დამახასიათებელი თვისებები იყო.

შ. მესხიას ცხოვრებას და მეცნიერულ ღვაწლს მიეძღვნა რ. მეტრეველის წიგნი „შოთა მესხია“.

ომგადახდილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ შოთა მესხიამ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ და „შრომის წითელი დროშის“ ორდენები და მედლები, მათ შორის „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

მირცხულავა ილია იორდანეს ძე

დაიბადა 1913 წლის 21 მარტს სობის რაიონის ს. ხორგაში, გლეხის ოჯახში. აქვე გაატარა ბავშვობისა და ყრმობის წლები, მიიღო საშუალო განათლება. 1938 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1941 წ. სწავლობდა მოსკოვის უმაღლეს კომუნისტურ სკოლაში, საიდანაც გაიწვიეს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში და იბრძოდა სხვადასხვა ფრონტებზე. ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას საქართველოში. 1958-1964 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვი-

ლის სასელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეფროს მეცნიერ თანამშრომელად, 1964-1970 წლებში - საქართველოს კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. 1970 წლიდან 1976 წლამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერების დარგში სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობით. გამოაქვეყნა 100-ზე მეტი შრომა საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე; წლების განმავლობაში ენერგიულად ხელმძღვანელობდა საზოგადოება „ცოდნის" მთაწმინდის რაიონის ორგანიზაციას. 1950 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად - 1964 წელს გახდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1965 წელს - პროფესორი, 1969 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

იმგადახდილმა ოფიცერმა და მეცნიერმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" და „საპატიო ნიშნის" ორდენები და სხვა ჯილდოები.

მისაბიშვილი შოთა ვლადიმერის ძე

დაიბადა 1920 წ. ქ. სოხუმში, მოსამსახურის ოჯახში. სოხუმის V საკოლმეურნეო სკოლის შემდეგ 1938 წ. დაამთავრა სოხუმის III საშუალო ქართული სკოლა და იმავე წელს შეიყვანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან იგი გაიწვიეს არმიაში და იბრძოდა უკრაინასა და ბელორუსიაში. დაიმსახურა ლეიტენანტის წოდება.

1941 წლის ოქტომბერში ასეულის მეთაური შ. მისაბიშვილი მძიმედ დაიჭრა და რამდენიმე თვე მკურნალობდა მაგნიტოგორსკის ჰოსპიტალში, საიდანაც 1942 წ. მაისში სამედიცინო კომისიამ ის გადაიყვანა ინვალიდთა რიგებში. 1942 წლის სექტემბრიდან შ. მი-

საბიშვილი ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. უნივერსიტეტი დაამთავრა 1947 წ. 1950-1953 წლებში შ. მისაბიშვილი სკკპ ცკ-თან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი იყო და 1953 წ. იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო ოთხი წლის შემდეგ გახდა მეცნიერების დოქტორი.

შ. მისაბიშვილი ავტორია 80 მეცნიერული შრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიისა. მისი სტატიები გამოქვეყნებულია მოსკოვის, ბრატისლავის, პრაღის სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. ჩეხოსლოვაკიაში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებისას მან მოამზადა სამი ჩეხი ასპირანტი. წლების განმავლობაში ის იყო საკავშირო ჟურნალის „ფილოსოფსკიე ნაუკის" სამეცნიერო კონსულტანტი.

1995 წლიდან პროფ. შ. მისაბიშვილი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პოლიტოლოგიის და სოციოლოგიის კათედრის გამგე, აფხაზეთის ომის ვეტერანთა საბჭოს თამჯდომარე, აფხაზეთის სოციოლოგიური ასოციაციის ბიუროს თავმჯდომარე.

შ. მისაბიშვილი დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენებით და მედლებით.

ნახუცრიშვილი გრიგოლ ლუკას ძე

(1922-1984)

დაიბადა 1922 წლის 8 აგვისტოს საგარეჯოს რაიონის ს. ხაშმში. 1939 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის 35-ე საშ. სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური და აღმოსავლური ენების განყოფილებაზე. საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა მას მესამე კურსზე მოუსწრო. 1941 წლის აგვისტოდან 1946 წლის აპრილამდე გ. ნახუცრიშვილი სამხედრო სამსახურში იყო. ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1942-1945 წლებში იყო ბატარეის მეთაური. 1945 წ. მიიღო უფ-

როსი ლეიტენანტის წოდება. გამოირჩეოდა სანიმუშო დისციპლინით და სიმამაცით.

1946 წ. გრ. ნახუცრიშვილი არმიიდან დემობილიზაციით დაბრუნების შემდეგ აღადგინეს უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტად. სწავლის განახლებისთანავე შეუდგა ირანის ფილოლოგიის შესწავლას. უნივერსიტეტის წითელი დიპლომით დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში აკადემიკოსების იუსტინე აბულაძისა და გიორგი ახვლედიანის რეკომენდაციებით. 1953 წ. დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1952 წლიდან მუშაობა დაიწყო ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედინსტიტუტში ზოგადი ფილოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებლის, შემდეგ დოცენტის, ხოლო 1976 წლიდან სიცოცხლის დღემდე ამავე კათედრის გამგის თანამდებობაზე.

გრ. ნახუცრიშვილის მეცნიერული გამოკვლევები კონკრეტული ენათმეცნიერების სფეროში სისტემატურად იბეჭდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია გრ. ნახუცრიშვილის მთარგმნელობითი საქმიანობა. ნათარგმნი აქვს ქართულად ჰინდი ენიდან თანამედროვე მწერლების მოთხრობები და სხვა ნაწარმოებები. 1972 წ. გამოიცა მის მიერ შედგენილი „ქართული ენის თვითმასწავლებელი ინგლისური ენის მცოდნეთათვის" (ინგლისურ ნაწილში თანაავტორ მ. კრავეიშვილთან ერთად). იგი არის რომენ როლანის ტომის რედაქტორი სერიაში „მსოფლიო ლიტერატურა". მონაწილეობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შედგენაში. აქ მის კალამს ეკუთვნის მასალები ინდური ლიტერატურის შესახებ.

1983 წ. გრ. ნახუცრიშვილს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მან დაწერა სადოქტორო დისერტაცია და როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი თავგამოდებით იბრძოდა ქართული ენის უფლებების დასაცავად.

გრ. ნახუცრიშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და მედლები.

ნიჟარაძე ალექსანდრე ივანეს ძე
(1906-1996)

დაიბადა 1906 წლის 18 ივნისს თბილისში, დამსახურებული პედაგოგის, პროფესორ ივანე ნიჟარაძის ოჯახში. 1923 წ. დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია, 1927 წელს - თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი, შეისწავლა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენები და გახდა უცხო ენების მასწავლებელი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც როგორც მეორე უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა წარჩინებით სამთო მექანიკოსის სპეციალობით 1937 წ. დაიწყო მუშაობა თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხანაში ინჟინერ-მექანიკოსად.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ ალ. ნიჟარაძეს მიანიჭეს კაპიტნის წოდება და დანიშნეს სამხედრო წარმოებაზე გადასული თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსად. ქარხანა აწარმოებდა ავტომატებს, რეაქტიულ ნაღმსარტყოცნების („კატიუშების") ნაწილებს და სხვა სახის სამხედრო იარაღებს, რომელთა ნიმუშები ალ. ნიჟარაძემ ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის ბრძანებით ჩაიტანა ქ. კუიბიშევში სერიული წარმოებისათვის ნებართვის მისაღებად. შემოწმების ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ ალ. ნიჟარაძემ განაგრძო მუშაობა გასამხედროებულ ქარხანაში და ამიერკავკასიის ფრონტის შტაბში მთარგმნელად ქართულიდან რუსულ, გერმანულ, ინგლისურ დ ფრანგულ ენებზე.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ - 1948 წ. ალ. ნიჟარაძემ დაიცვა დისერტაცია, გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი და განაგრძო პედაგოგიური მუშაობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ამასთან 1951 წ. ის დააწინაურეს საქართველოს შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში და ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში თბილისში, მოსკოვში, პარიზში და სხვა.

ომისა და შრომის ვეტერანმა, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა ალ. ნიკარაძემ დაიმსახურა „საშაშელო ომის I და II ხარისხის“ ორდენები და მედლები, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ონიანი ვასილ სარდიონის ძე

დაიბადა 1904 წლის 15 აპრილს ლენტეხის რაიონის ს. სასაში, გლეხის ოჯახში, აქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება. 1924 წელს დაგოვა სვანეთი და შეეიდა თბილისის ქარველ მეთაურთა პირველ გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1927 წ. 1927-1939 წლებში იგი იყო საბჭოთა არმიაში დივიზიის კომისარი და პარალელურად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. წითელი არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი ჯერ მუშაობდა თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში, ხოლო 1941 წ. დაინიშნა თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში კათედრის გამგედ.

1942 წ. ე. ონიანი კვლავ გაიწვიეს მოქმედ არმიაში და დაინიშნა 242-ე ქართული სამთო მსროლელი დივიზიის კომისრად. იგი აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში, იცავდა ზემო სვანეთის მთავარი უღელტეხილების სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს. ამასთან დაკავშირებით გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი წერდა: „დივიზიის სამხედრო კომისარი ვასილ ონიანი ოცდაჩვიდმეტი წლის მაღალი, ხმელ-ხმელი, სასიამოვნო სვანი ვაჟკაცი, დიდი პატრიოტული გრძნობით შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. მას საამისო პრაქტიკული მუშაობის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა. მის დაუშრეტელ ენერგიას დივიზიის პირადი შემადგენლობა განცვიფრებაში მოჰყავდა. ვერავინ ვერ იტყოდა დაბეჯითებით, როდის ისვენებდა, ან როდის ეძინა მას. კ. ონიანი, წყნარი და აუჩქარებელი ხელმძღვანელი იყო, მაგრამ საბრძოლო ვითარებაში მეტად სწრაფი რეაქცია ჰქონდა... იყო დივიზიის „თვალი და ყური“. მტრისათვის მიუდგომელი და გადაულახავი გახდა ბაქსანის ხეობიდან კავკასიონის მთავარი ქედის უღელ-

ტეხილით ზემო სვანეთში გადასვლა. მთავარსარდლის დავალება პირნათლად იქნა შესრულებული, რაშიც დიდი წვლილი ვ. ონიანსაც მიუძღოდა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ვ. ონიანი მუშაობდა საქართველოს სამხედრო კომისარიატში პოლიტიკური განყოფილების უფროსად. 1946 წლის სექტემბრიდან იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ისტორიის კათედრის გამგე. 1964 წ. მან მოსკოვში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გახდა პროფესორი. ვ. ონიანი აეტორია 60-ზე მეტი შრომისა, მათ შორის 10 მონოგრაფიისა.

ომგადახდილმა მეცნიერმა ვ. ონიანმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და 16-მდე მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და სხვა.

ოქროპირიძე ზურაბ იოსების ძე

დაიბადა 1914 წ. ქ. თელავში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ - 1938 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1941-1945 წლებში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. დემობილიზაციის შემდეგ - 1948-1956 წწ. მუშაობდა „ვიესხის" საქართველოს ფილიალში მეცხოველეობის განყოფილების გამგედ. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ჯერ მეცხოველეობის მექანიზაციის, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ კი მანქანათა სისტემის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი მუშაკი. გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები მეცხოველეობის საკითხებზე, რომელთაგან აღსანიშნავია ტრაქტორეიბრატორით სილოსის ჩადების საკითხები, რაზედაც მიიღო საავტორო მოწმობა.

ომგადახდილმა მეცნიერმა ზ. ოქროპირიძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და მრავალი მედალი.

პაპავა გიორგი ვლადიმერის ძე

დაიბადა 1923 წ. ქ. სამტრედიაში, მოსამსახურის ოჯახში, რომელიც 1926 წ. გადმოსახლდა თბილისში. გ. პაპავამ 1941 წ. დაამთავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა და საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო ქერჩში 1941-1942 წლებში. 1943 წ. იყო ტყვეობაში. 1944 წლის ნოემბერში ტყვეთა შეთქმულებაში მონაწილეობის გამო ფაშისტებმა დააპატიმრეს და ჩასვეს გესტაპოს საპატიმროში. 1945 წ. დასაწყისში მოაწყო გაქცევა და დაუბრუნდა თავის სამხედრო ნაწილს, იბრძოდა როგორც საბჭოთა მზვერავი. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში.

1946-1951 წლებში გ. პაპავამ წარჩინებით დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობით და 1951-1954 წლებში მუშაობდა ჯერ ჩაქვის, შემდეგ ლაითურის ჩაის ფაბრიკის საგეგმო განყოფილების უფროსად, 1954-1958 წლებში - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მრეწველობის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1959 წ. დაიცვა დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1972 წელს კი სადოქტორო დისერტაცია. 1980 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება. 1982 წლიდან ის მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო სასწავლო გაერთიანების ეკონომიკური ანალიზისა და საფინანსო კონტროლის განყოფილების გამგედ. 1993 წლის ივლისიდან მუშაობს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის სამრეწველო კომპლექსის განყოფილებაში მთავარ მეცნიერ მუშაკად. გამოქვეყნებული აქვს 55 მეცნიერული შრომა, მათ შორის 6 მონოგრაფია და ერთი სახელმძღვანელო, აქვს აგრეთვე რამდენიმე გამოგონება.

ბრძოლისა და შრომის ფრონტებზე გ. პაპავამ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ ორდენი და 8 მედალი, მათ შორის „კავკასიის დიცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“.

პატარავა დიმიტრი ტროფიმეს ძე
(1911-1981)

დაიბადა 1911 წლის 10 ოქტომბერს ჩოხატაურის რაიონის ს. სამებაში, გლეხის ოჯახში. 1937 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული კულტურების ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო-სამეცნიერო-კელეევით ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1942-1943 წლებში იბრძოდა ჩრდილო კავკასიის ფრონტზე, იყო ბატალიონის უფროსის მოადგილე. 1943 წ. გაგზავნეს ბუინინსკის სამხედრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1944-1945 წლებში იყო პირველ უკრაინის ფრონტზე ასეულის მეთაური კაპიტნის წოდებით. 1945 წლის მარტში მძიმედ დაიჭრა და მკურნალობდა ქ. ლეოვის სამხედრო ჰოსპიტალში. 1946 წ. მაისიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა ჩაის და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კელეეითი ინსტიტუტის აგროტექნიკის განყოფილებაში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1949 წ. დ. პატარავამ დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1951 წ. საქართველოს მთავრობის დავალებით ის გაემგზავრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა ჩაის მეთესლეობის საკითხებს.

1952-1973 წლებში დ. პატარავა იყო ჩაის სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო კელეევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1972 წელს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მას მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო სარისხი და გახდა პროფესორიც. მან გამოაქვეყნა 45 შრომა და დიდი როლი შეასრულა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეჩაიეობის განეითარებაში, მისი მრავალმხრივი გამოკელეევების საფუძველზე დამუშავებულია ჩაის ბუჩქის გასხელის სახეების მორიგეობის სისტემები. იგია ჩაის მცენარის ფესვთა სისტემის შესწაელის მეთოდიკის ავტორიც. 1957-1973 წლებში მან, როგორც სწავლულმა რედაქტორმა, დიდი მუშობა გასწია ბიულეტენ „სუბტროპიკული კულტურების“ მაღალ მეცნიერულ დონეზე მომზადებისა და გამოცემისათვის.

ომგადახდილმა დ. პატარავამ დაიმსახურა „სამამულო ომის I, II ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვა ჯილდოები.

ჟვანია გრიგოლ კონდრატეს ძე

დაიბადა 1915 წლის 12 დეკემბერს, ზუგდიდის მაზრის ს. ქვედი ჩხოროწყუში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1934 წელს წარჩინებით დამთავრა ზუგდიდის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1939 წელს - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

1939-1941 წწ. მუშაობდა საქართველოს რადიო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ჩხარის რაიონული გაზეთის რედაქტორად, კითხულობდა ლექციებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

1941 წ. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყების პირველ დღეებშივე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. მსახურობდა შინსახკომის ჯარების 30-ე დივიზიის 119-ე პოლკში ჯერ გარნიზონის უფროსად, შემდეგ კი - სნაიპერთა ასეულის პოლიტხელმძღვანელად. 1943 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სწავლობდა სვერდლოვსკში შინსახკომის ოპერმუშაკთა საკავშირო სკოლაში. 1944 წლის იანვარ-თებერვალში მსახურობდა საქართველოს შინსახკომის ოპერმუშაკად. ჯარიდან დაბრუნდა მაიორის წოდებით.

1944 წლის თებერვლიდან სხვადასხვა დროს მუშაობდა საქ. კპ. ცკ-ში ინსტრუქტორად, ჟურნალ „ბოლშევიკის“ პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგედ, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში სექტორის გამგედ, კითხულობდა ლექციებს პარტიის ისტორიაში სამედიცინო ინსტიტუტში, ფარმაკოქიმიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნიეერსტიტეტში, უცხო ენების ინსტიტუტში. გრ. ჟვანია არის 300-მდე მეცნიერული ნაშრომის აეტორი. 1946 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1959 წ. სადოქტორო დიესერტაცია. არის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გრ. ყეანია დაჯილდოებულია „სამამულო ომის II ხარისხის“ ორდენით და მრავალი მედლით.

სარალიძე ალექსანდრე სევასტის ძე

დაიბადა 1926 წლის 23 მაისს, ზესტაფონის რაიონის ს. ფუთში, გლეხის ოჯახში. 1939 წ. დაამთავრა ფუთის არასრული საშუალო სკოლა და 1942 წ. ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. დაიწყო მუშაობა აგროტექნიკოსად ზესტაფონის რაიონის ს ქვედა საგანოს კოლმეურნეობაში, მაგრამ გაიწვიეს საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში. ოთხთვენახევარი სწავლობდა სნაიპერთა სკოლაში, მიიღო უმცროსი სერჟანტის წოდება და მონაწილეობდა ბრძოლებში ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში, თავი გამოიჩინა ვიტებსკის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში. 1944 წ. 4 იულისს პოლოცკთან მძიმედ დაიჭრა და დაკარგა მარჯვენა ხელი. ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, 1944-1945 წლებში იმუშავა აგროტექნიკოსად ზესტაფონის რაიონში. 1949 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი. 1950-1965 წლებში იყო ახალციხის, გორის და ჯავის ჯიშთა გამოცდის პუნქტის გამგე, 1964 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, მუშაობდა საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კელევით ინსტიტუტში ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილის სტანდარტიზაციის, შენახვის, ბუნებრივი ცხელი წყლების მებოსტნეობაში გამოყენების ლაბორატორიის და მებოსტნეობის განყოფილების გამგედ. 1993 წლიდან არის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი. ალ. საარლიძე არის ავტორი 96 მეცნიერული შრომისა, მათ შორის 11 წიგნისა და ბროშურისა. არის ხუთი გამოგონების და ერთი პატენტის ავტორი. მან გამოიყვანა ლობიოს ჯიში „ლიახვი“, რომელიც დარაიონდა.

ომგადახდილმა ა. სარალიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მებოსტნეობის განვითარებაში და რესპუბლიკაში ითვლება ამ დარგის ერთ-ერთ გამოჩენილ მეცნიერ-სპეციალისტად. მან მოამ-

ზადა 19 ასპირანტი და სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი.

ალ. სარალიძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის“ ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და „შრომის ვეტერანი“.

სილაგაძე ბენიამინ გიორგის ძე
(1920-1999)

დაიბადა 1920წ. ცაგერის რაიონის ს. მახაშში ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ამავე სოფლის ოთხწლიან სასწავლებელში, ხოლო საშუალო -ცაგერის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც 1938 წ. დაამთავრა.

1939 წელს ბ. სილაგაძე მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიაში. მონაწილეობდა ფინეთისა და ბესარაბია-ბუკოვინის სამხედრო ოპერაციებში როგორც რიგითი მებრძოლი.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებას ბ. სილაგაძე შეხვდა ქ. კიშინოვში 22-ე საგანკო პოლკში მძღოლ-მექანიკოსად. გარკვეული დროის მანძილზე ის მუშაობდა ხარკოვის საგრაქტორო ქარხანაში, რომელიც მაშინ უკვე ტანკებს უშვებდა. ამ ქარხნის ნიკნი ტაგილში ევაკუაციის გამო ბ. სილაგაძეც იქ გაგზავნეს სამუშაოდ, სადაც 1941 წლის ოქტომბრამდე დაჰყო.

აქედან თავისიანი აწყობილი ტანკებით გამოგზავნილი ბ. სილაგაძე მონაწილეობდა მოსკოვისათვის ბრძოლებში და უკანდახეულ გერმანელებს სგარაია რუსამდე მისდევდა.

1943 წლის ზაფხულიდან ბ. სილაგაძე უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის განსაკუთრებული დანიშნულების 61-ე მძიმე საგანკო პოლკის შემადგენლობაში იყო. მონაწილეობდა კურსკის, ბელგოროდისა და ხარკოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, რომლის დროსაც მისი საბრძოლო მანქანა დაიწვა, ხოლო პოლკის მეთაური დაიღუპა. თვითონ ბ. სილაგაძე დაიჭრა.

1944 წლის მარტში პროსკუროვოსთან გამართულ ბრძოლაში უკვე მეორედ დაიჭრა, თანაც ისე მძიმედ, რომ ძლივს გადაურჩა მარჯვენა ხელის ამპუტაციას. ამის შემდეგ ბ. სილაგაძე თავის ნა-

წილში დაბრუნდა და მონაწილეობდა ლეოე-სანდომირის ოპერაციაში.

ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში ბ. სილაგაძე მონაწილეობდა ვარშავის, ლოძის, კრაკოვის, პოზნანისა და ლანდსბერგის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. შემდეგ ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე, განსკუთრებით თავი გამოიჩინა ოდერის ფრანკფურტისათვის ბრძოლებში.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა დროულად და პირნათლად შესრულებისათვის მამაცმა ტანკისტმა, მძღოლ-მექანიკოსმა, ბოლოს ინსტუქტორ-მექანიკოსმა ბ. სილაგაძემ მთავრობის ოცამდე ჯილდო დაიმსახურა.

გარდა ამისა, ბ. სილაგაძეს მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინისაგან პირადი მადლობები ბელგოროდის, ხარკოვის, ქ. გნეზეხის განთავისუფლებისათვის, „გერმანიაში შეჭრისათვის", „ოდერზე გერმანიის თავდაცვის გარღვევისათვის" და ბერლინის აღებისას გამოჩენილი მამაცობისათვის.

აღსანიშნავია, რომ ბ. სილაგაძემ დაიმსახურა ქების სიტყელი მარშალ გ. ჟუკოვისაგან და პირველი გვარდიული სატანკო არმიის სარდლის გენერალ-პოლკოვნიკ მ. კატუკოვისაგან.

წითელი არმიის რიგებიდან 1945 წლის ბოლოს დემობილიზებული ბ. სილაგაძე 1946 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა. 1957-1962 წლებში ბ. სილაგაძე პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.

1962 წლიდან ბ. სილაგაძე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში. 1986 წლიდან წამყვან მეცნიერ თანამშრომლად.

ბ. სილაგაძემ 1967 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1973 წელს - სადოქტორო დისერტაცია.

ბ. სილაგაძე 6 მონოგრაფიული გამოკვლევისა და 100-მდე სამეცნიერო წერილის ავტორია. ამ ნაშრომებით ბ. სილაგაძემ საფუძველი დაუდო მამლუქოლოგიის მეცნიერულ შესწავლას საქართველოში.

ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობაში მიღწეული წარმატებისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. სილაგაძე დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით. მამლუქთა ისტორიის შესწავლისათვის გაწეული მეცნიერული შრომის გამო ბ. სილაგაძეს მიღებული აქვს მადლობა ერაყის მეცნიერებათა აკადემიისაგან.

სულაქველიძე ვიქტორ სამსონის ძე
(1919-1984)

დაიბადა 1919 წლის 15 დეკემბერს ვანის რაიონის ს. მთისძირში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. აქვე დაამთავრა ჯერ სოფლის შვიდწლედი, შემდეგ თბილისის საშუალო სკოლა და შეეიდა საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში.

1942 წ. ვ. სულაქველიძე მორხალისედ წაეიდა დიდ სამამულო ომში. ნიჭიერი ახალგაზრდა გაგზავნეს სამხედრო საარტილერიო აკადემიაში, რომლის დამთავრებისთანავე იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. სამი წლის შემდეგ მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და განაგრძო მუშაობა მასწავლებლად, მალე დააწინაურეს სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კათედრის უფროსის მოადგილედ. 1960 წ. კი დანიშნეს კათედრის უფროსად. სადოქტორო დისერაციის დაცვისთანავე გახდა პროფესორი. 1962 წ. მიენიჭა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

ვ. სულაქველიძის კალამს ეკუთვნის 160-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 2 სქელტანიანი მონოგრაფია, 10 სახელმძღვანელო და 15 დამხმარე სახელმძღვანელო. მეცნიერულმა ერუდიციამ, არაჩვეულებრივმა შრომისმოყვარეობამ, ორგანიზატორულმა ნიჭმა, თავდაბლობამ და უბრალოებამ მოუპოვა ვ. სულაქველიძეს ავტორიტეტი მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის მსმენელთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ის დიდ ყურადღებას უთმობდა სამეცნიერო კადრების მომზადებას. მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით

და კონსულტაციით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თერთმეტმა ასპირანტმა, ხოლო სამმა სადოქტორო დისერტაცია. თავისი მეცნიერული საქმიანობით გენერალმა ე. სულაქველიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შეიარაღების ცალკეულ სახეობათა შემუშავების მეცნიერული საფუძვლების განვითარებაში და შექმნა სპეციალისტთა მთელი სკოლა, რომელიც ფართოდ არის ცნობილი და აღიარებული. დიდ მეცნიერულ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა ის სამხედრო აკადემიის ფარგლებს გარეთაც. იყო რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წევრი. მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს სააატესტაციო კომისიის საექსპერტო კომისიას.

სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულმა ომგადახდილმა გენერალმა და მეცნიერმა, რუსეთის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. სულაქველიძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის", „საპატიო ნიშნის" ორდენები, 12 მედალი და უცხოეთის ქვეყნების ჯილდოები.

სულხანიშვილი შოთა ვასილის ძე

დაიბადა 1923 წლის 22 ნოემბერს. 1941 წ. ივნისში დაამთავრა თბილისის 27-ე საშუალო სკოლა. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

1941 წ. 28 აგვისტოდან იგი ჩარიცხეს თბილისის მე-4 რადიო-სატელეგრაფო კურსებზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. ასევე დაამთავრა ქ. მურომის სამხედრო კავშირგაბმულობის მოკლევადიანი სასწავლებელი და მოსკოვის „დანაღმვის და საგანგებო ტექნიკის" ცენტრალური კურსები ლეიტენანტის წოდებით. ოცეულის მეთაურად იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთის, დონის სტეპის, სტალინგრადის, ცენტრალურ და ბელორუსიის ფრონტებზე. მონაწილეობდა ვარშავის განთავისუფლებაში; მდინარეების პრიპიატის, დნეპრის, ბუგის, ვისლის, ნარვის, ოდერის და შპრეეს გადალახვაში.

შ. სულხანიშვილმა მდ. ნარეეის პლაცდარმზე მიიღო კაპიტნის წოდება. ბერლინის აღებისთანავე მისი ასეული გადაიყვანეს მდ. ოდერის მარცხენა სანაპიროზე ფრანკფურტის და გრაიფენპაგენის ქალაქების და მისი მიმდებარე მიდამოების გასანაღმავად.

1945 წლის 15 ივნისს მთავარსარდლობის განკარგულებით მისი ასეული დააბრუნეს ბერლინში იმპერიის კანცელარიაში მისი საფუძველიანი დათვალიერებისა და განაღმვისათვის.

1946 წლის თებერვალში დემობილიზებულ იქნა შ. სულხანიშვილი არმიის რიგებიდან, როგორც ომის ინვალიდი. ამავე წელს იგი შეეიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1951 წ. წარჩინებით დაამთავრა იგი. იმავე წელს მიიღეს როგორც ნიჭიერი სპეციალისტი სამუშაოდ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მან გამოაქვეყნა 40-მდე შრომა და რამდენიმე სახელმძღვანელო. 1970 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1988 წ. კი გახდა მანქანათა ნაწილების კათედრის პროფესორი.

შ. სულხანიშვილი საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია „წითელი დროშის", „ალექსანდრე ნეველის", „სამამულო ომის I ხარისხის" ორი და „წითელი ვარსკვლავის" ორდენებით, აგრეთვე 18 მედლით, მათ შორის „საბრძოლო დამსახურებისათვის", „სტალინგრადის დაცვისათვის", „ვარშავის განთავისუფლებისათვის", „ბერლინის აღებისათვის". მას მინიჭებული აქვს საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. შ. სულხანიშვილი, როგორც მოწინავე ომგადახდილი მეცნიერი 1996 წლიდან არჩეულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ტაბატაძე კარლო გრიგოლის ძე

დაიბადა 1924 წლის 7 სექტემბერს ჭიათურის რაიონის ს. ბერეთისაში, მასწავლებლის ოჯახში. კ. ტაბატაძემ 1942 წ. დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის მე-10 საშუალო სკოლა და სკოლის დამთავრებისთანავე 1942 წლის ოქტომბერში გაიწვიეს არმიაში. იბრძოდა ბელორუსიის პირველი ფრონტის შემად-

გენლობაში, მაგრამ მიიღო მარჯვენა მხრის მძიმე ჭრილობა და 1944 წლის ნოემბერში როგორც ომის ინვალიდი დემობილიზაციით დაბრუნდა.

კ. ტაბატაძემ 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანის ისტორიის განხრით, 1953 წ. დაამთავრა ასპირანტურა ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1953-1956 წწ. კ. ტაბატაძე მუშაობდა ლექტორად მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. 1957 წლის იანვრიდან კი მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომელად, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1986 წლის ოქტომბრიდან არის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი.

1973 წელს კ. ტაბატაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი მუშაობის პროფილს წარმოადგენს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროების შესწავლა და მათი ისტორიული ანალიზი. ამ მხრივ მან ბევრი რამ ახალი შესძინა ქართულ ისტორიოგრაფიას.

კ. ტაბატაძის ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას მოწმობს ის, რომ მას გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო შრომა.

კ. ტაბატაძე იყო საქართველოს კომპარტიის ცკ-ის შტატგარეშე და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, ხშირად კითხულობდა ლექციებს აღმოსავლეთმცოდნეობის პრობლემებსა და სხვა საკითხებზე.

ომგადახდილი მეცნიერი კ. ტაბატაძე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სარდლობის დავალებათა შესრულებისა და გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის“ ორდენით და მედლებით.

ტაბაღუა ილია მაქსიმეს ძე

დაიბადა 1919 წლის 12 მარტს ზუგდიდის რაიონის ს. კახათში. დაწყებითი განათლება მიიღო ს. კახათში, ხოლო საშუალო განათლება - ზუგდიდსა და ქ ფოთში. სწავლის წარჩინებული ი. ტაბაღუა 1937 წ ეგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრებამდე საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე იგი საბჭოთა არმიაშია, დაამთავრა საზენიტო საარტილერიო სკოლა ბაქოში, მიიღო ლეიტენანტის წოდება და გაიგზავნა მოსკოვში. მსახურობდა ჯავშან-სატანკო ნაწილებში. მონაწილეობდა ომში ჩრდილო-დასავლეთის, სტალინგრადის, სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის და მე-4 უკრაინის ფრონტებზე.

1943 წლიდან კაპიტნის წოდებით მონაწილეობდა ყირიმის (სიმფეროპოლის) გათავისუფლებაში, სადაც დაიჭრა. 1945 წ. აპრილში ი ტაბაღუა გაათავისუფლეს ჯარიდან როგორც ინვალიდი. თბილისში დაბრუნების შემდეგ განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ იგი მიავლინეს მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლეს დიპლომატიურ აკადემიაში. მან დაამთავრა ამ სასწავლებლის ფრანგული განყოფილება 1947 წ. (საკანდიდატო დისერტაციის დაცვის უფლებით)

ილია ტაბაღუა ერთხანს მუშაობდა მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების რეფერენტ-ატაშეს თანამდებობაზე. 1948 წლის იანვარში გადმოვიდა საქართველოში, დაიწყო მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და შეთავსებით - თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მსოფლიოს ახალი ისტორიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1950 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1962 წლამდე იმავე კათედრაზე ეკავა დოცენტის თანამდებობა და კითხულობდა ლექციებს მსოფლიოს უახლეს ისტორიაში.

1961-62 სასწავლო წელს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდა პარიზში, სადაც მუშაობდა საფრანგეთის არქივებსა

და წიგნსაცავებში და ესწრებოდა ლექციებს სორბონის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. პარიზიდან დაბრუნების შემდეგ 1962 წლის სექტემბრიდან გადავიდა მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც 1969 წლიდან ხელმძღვანელობს ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებას, არის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1980), კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მისი ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 20-მდე ახალგაზრდა ისტორიკოსმა. 1960-1985 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო კონგრესების აქტიური მონაწილე: სტოკპოლმში, ვენაში, მოსკოვში, სან-ფრანცისკოში, შტუტჰარდტში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, იტალიის ისტორიკოსთა კონფერენციების აქტიური მონაწილე მოსკოვში, პარიზში, ტულუზაში, რომში, ვენეციაში.

სხვადასხვა დროს იმყოფებოდა სამეცნიერო მიელინებებით საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ავსტრიაში, პოლონეთში, სადაც მუშაობდა არქივებსა და წიგნსაცავებში. უნივერსიტეტების მიწვევით ლექციებით გამოდიოდა საფრანგეთში (პარიზი, ტულუზა), იტალიაში (ვენეცია, ფლორენცია, რომი, ნეაპოლი), ესპანეთში (მადრიდი, ვალიადოლიდი, სალამანკა), ავსტრია (ვენა, ინსბრუკი), პოლონეთი (ვარშავა, ლოძი), აღმანეთი (ქაბული). 1939 წლიდან სკკპ წევრი 1987 წელს თვითონ გავიდა პარტიიდან.

ი. ტაბაღუა არის 170-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მოპოვებული მასალების საფუძველზე შექმნილი მონოგრაფიებისა, რომელთა ნაწილი ქვეყნდება სერიით: „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XII ს-დან 1924 წლამდე). გამოქვეყნებულია 4 ტომი. ამას გარდა მან გამოაქვეყნა მონოგრაფიები: საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII ს-ის პირველ მეოთხედში (სადოქტორო დისერტაცია); საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII ს. მეორე ნახევარში; საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის დოკუმენტები (1715-1720 წწ.), ტ. I; უცხოური მასალები საქართველოს შესახებ XVIII ს. I მეოთხედში; საქართველო-ესპანეთის

ურთიერთობა XI-XVII სს. (ესპანურად და ქართულად) ესპანელი პროფ. ლუის სილ ფერნანდესის თანაავტორობით (გამოაქვეყნა მადრიდის უნივერსიტეტმა) და სხვ.

ომგადახდილი პროფესორი ილია ტაბაღუა დაჯილდოებულია „სამამულო ომის I და II ხარისხის“ ორდენებით და მედლებით, მათ შორის: „სტალინგრადის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ფარჯანაძე ალექსანდრე გიორგის ძე

დაიბადა 1917 წლის 7 მაისს ქ. ქუთაისში, მოსამასახურის ოჯახში. 1935 წ. დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა და 1938 წ. განაგრძო სწავლა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან - 1941 წ. სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. სწავლობდა თელავის ოფიცერთა სკოლაში, რომელიც დაამთავრა ლეიტენანტის სამხედრო წოდებით და შემდეგ გაგზავნეს ყირიმში მოქმედი არმიის №825-ე სამთო მსროლელ პოლკში.

ომის დამთავრებისა და დემობილიზაციისთანავე 1945 წელს სწავლა განაგრძო იმავე უმაღლესი სასწავლებლის - ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1947 წ. და დაიწყო მუშაობა კოჯრის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. 1953-1955 წლებში იყო თბილისის ელექტროტექნიკუმის მათემატიკის მასწავლებელი, შემდეგ თბილისის მე-18 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

1960 წლიდან ა. ფარჯანაძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1966 წ. წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1975 წ. მიიღო უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო წოდე-

ბა. ამავე წელს პედაგოგიკური მეცნიერების დარგში მიღწეული წარმატებისათვის მას მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ალ. ფარჯანაძე 1965 წლიდან მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის სწავლების მეთოდიკის სექტორის გამგედ და ხელმძღვანელობს საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების მათემატიკის სექციას. მას გამოქვეყნებული აქვს 61 მეცნიერული შრომა, მათ შორის სამი მონოგრაფია.

ალ. ფარჯანაძე დაჯილდოებულია „სამამულო ომის I და II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენებით და მედლებით, მათ შორის: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ფაცურია ანდრია ჯოტოს ძე

(1910-1959)

დაიბადა 1910 წ. გალის რაიონის ს. ოტობაიაში, გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1937 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა, გულმოდგინედ ემზადებოდა დისერტაციის დასაცავად. მაგრამ 1941 წ. საბჭოთა კავშირის ომის დაწყებიდანვე გაიწვიეს მოქმედ არმიაში, იყო პოლიტხელი, მალე გახდა კაპიტანი. მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში და ბრძოლაში სტალინგრადისათვის. ვოლგისპირეთიდან წამოსულმა 1943 წლის ზაფხულის ოპერაციაში ისახელა თავი კურსკის რკალზე და 1944 წ. დნეპრის გადალახვისათვის გააფთრებულ შეჯახებებში, იყო დაჭრილი, მაგრამ არ მიუტოვებია ბრძოლის ველი.

ომის დამთავრების შემდეგ ა. ფაცურია დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. 1949 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1953 წ. დააწინაურეს პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. 1950-1958 წლებში მან გამოაქვეყნა 25-მდე მეცნიერული შრომა.

ომგადახდილმა მეცნიერმა, ა. ფაცურიამ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ და „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები, აგრეთვე მრავალი მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“ და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ფეიქრიშვილი იოსებ ფირუზის ძე

დაიბადა 1915 წ. ქ. თელავში, მუშის ოჯახში. 1931 წ. დაამთავრა თელავის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1933-1935 წლებში მუშაობდა წინანდლის მეურნეობაში ჯერ უფროს მოანგარიშედ, შემდეგ ბუხჰალტერად. 1941 წ. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე გაიწვიეს მოქმედ არმიაში, სამხედრო ქიმიურ აკადემიაში. მეთაურთა სპეციალური მოკლევადიანი კურსების გავლის შემდეგ მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და 1941 წლის ოქტომბერში გაგზავნეს ბრიანსკის ფრონტზე 287-ე მსროლელ დივიზიის ქიმიური ასეულის მეთაურის მოადგილედ. 1942 წ. იელისში გადაიყვანეს ქიმიური სამსახურის უფროსად. 1942 წ. მიენიჭა ჯერ უფროსი ლეიტენანტის, შემდეგ - კაპიტნის წოდება. ი. ფეიქრიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ჯერ კურსკის რკალზე წარმოებულ გააფთრებულ სამხედრო ოპერაციებში, შემდეგ იბრძოდა ბელორუსიის, უკრაინისა და პოლონეთის განთავისუფლებისათვის.

1945 წ. ი. ფეიქრიშვილი უკვე მტრის ტერიტორიაზე მონაწილეობდა ბერლინის აღებისათვის ბრძოლაში, სადაც დაჭრის მიუხედავად ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ბერლინის აღების შემდეგ ჩაება საომარ მოქმედებაში ქ. პრაღის განთავისუფლებისათვის.

1945 წლის ნოემბრიდან დემობილიზაციის შემდეგ ი. ფეიქრიშვილმა მუშაობა დაიწყო საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის თელავის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად. 1947-1950 წწ. დაამთავრა ასპირანტურა მეღვინეობის განხრით და 1953 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მუშაობა გა-

ნაგრძო ამავე ინსტიტუტის მესხეთის საყრდენი პუნქტის გამგედ. 1953 წ. ოქტომბერში გადაიყვანეს ახლად ჩამოყალიბებულ თელავის ზონალურ საცდელ სადგურში სწავლულ მდივნად. 1955 წ. აქვე გახდა მეღვინეობის განყოფილების უფროსი .მეცნიერ თანამშრომელი.

1965 წ. ი. ფიექრიშვილი გადაიყვანეს საქართველოს მებაღეობის, მეევნახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ახლადშექმნილ ანტიბიოტიკების განყოფილების გამგედ. 1989 წ. იანვრიდან ის მოხუცებულობის გამო გაეიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ი. ფეიქრიშვილს გამოქვეყნებული აქვს 18 მეცნიერული შრომა და თანააეტორებთან ერთად მიღებული აქვს 4 სააეტორო მოწმობა. მის მიერ გაწეული ექსპერიმენტული მუშაობის შედეგების საფუძველზე ალაზნის მარცხენა მსარე დაყოფილია 8 მიკრორაიონად. ყოველი მათგანი, ნიადაგობრიეი და მიკროკლიმატური პირობების შესაბამისად, არსებული ვაზის ჯიშებიდან მიღებული ღვინოების ხასიათისა და ღირსების მიხედვით დაყოფილია აგრეთვე ცალკე უბნებად. მიღებულ შედეგებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ხარისხოვანი მეღვინეობის განეითარებისათვის.

ი. ფეიქრიშვილი დაჯილდოებულია: „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენებით და მედლებით: „ბერლინის აღებისათვის", „პრაღის განთავისუფლებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ფერაძე გიორგი ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1923 წ. ქ. ბორჯომში მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის №17 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე 1941 წ. გაიწვიეს არმიაში, სადაც მსახურობდა 1945 წლამდე. იგი მონაწილეობდა კავკასიის გმირულ დაცვაში და სხვა დიდმნიშვნელოვან საომარ ოპერაციებში.

1945-1949 წლებში გ. ფერაძემ დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებოსტნეობა, მებაღეობა-მეევენახეობის ფაკულტეტი და მიიღო სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია. მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში აგრონომად. 1954 წ. დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა მეხილეობის განხრით. 1954 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1955-1957 წწ. მსახურობდა მეხილეობის საცდელი სადგურის ჯავის საყრდენი პუნქტის გამგედ, ხოლო 1957-1977 წწ. მებაღეობის, მეევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელ სადგურში მეხილეობის განყოფილების გამგედ.

1970 წლიდან გარდაცვალებამდე გ. ფერაძე იყო საქართველოს მებაღეობის, მეევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში მეხილეობის სელექციის განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკი. გამოაქვეყნა 40-ზე მეტი ნაშრომი. მან განსაკუთრებით ნაყოფიერი მუშაობა გასწია საქართველოს ხეხილოვანი კულტურების ეერტიკალური ზონალობის მიხედვით გაადგილების საკითხებზე.

ომგადახდილმა გ. ფერაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და 7 მედალი, მათ შორის „კავკასიის დაცვისათვის" და სხვ.

ქარჩავა ვლადიმერ ივანეს ძე

დაიბადა 1920 წლის 4 თებერვალს ჩხოროწყუს რაიონის ს. ხაბუმეში, გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო მშობლიურ სოფელში. საშუალო განათლება კი - წალენჯიხის რაიონულ სკოლაში. 1938 წ. ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. საბჭოთა კავშირის დიდმა სამამულო ომმა ვ. ფეიქრიშვილს მოუსწრო პირველ კურსზე. 1941 წლის დეკემბერში დაამთავრა თელავის სამხედრო სასწავლებელი უმცროსი ლეიტენანტის წოდებით და 1942 წლის იანვარში მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე. მტერთან უთანასწორო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. ექვსი თვე

მკურნალობდა ბაქის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მას გადაეცა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი და მიენიჭა უფროსი ლეიტენანტის წოდება. 1943 წლის მაისში ე. ქარჩავა როგორც ინვალიდი დემობილიზაციით დაბრუნდა შინ. 1943 წ. სექტემბერში სწავლა განაგრძო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1944 წ. 1951 წლიდან სწაველობდა ასპირანტურაში. 1953 წ. დაიცვა საკანდიდატო, 1976 წ. სადოქტორო დისერტაცია. გამოაქვეყნა მთელი რიგი სამეცნიერო შრომები. მისი ნაშრომები სისტემატურად ქვეყნდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის, აგრეთვე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომებში. 1987 წ. მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება და განაგრძო ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა პროფესორის თანამდებობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში.

ე. ქარჩავამ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და მედლები.

ქაჯაია ოთარ მიხეილის ძე

დაიბადა 1923 წლის 29 იელისს მარტვილის რაიონის ს. ბანძაში, გლეხის ოჯახში. 1939 წ. წარჩინებით დაამთავრა ბანძის საშუალო სკოლა, როგორც ფრიადოსანი, მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად ჩარიცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1941-1944 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1942 წ. სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიანიჭეს ლეიტენანტის წოდება. იგი იბრძოდა ეორონეჟის, კალინინისა და ბალტიის-პირეთის ფრონტებზე. ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ იქნა 1944 წ. მუშაობდა მარტვილის რაიონის აბედათის საშუალო სკოლაში სამხედრო საქმის ხელმძღვანელად და ქართული ლიტერატურის მასწავლებლად. 1948 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტი, 1951 წ. - ასპირანტურა. 1953 წ. მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1961 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება.

1952-1971 წლებში მუშაობდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ მასწავლებლად, შემდეგ უფროს მასწავლებლად, დოცენტად, 1961 წლიდან - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგედ. 1971 წ. მუშაობა განაგრძო თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 1972-1975 წლებში იყო ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. შემდეგ პროორექტორი სასწავლო დარგში. 1993 წლიდან იგი სამეცნიერო-კელეეითი ნაწილის ხელმძღვანელია და ქართული ენის კათედრის დოცენტი. ო. ქაჯაიამ გამოაქვეყნა 50-ზე მეტი ნაშრომი.

ო. ქაჯაია დაჯილდოებულია „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენით, მედლებით, მათ შორის: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „მამაცობისათვის".

ქვათაძე კორნელი გერასიმეს ძე

დაიბადა 1920 წლის 1 იანვარს ხონის რაიონის საწულუკიძეოში. 1937 წ. დაამთავრა ხონის საშუალო სკოლა ფრიადოსნის ატესტატით და ამავე წელს განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. მაგრამ 1941 წ. 22 ივნისს დაიწყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი და იგი მესამე კურსიდან მოხალისედ ჩაირიცხა თელავის სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1942 წლის მარტში ლეიტენანტის წოდებით. იგი მონაწილეობდა ქერჩის, აჯიმუშკაის კატაკომბებში მიწისქვეშა გარნიზონის მძიმე ბრძოლებში. შემდეგ იბრძოდა ბუდაპეშტში, სადაც მძიმედ დაიჭრა 1945 წლის 29 იანვარს და მკურნალობდა ჰოსპიტლებში.

მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა დემობილიზაციის შემდეგ 1946 წლის იანვარში, მაშინვე განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1950 წელს.

დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. გამოაქვეყნა 60-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია, უკანასკნელად მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „პოზიტიური სტალინი და კაცობრიობის მარადისობა“.

ომგადახდილმა მეცნიერმა კ. ქვათაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის“ ორდენი და 12 მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის“, „ბუდაპეშტის აღებისათვის“, „გერმანიაზე გაიმარჯვებისათვის“.

ქორთუა ნიკოლოზ მელიტონის ძე

(1922-1998)

დაიბადა 1922 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის ს. აბასთუმანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1938 წ. დაამთავრა ამავე რაიონის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ მის დამთავრებამდე - 1941 წ. გაიწვიეს წითელ არმიაში. იგი მონაწილეობდა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში. ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობის გამო 1943 წ. გაათავისუფლეს მოქმედი არმიიდან.

1946 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიის სპეციალობით. შემდეგ სწავლობდა ლენინგრადის ასპირანტურაში. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, დაინიშნა თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორად. 1957 წ. კი დააწინაურეს ამავე ინსტიტუტის რექტორად. მან 1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მიიღო პროფესორის წოდება. 1982 წ. გახდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. 1984 წ. დანიშნეს ნ. ქორთუა კათედრის გამგედ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1992 წლის სექტემბრიდან კი გადაეიდა პროფესორ-კონსულტანტად. ნ. ქორთუა ავტორია 50-ზე მეტი შრომისა, მათ შორის ხუთი მონოგრაფიისა, რომელთა ნაწილი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებს.

ო

1951-1953 წლებში ვ. ქოჩორაძე მუშაობდა მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იყო საქართველოს უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე. 1961-1972 წწ. მუშაობდა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. წარმატებული ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებული იყო მრავალი დიპლომითა და სიგელით

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის ვ. ქოჩორაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენები და მრავალი მედალი.

ღლონტი ალექსანდრე ანდრიას ძე

(1912-1999)

დაიბადა 1912 წლის 5 ივნისს ოზურგეთის რაიონის ს. დვაბზუში. 1932 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1936 წ. - ასპირანტურა. 1941 წ. მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1958 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მიენიჭა პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებები.

1941-1945 წლებში ალ. ღლონტი იმყოფებოდა მოქმედ არმიაში, იყო უფროსი ლეიტენანტი. ომში გაწვევამდე იგი მუშაობდა რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებში განყოფილების გამგედ. სახელმწიფო გამომცემლობაში განაგებდა ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის განყოფილებას. მუშაობდა გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ და ფაკულტეტის დეკანად.

1945 წ. დემობილიზაციის შემდეგ, დაბრუნდა გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ქართული ენის კათედრის გამგედ და დოცენტად. 1952-1958 წლებში მოღვაწეობდა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სათაეში ედ-

გა ქართული ენის კათედრას. შემდეგ მუშაობა განაგრძო თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრის პროფესორად, კათედრის გამგედ. 1991 წლიდან იგი ამავე კათედრის პროფესორია.

ალ. ღლონტი ფართო დიაპაზონის მეცნიერია. მისი ინტერესების სფეროში შემოდის ქართული ენის სტრუქტურის, ლექსიკის, ლექსიკოგრაფიის, ტოპონიმიკის, დიალექტოლოგიის, ფოლკლორისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები. მეცნიერების ეს დარგები მან გაამდიდრა საინტერესო გამოკვლევებით, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ოსურ ენებზე. ის არის ენათმეცნიერების ახალი დარგის - ონომოტოლოგიის ფუძემდებელი ჩვენში. მრავალი მეცნიერული წამოწყების ორგანიზატორი.

ალ. ღლონტმა დაარსა სამეცნიერო სერია „ტოპონომიკური ძიებანი", რომელიც 9 წიგნად დაიბეჭდა. მან ადგილზე ჩაიწერა და გამოაქვეყნა დიდძალი ფოლკლორული მასალა. მის მიერ გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრები ათზე მეტ ტომს შეიცავს. იგი 60-ზე მეტი წელიწადი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში. აღზარდა ასობით პედაგოგი, ათობით ასპირანტი და დოქტორანტი.

ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ალ. ღლონტმა დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის", „შრომის წითელი დროშის" ორდენები და 12 მედალი, მათ შორის: „სტალინგრადის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ყიფიანი როსტომ იასონის ძე
(1916-1987)

დაიბადა ქ. თბილისში 1916 წ. მოსამსახურის ოჯახში. 1941 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი - ფიზიკური ქიმიის სპეციალობით. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს შეიარაღებულ ძალებში. 1944 წლის თებერვალში კონტუზიისა და მხედ-

ველობის მკვეთრი გაუარესების გამო დემობილიზებულ იქნა. 1946 წ. იანვრიდან ჩაირიცხა ასპირანტად საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1951 წ. დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1971 წ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1984 წ. გახდა პროფესორი, ხოლო 1985 წ. მიიღო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს 12 საავტორო მოწმობა და რაციონალიზატორული წინადადებების დიპლომი. შექმნილი აქვს მცენარეთა დაცვის ეფექტური პრეპარატები.

რ. ყიფიანი პირველი მეცნიერია, რომელმაც რადიოაქტიური ოზოტიპები და გამოსხივებანი გამოიყენა სასოფლო-სამეურნეო და ტყის კულტურების მავნებლების შესწავლასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებათა დანერგვაში. 1972 წ. საქართველოს მინისტრთა საბჭომ დააჯილდოვა სპეციალური პრემიით ნაძვის დიდი ლაფანჭამიას წინააღმდეგ ეფექტური პრეპარატის შექმნისათვის. 1976, 1978, 1980 1982 წლებში მან მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების დიპლომები. 1974, 1983, 1984 წლებში - საკავშირო გამოფენის დიპლომები და საბჭოთა კავშირის გამომგონებლის საპატიო ნიშანი.

ომგადახდილი მეცნიერი რ. ყიფიანი 40 წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა ბიოფიზიკური მეთოდების განყოფილებას, რომელსაც 1991 წ. მიენიჭა მისი დამაარსებლისა და უცველი ხელმძღვანელის პროფესორ როსტომ ყიფიანის სახელი.

სამამულო ომის ინვალიდმა რ. ყიფიანმა დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის ორდენი“ და მედლები „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლისთავი“.

ყურაშვილი ბორის ეპიფანეს ძე

დაიბადა 1912 წლის 13 იანვარს მარტვილის რაიონის ს. ჯოლევში, პედაგოგის ოჯახში. არასრული საშუალო განათლება მიიღო ს. ბანძაში. 1930 წ. დაამთავრა ახალსენაკის პედაგოგიური ტექნიკუმი და ორი წელი მუშაობდა მასწავლებლად. 1937 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი, რის შემდეგ დატოვეს ასისტენტად ბიოლოგია-პარაზიტოლოგიის კათედრაზე, სადაც დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო სარისხი.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ 1941 წლის სექტემბერში ბ. ყურაშვილი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, როგორც კავკასიის ფრონტის 49-ე საარტილერიო პოლკის ოცეულის მეთაური ლეიტენანტის წოდებით. იგი შეუპოვრად იბრძოდა კავკასიაში შემოჭრილი ფაშისტების წინააღმდეგ, მაგრამ მძიმედ დაიჭრა და 1943 წლის დასაწყისში დემობილიზაციით დაუბრუნდა თბილისს. 1947 წ. დაამთავრა მეორე უმაღლესი სასწავლებელი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მიიღო მკურნალი ექიმის წოდება.

ბ. ყურაშვილი 1955 წელს გახდა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1956 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1994 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბ. ყურაშვილი თითქმის ექვსი ათეული წელი ეწევა ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი (მათ შორის - 13 მონოგრაფია), ბ. ყურაშვილმა არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს ეკოლოგიურ-ფაუნისტურ, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და რაციონალურად გამოყენების, წყალსატევების, ნიადაგის გაბინძურებისა და მასთან ბრძოლის პრობლემებს, რომლებსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. 1966 წელს მას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი საკავშირო მიღწევათა გამოფე-

ნის მთავარი კომიტეტის მიერ დაჯილდოვებულია ბრინჯაოს და ვერცხლის მედლებით.

ბ. ყურაშვილი ერთ-ერთი ავტორი და რედაქტორია „საქართველოს რესპუბლიკის წითელი წიგნის“ ზოოლოგიური ნაწილისა, რისთვისაც მას 1985 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

ბ. ყურაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით და კონსულტაციით შესრულებული და დაცულია 25 საკანდიდატო და ორი სადოქტორო დისერტაცია.

ბ. ყურაშვილი დაჯილდოებულია „სამამულო ომის II ხარისხის“, „ხალხთა მეგობრობის“, ორი „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, მრავალი მედლით და საპატიო სიგელით.

ბ. ყურაშვილის მიერ გაწეულ დიდ ღვაწლზე მიუთითებს ისიც, რომ მისი გვარი 1995 წლიდან შეტანილია ამერიკული ცხოვრების „ვინ ვინ არის მსოფლიოში“ მე-12-ე გამოცემაში.

შათირიშვილი შოთა იროდიონის ძე

დაიბადა 1921 წლის 22 აგვისტოს ჩოხატაურის რაიონის ს. შუასურებში. 1939 წელს წარჩინებით დაამთავრა შუასურების საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ გაიწვიეს წითელ არმიაში და 1941 წლის აგვისტოში მოკლეევადიანი სამხედრო სასწავლებლის დამთავრებისთანავე იგი ომის ფრონტებზეა. მონაწილეობდა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში, ოთხჯერ დაჭრის შემდეგ 1946 წ. დემობილიზებულ იქნა. იმავე წლის სექტემბრიდან განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წ. შემდეგ დაამთავრა ასპირანტურა ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალობით. 1955 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერ-

ტაცია. 1955-1960 წწ. მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უცხო ენების კათედრაზე.

1960 წელს შ. შათირიშვილი გადაიყვანეს საქართველოს განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის უცხო ენების სწავლების მეთოდიკის განყოფილების გამგედ. 1974 წ. მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მიიღო პროფესორის წოდება. გამოაქვეყნა 160-ზე მეტი მეცნიერული შრომა,. მათ შორის 10 მონოგრაფია და სასკოლო სახელმძღვანელო.

პროფ. შ. შათირიშვილმა პროფ. ივ. კეაჭაძესთან და ის. გვარჯალაძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში უცხოური ენების სწავლების ლინგვო-დიდაქტიკურ კვლევას. მან პირველმა შექმნა საქართველოში გერმანული ენის სწავლების მეცნიერულად დამუშავებული კურსი ქართული სკოლებისათვის და დაიმსახურა კიდეც იაკობ გოგებაშვილის პრემია.

პროფ. შ. შათირიშვილი დაჯილდოებულია „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენებით და მედლებით.

ჩარკვიანი ალექსანდრე ილიას ძე

(1915-1994)

დაიბადა 1915 წლის 15 სექტემბერს ს. ლადრეღში, გლეხის ოჯახში. ბავშვობის ასაკიდან შეიყვარა შრომა და სწავლა. 1929 წ. წარჩინებით დაამთავრა ს. ეცერის ოთხწლიანი, 1932 წ. ს. ბეჩოს გლეხი ახალგაზრდობის სკოლა, 1937 წ. - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. მუშაობდა ეცერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად, შემდეგ რაიონული გაზეთის „ახალი სვანეთის" რედაქციაში ინსტრუქტორად. 1940-1942 წლებში იყო საქართველოს კომპარტიის ზემო სვანეთის რაიკომის სამხედრო განყოფილების გამგე.

1942-1943 წლებში ალ. ჩარკვიანმა უნარიანად უხელმძღვანელა სპეციალური დანიშნულების პარტიზანულ რაზმს სვანეთის

მთებში და დაიმსახურა უფროსი ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1943 წელს ის დაინიშნა ერთ-ერთი რაზმის მეთაურად, იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. იყო 242-ე ქართული სამთო მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-მაიორი გ. ყურაშვილი.

უფროსი ლეიტენანტის ალ. ჩარკვიანის მეთაურობით დივიზიის შენაერთებზე მიმაგრებული ოცეული კარგად ორიენტირებული მეგზურის როლსაც ასრულებდა. ამავე დროს იყო უღელტეხილებზე მძლავრი თავდაცვითი ზღუდეების შექმნის ხელმძღვანელი. ამ ოცეულის მეომრები ფხიზლად და უშიშრად დარაჯობდნენ აგრეთვე სახიფათო უბნებს. ალ. ჩარკვიანის მეთაურობით დივიზიის რაზმელები მრავალგზის ოსტატურად შედიოდნენ მტრის ზურგში და ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს აწოდებდნენ 242-ე დივიზიის შტაბს. ამ რაზმელებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს ფაშისტი ურდოებისაგან ბალყარეთის მაღალმთიანი რაიონების გათავისუფლებაში. 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის სარდლობამ სვან რაზმელებს მიახდო ამ რაიონებში ოკუპანტთა აღმოჩენა და განადგურება, ეს დავალება მათ პირნათლად შეასრულეს.

მარშალმა გ. ჟუკოვმა, გენერალმა ა. გრეჩკომ, ს. შტემენკომ და სხვა სარდლებმა მეორე მსოფლიო ომის საკითხებზე თავიანთ ნაშრომებში მაღალი შეფასება მისცეს სვანთა რაზმების მოქმედებას კავკასიის დაცვაში, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა ალ. ჩარკვიანი.

ალ. ჩარკვიანი ომის შემდეგ მუშაობდა საქართველოს კპ ზემო სვანეთის რაიკომის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ, ხოლო 1949 წლის სექტემბერში აირჩიეს რაიკომის მდივნად. სწავლობდა საქართველოს პარტიულ სკოლაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. იგი 20 წელზე მეტ ხანს მუშაობდა მესტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1968 წ. ალ. ჩარკვიანმა დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა და დაიწყო მუშაობა ჯერ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, შემდეგ კი სა-

ქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფრს მეცნიერ თანამშრომლად.

ალ. ჩარკეიანმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ ორდენი, „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენი და 14 მედალი, მათ შორის „მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ჩიქავა იოსებ ლავრენტის ძე

დაიბადა 1922 წლის 16 აპრილს ზუგდიდის რაიონის ს. კოკში, მასწავლებლის ოჯახში. 1938 წ. ზუგდიდის საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ 1941 წლის აგვისტოში IV კურსის სტუდენტი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში და ომის დამთავრებამდე როგორც მზვერავ-მეომარი თავდადებით იბრძოდა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ჩრდილო კავკასიის, ყირიმის, უნგრეთის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის ფრონტებზე. ავსტრიის დედაქალაქ ვენის აღების ოპერაციაში მან თავისი გმირული ბრძოლით ხელი შეუწყო ქალაქის მოსახლეობის აჯანყების გამარჯვებას 1945 წლის აპრილში გერმანელ ფაშისტებზე და თავის მამაც რაზმელებთან ერთად დაიმსახურა გვარდიელი მზვერავის სახელი, რაც საფუძველი გახდა ი. ჩიქავასათვის კაპიტნის სამხედრო წოდების მისანიჭებლად.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ო. ჩიქავა დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში და IV კურსიდან განაგრძო სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ ი. ჩიქავა მუშაობდა საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის აპარატში განყოფილების გამგედ, აგრეთვე რაიონული გაზეთ „მებრძოლის“ პ/მგ რედაქტორად და პარალელურად სწავლობდა დაუსწრებლად ასპირანტურაში.

1954-1960 წლებში ი. ჩიქავა იყო ზუგდიდის პარტრაიკომის მეორე მდივანი, ხოლო 1960-63 წლებში - საქართველოს კპ წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი, 1964-1965 წლებში ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი. 1966 წლის იანვრიდან ი. ჩიქავა მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად. 1960 წელს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1972 წელს - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 1979 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება, იგი არის 53 სამეცნიერო შრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიის ავტორი. მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს ისტორიის ნარკვევების VII ტომის და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილი საქართველოს დამხმარე სახელმძღვანელოს (1984) შექმნაში. კითხულობდა ლექციებს ზუგდიდის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში. 1950-1965 წლებში იყო საზოგადოება „ცოდნის" ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, 1966 წლიდან კი იყო ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ხოლო 1980 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

ომგადახდილმა პროფესორმა ი. ჩიქავამ დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის" ორდენები და 12 მედალი, მათ შორის 2 მედალი საბრძოლო „მამაცობისათვის", „კავკასიის დაცვისათვის" „ევნის აღებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ჩხაიძე დავით ქრისტოფორეს ძე

დაიბადა 1943 წ. სამტრედიაში, მუშის ოჯახში. 1941 წელს დამთავრა სამტრედიის №1 საშუალო სკოლა და მოხალისედ წავიდა საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში, იბრძოდა უკრაინის მესამე ფრონტზე.

1946 წლის აპრილში დემობილიზაციით დაბრუნდა საქართველოში და სწავლას შეუდგა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1951 წ. გახდა აგრონომი. მუშაობდა ჯერ უბ-

ნის აგრონომად ოზურგეთის რაიონის ს. შემოქმედში, შემდეგ ჩაის და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1958 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და 1991 წლამდე მუშაობდა ინსტიტუტის აგროტექნიკის განყოფილების ჯერ უმცროს და შემდეგ უფროს მეცნიერ მუშაკად, ამავე ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის ჩაისა და დაფნის სელექციის განყოფილების გამგედ, ბოლოს გახდა დასავლეთ საქართველოს ქიმიზაციის სადგურში მიხდერის ცდებისა და მეცნიერული ანალიზების განყოფილების გამგე. 1991 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1993 წლიდან მუშაობს ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კონსულტანტად. გამოქვეყნებული აქვს 45 სამეცნიერო ნაშრომი, ეხმარება ახალგაზრდებს მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებაში.

დ. ჩხაიძეს მიღებული აქვს ჯილდოები: „სამამულო ომის I ხარისხის" ორდენი და მედლები „მამაცობისათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" და სხვ.

ჩხარტიშვილი სანდრო დომენტის ძე
(1917-1985)

დაიბადა 1917 წლის 18 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის ს. ჯუმათში გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1935 წ. დაასრულა ოზურგეთის პედაგოგიური სასწავლებელი და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მოჰკიდა ხელი პედაგოგიურ საქმიანობას. იყო ს. ბაილეთის დაწყებითი სკოლის გამგე, ხოლო შემდეგ, როგორც მასწავლებელი დაუბრუნდა ჯუმათის სკოლას. მაგრამ დაეოკებლად მიისწრაფოდა უმაღლესი განათლების მიღებისაკენ და მოსვენებას არ აძლევდა მშობლებს, რომ სასწავლებლად გაეშვათ. 1938 წ. ს. ჩხარტიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

გერმანიის თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე მკვეთრად შეცვალა ს. ჩხარტიშვილის თაობის ახალგაზრდობის ბედი. მასაც მო-

უსდა წიგნი და სტუდენტის მერხი შაშხანით და ჯარისკაცის სანგრით შეეცვალა. 1941 წ. სექტემბრიდან 1942 წ. მარტამდე იგი თელავის სამხედრო სასწავლებელში დაეუფლა სამხედრო საქმეს და მიიღო ლეიტენანტის წოდება. მეთაურობდა ჯერ მსროლელთა ოცეულს, შემდეგ - ასეულს. სროლაში გამოჩენილი სიმუსტის გამო მას ერთხანს სნაიპერთა მომზადების ხუმლძღვანელობაც ჰქონდა დაკისრებული. ს. ჩხარტიშვილი მსახურსობდა სხვადასხვა ნაწილებში, მათ შორის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში. მისი ხასიათის წარმოსაჩენად ნიშანდობლივია ასეთი ეპიზოდი: მეთაურმა სანგრის გაწმენდა მოსთხოვა, მან კი ბრძანება არ შეასრულა, რადგანაც თელიდა, რომ თოვლზე განათხრი მიწის ნაყარი მათ პოზიციას მტრის სამიზნედ აქცევდა. საომარ ვითარებაში დაუმორჩილებლობის გამო კინაღამ დახვრიტეს, მხოლოდ შემთხვევითობამ იხსნა. ბრძოლებში დაიჭრა.

1947 წ. დემობილიზაციის შემდეგ ს. ჩხარტიშვილმა განაგრძო სწავლა უნივერსიტეტში, რომელიც 1949 წ. წარჩინებით დაამთავრა. აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი (1949-1952 წ. წ.) და მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც დაიცვა 1953 წ. 50-იანი წლები საერთოდ გამორჩევით ბედნიერი ხანა იყო მის პირად ცხოვრებაში. 1954 წ. იგი ოჯახს მოეკიდა, მიიღო მყუდრო ბინა საბურთალოზე. ეს სახლი, ოჯახი ძალიან ბევრს ნიშნავდა მისთვის. აქ დაბუდებული სითბო იყო მისი დაუშრეტელი ენერგიისა და ხალისის წყარო.

1969 წ. ს. ჩხარტიშვილი გახდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1973 წ. - პროფესორი, 1977 წლიდან გარდაცვალებამდე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შრომითი კოლექტივების ისტორიის განყოფილების გამგე. ს. ჩხარტიშვილი იკვლევდა საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიას. მის მეცნიერულ მემკვიდრეობაში ძირითადად სამი თემა გამოიყოფა: რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, შრომის ფორმების განვითარება და საწარმოთა ისტორია. ს. ჩხარტიშვილი დაახლოებით ასი სამეცნიერო შრომის ავტორია, რომელთა შორის ოცი მონოგ-

რაფიაა. იგი თანააეტორია ისეთი მნიშვნელოვანი კოლექტიური გამოცემებისა, როგორიცაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, „საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო)“, „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები“, „საქართველოს პროფკავშირების ისტორიის ნარკვევები“.

ს. ჩხარტიშვილი იყო არა მარტო მეცნიერ-მკვლევარი, არამედ იმავდროულად მეცნიერული ცოდნის პოპულიზატორიც. მას მრავალი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ცალკეული ბროშურების თუ სტატიების სახით. ამავე მიზანს ემსახურებოდა მის მიერ სხვადასხვა აუდიტორიისათვის წაკითხული მრავალრიცხოვანი საჯარო ლექციები.

ს. ჩხარტიშვილის რედაქტორობით ოცამდე წიგნია გამოცემული, მისი ხელმძღვანელობით ათეული საკანდიდატო დისერტაციაა დაცული. იგი იყო მრავალი ნაშრომის რეცენზენტი, აქტიურად მონაწილეობდა საკორდინაციო და საატესტაციო სამეცნიერო საბჭოების მუშაობაში.

ნაყოფიერი მეცნიერული შრომის აღსანიშნავად ს. ჩხარტიშვილს 1985 წ. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად ს. ჩხარტიშვილი არ წყვეტდა ჯერ კიდევ სიჭაბუკეში დაწყებულ პედაგოგიურ საქმიანობას. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. პედაგოგობა მისი ჭეშმარიტი მოწოდება იყო. აქ განსაკუთრებით ელინდებოდა მისი ხასიათის უმთავრესი შტრიხები - სიკეთე, დახმარებისათვის მზადყოფნა, სითბო.

ომგადახდილმა მეცნიერმა ს. ჩხარტიშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის მეორე ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და მედლები, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვა.

ცამციშვილი ამირან ივნეს ძე

დაიბადა 1923 წლის 5 ნოემბერს, ოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა ჯერ თბილისში, შემდეგ - ქუთაისში და თელავის საშუალო სკოლაში. 1939 წ. სწავლა გააგრძელა თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც შემდეგ გადაკეთდა საავიაციო სასწავლებლად. მან არ ისარგებლა დაჯავშნის უფლებით და 1941 წლის ოქტომბერში მოხალისედ წავიდა ფრონტზე. სამხედრო მომზადების შემდეგ ჩარიცხეს და სადესანტოდ მოამაზადეს ნოვოროსიისკის სპეცდანიშნულების სამხედრო-საზღვაო ბრიგადაში. ა. ცამციშვილმა მძიმე საბრძოლო ცხოვრებაში გააგარა 1942-1943 წლებიც. ვიდრე მძიმედ დაიჭრებოდა მტერთან შეტაკებაში, რომლის გზები გადიოდა თუმრუკზე, ანაპაზე, პიატიგორსკსა და მახაჩყალაზე.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ა. ცამციშვილი ერთხანს მუშაობდა საგრაქტორო ბრიგადაში, მერე კი დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეუფლა საერთაშორისო ისტორიისა და დიპლომატიური ურთიერთობის სპეციალობას. აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი და შრომითი საქმიანობა განაგრძო საქართველოს კულტსაგანმანათლებლო სამმართველოს სალექციო ბიუროში, შემდეგ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერულ თანამშრომლად. შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია.

ა. ცამციშვილი 1968 წ. გახდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1989 წელს კი - ისტორიის მერცნიერებათა დოქტორი, მინიჭებული აქვს პროფესორის წოდება. როგორც მეცნიერი და ჟურნალისტი ავტორია მრავალი სამეცნიერო შრომის და პუბლიცისტური წერილისა, რომელთა რაოდენობა 150-ზე მეტია. მის სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გამოიკვეთება ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში, ქართული სპორტის ისტორია, ეთნონონიმები და სხვ. მიჰყავს საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიის კურსი უმაღლეს სასწავლებლებში.

ა. ცამციშვილის საბრძოლო შემართება ყირიმ-კავკასიის ფრონტებზე აღნიშნულია „სამამულო ომის პირველი ხარისხის“ ორი „სამამულო ომის მეორე ხარისხის“ ორდენებით, მედლებით „დიდ სამამულო ომში მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ცერცვაძე მიხეილ ვასილის ძე
(1911-1976)

დაიბადა 1911 წ. ოზურგეთის რაიონის ს. თხილვალში, გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება. 1936 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და განაგრძო სწავლა ასპირანტურაში, მაგრამ 1941 წელს სამამულო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს წითელ არმიაში და 1946 წლამდე მსახურობდა კონტრდაზვერვის ოპერატიულ მუშაკად კავკასიის, ცენტრალურ და პირველი უკრაინის ფრონტებზე კაპიტნის წოდებით.

1946 წლიდან მ. ცერცვაძე დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას და 1946-1948 წლებში იყო უფროსი მასწავლებელი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1948 წ. დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1958 წლამდე მუშაობდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში. 1959 წელს გახდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო 1961 წელს პროფესორი, 1962-1966 წლებში განაგებდა კათედრას საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში. იყო აგრეთვე საქართველოს საისტორიო საზოგადოების გამგეობის წევრი და რიგ წამოწყებათა ინიციატორი.

მ. ცერცვაძემ გამოაქვეყნა 80-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია.

პროფ. მ. ცერცვაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „კავკასიის დაცვისათვის“.

ციციშვილი გიორგი შალვას ძე

დაიბადა 1922 წლის 23 ნოემბერს ქ. თბილისში. 1941 წ. დაამთავრა ბაქოს სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი. 1942 წლიდან საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე იმყოფებოდა მოქმედ არმიაში, იყო საცეცხლე ოცეულის, საარტილერიო ბატარეის მეთაური, ცალკეული ჯავშნოსანი მატარებლის მეთაურის მოადგილე, საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსის მოადგილე, საზენიტო-საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსი ლენინგრადის, ვოლხოვის და ჩრდილოეთის ფრონტებზე. 1945 წლიდან იყო საარტილერიო დივიზიონის მეთაური, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის, ლენინგრადის, მოსკოვის და ამირკავკასიის სამხედრო ოლქების შტაბის ოფიცერი. 1947 წლიდან იგი მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის სამმართველოში.

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ გ. ციციშვილმა 1951 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, 1969 წ. კი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურა. მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ, დირექტორად. 1979 წ. იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წ. - აკადემიკოსად, აკადემიის პრეზიდიუმის წევრად, მუშაობს ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

გ. ციციშვილი 1975 წ. არჩეულ იქნა ომის ვეტერანთა საქართველოს ორგანიზაციის კომიტეტის წევრად, 1989 წ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1997 წ. დაინიშნა საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

გ. ციციშვილი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე სხვადასხვა დროს რედაქტორობდა ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზია“-ს, არის

აკადემიკოსი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, 12 წიგნისა, მათ შორის „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, „შ. დადიანი“ და სხვ. მის კალამს ეკუთვნის მხატვრული ნოველები და რომანები, რომლებიც თარგმნილია 13 უცხო ენაზე და გამოცემულია სხვადასხვა ქვეყანაში. მათგან აღსანიშნავია „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, „სძლიე სიხარბესა შენსა“ და სხვ.

გ. ციციშვილი არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, თავმჯდომარედ, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივნად.

გ. ციციშვილი ომის ვეტერანი, მეცნიერი, მწერალი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე დაჯილდოვებულია „წითელი დროშის“ ორი, „წითელი ვარსკვლავის“, „სამამულო ომის I და II ხარისხის“ ორდენებით და 10 საბრძოლო მედლით.

ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1918 წლის 17 დეკემბერს თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ირაკლის მამა - პოლკოვნიკი ნიკოლოზ ციციშვილი იყო რესეთის არმიის პროგრესულად მოაზროვნე ოფიცერთა შემადგენლობაში. დედა - ალექსანდრა თარხნიშვილი - სახელოვანი გიორგი საკაძის შთამომავალი. ასეთი მშობლები პატარაობიდანვე შთააგონებდნენ შვილს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას. ირაკლიმ წარჩინებით დაამთავრა თბილისის მე-14 საშუალო სკოლა 1936 წ. და საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი.

1941 წ. იენისში დაიწყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. მას მაშინვე მიაშურა მოქმედ არმიას. მოსკოვის სამხედრო საინჟინრო აკადემიის მოკლევადიანი კურსების დამთავრების შემდეგ მიიღო ლეიტენანტის წოდება და ჩაება მოსკოვის დაცვაში, მონაწილეობდა ზამთრის პირველ კონტრშეტევით ბრძოლებში.

1943 წლიდან ი. ციციშვილი მესანგრეთა ბატალიონის ოცეულის მეთაური იყო. მოსკოვიდან მგრის 300-400 კილომეტრით უკუგდების შემდეგ, თავისი მესანგრეებით მონაწილეობდა ჯერ

ლენინგრადისა და სტალინგრადის გმირულ დაცვაში, შემდეგ კურსკის რკალზე გამართულ სასტიკ ბრძოლებში, სადაც საბრძოლო ჯილდოს გადაცემასთან ერთად მიანიჭეს კაპიტნის წოდება და ჩაბარეს ცალკე საინჟინრო ბატალიონის მეთაურობაც, ამას მოჰყვა მაიორის სამხედრო წოდებაც. 1943 წლის აგვისტოში დისადმი მიწერილ წერილში ის აღნიშნავდა: „შესანიშნავი წარმატებები გვაქვს. უკრაინის ახალ-ახალ ქალაქებსა და სოფლებს ვათავისუფლებთ გერმანელთა ოკუპაციისაგან. რომ იცოდე, როგორ მახარებს იმის შეგნება, რომ საერთო საქმეში მეც მიმიძღვის, თუნდაც პატარა წვლილი. ჩემი ეარსკვლავი კაშკაშებს: ცეცხლიდან და ჯოჯოხეთიდან უვნებელი გამოვედივარ. ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადისა და ორიოლ-კურსკის გმირულ ბრძოლებში დამარცხებული ფაშისტები უკან იხევენ უწესრიგოდ." ჰიტლერელებს დიდი იმედი ჰქონდათ წყალუხვი დნეპრის. ამიტომ მასზე ხიდების აგებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით აუცილებელი იყო დნეპრის გადალასვა შეტევის შეუჩერებლად. საბჭოთა მეომრები ნაოებით, ტიეებით, პონტონებით, ბორეებისა და ცარიელი კასრების დახმარებით, მამაცური ცურვით გადადიოდნენ დნეპრის მარჯვენა ნაპირზე და დიდი გაჭირვებით ასერხებდნენ პლაცდარმების შექმნას.

ი. ციციშვილის ბატალიონს დაევალა მდ. დნეპრზე ისეთი ხიდის აგება, რომელიც გააატარებდა ტანკებს, თვითმავალ ქვემეხებსა და მოტო-მექანიზებულ ჯარებს. ეითარება იყო მეტად რთული. მტერი ავითარებდა გააფთრებულ იერიშებს. ოთხი დღე-ღამის განუწყვეტელი და თაეგამეტებული შრომით დნეპრზე აიგო 451 მეტრი სიგრძის ხიდი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციების განეითარებისათვის. ხიდმა გაუძლო გამოცდას. ამასთან ბატალიონმა წამოიწყო ექვსი კილომეტრის დაშორებით მეორე სათადარიგო ხიდის მშენებლობა, ხიდისა, რომლის სიგრძე 720 მეტრი იყო, ე. ი. პირველს 269 მეტრით აღემატებოდა. ეს ხიდიც კელავ ოთხ დღე-ღამეში აიგო. ამ საბრძოლო წარმატებისათვის 300-მდე მესანგრე დააჯილდოეს ორდენებითა და მედლებით, ხოლო მათ მეთაურს ნიჭიერ არქიტექტორ ი. ციციშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

1943 წლის 6 ნოემბერს კიევი გათავისუფლდა ფაშისტ დამპყრობლებისაგან და 7 ნოემბერს ი. ციციშვილის ბატალიონს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით მიენიჭა „კიევის“ სახელწოდება, ხოლო 14 ნოემბერს დნეპრის გადალახვის გამო „დნეპრის“ სახელწოდებაც. კიევის განთავისუფლების შემდეგ ბატალიონი აქტიურად მონაწილეობდა ჟიტომირის, კამენეც-პოდოლსკის, ლვოვის, ჩერნოვიცის და სხვა ქალაქების და სოფლებისათვის ბრძოლებში. შემდეგ მაიორ ი. ციციშვილის მეთაურობით ბატალიონი იბრძოდა პოლონეთში, გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში. მაგრამ კარპატებთან ბრძოლაში მეთაური მძიმედ დაიჭრა. ი. ციციშვილი მხოლოდ 1945 წლის იელისში დაბრუნდა თბილისში.

გამოჯანმრთელებისთანავე 1945 წლის სექტემბრიდან დაუბრუნდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრას ასისტენტად, პარალელურად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამრომლად. იგი აქტიურად მონაწილეობდა არქიოლოგიურ ექსპედიციებში. 1946 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს ანტიკური ციხე-ქალაქების ისტორიის საკითხებზე. 1955 წ. ი. ციციშვილი აირჩიეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის გამგედ. 1960 წ. მან მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, რასაც მალე მოპყვა პროფესორის და საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდებებიც.

ი. ციციშვილს საქართველოში, რუსეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში გამოქვეყნებული აქვს 220 მეცნიერული შრომა არქიტექტურისა და ხელოვნების საკითხებზე.

1970 წლიდან 1978 წლამდე იყო საქართველოს სახმშენის თავმჯდომარე. 1978-1990 წწ. ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსი, ამჟამად კი არის საქართველოს კულტურის ძეგლთა საზოგადოების თავმჯდომარე და მსოფლიო ძეგლთა დაცვის საბჭოს (იკომოს) ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი.

პროფ. ი. ციციშვილმა დაიმსახურა „ლენინის“ ორდენი, „ალექსანდრე ჩეველის“, „სამამულო ომის I ხარისხის“, ორი „შრომის წითელი დროშის“ ორდენები და მედლები, მათ შორის „ოქროს ვარსკვლავი“. „მოსკოვის დაცვისათვის“, „ლენინგრადის დაცვისათვის“. „სტალინგრადის დაცვისათვის“, „პრაღის გათავისუფლებისათვის“ და სხვ.

წერეთელი სავლე ბენედიქტეს ძე

(1907-1966)

დაიბადა 1907 წლის 19 იანვარს ამბროლაურის რაიონის ს. ჯვარისაში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1923 წ. ფრიადზე დაამთავრა ს. ბუგეულის სასწავლებელი და სწავლა განაგრძო ონის პუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც ერთი წლის შემდეგ გადაკეთდა საშუალო სკოლად. ს. წერეთელს დიდ ნიჭთან ერთად ბუნებრივად დაჰყვა საოცრად კეთილი ხასიათი, რაც მას ყველასათვის სანიმუშოდ ხდიდა. გამოირჩეოდა თავმდაბლობით. ონის საშუალო სკოლის ფრიადზე დამთავრებისთანავე ს. წერეთელი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის განსრით, რომლის დამთავრების შემდეგ განაგრძო სწავლა ასპირანტურაში. 1934 წ. ასისტენტი აირჩიეს დოცენტად. 1936 წ. წერეთელმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1941 წ. საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ს. წერეთელმა ფრონტს მიაშურა. მალე გახდა უფროსი პოლიტსელი და შემდეგ მაიორი. იბრძოდა ჩრდილო კავკასიის, მეოთხე უკრაინის, მესამე ბელორუსიის და შორეული აღმოსავლეთის ფრონტებზე.

„ს. წერეთელი მე პირადად კენიგსბერგის აღებისათვის ბრძოლაში გავიცანი და ერთად ვიბრძოდით მანჯურიის განთავისუფლებისათვის — წერს გრ. ბრეგაძე.

1945 წლის 9 აპრილს ჩვენმა ჯარებმა გმირული ბრძოლით აიღეს კენიგსბერგი. ს. წერეთელმა მოსთხოვა: ისე ნუ წაველთ აქედან კანტის საფლავს თუ არ ვნახავთო. სიამოვნებით დავთანხმდი და შეუდექით ძებნას, მაგრამ ისე იყო დანგრეული ყველაფერი, ქვა და მიწა ერთმანეთში არეული, რომ სანამ ჩვენ ზუსტად დავადგენდით კანტის სამუდამო სასუფეველის ადგილს, გვიბრძანეს ვაგონებში ჩასხდომა და გადაგვისროლეს შორეულ აღმოსავლეთში, საიდანაც იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ მე და საველე მხოლოდ 1946 წლის გაზაფხულზე დავბრუნდით თბილისში".

წითელი არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ დოცენტი ს. წერეთელი შეუდგა მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი დაბრუნებისთანავე დანიშნეს თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად. 1957 წ. ს. წერეთელმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. წლების განმავლობაში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

ომის ფრონტებზე ბრძოლამ და ხანგრძლივმა ინტენსიურმა შრომამ თანდათან შეარყია ს. წერეთლის ჯანმრთელობა. 1966 წლის აგვისტოში რაჭას მიაშურა დასასვენებლად, მაგრამ ს. ღარში (ქ. ონის მახლობლად) ს. წერეთელი გულის ინფარქტით გარდაიცვალა. მისი ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს და 13 აგვისტოს დიდი პატივისცემით დაკრძალეს ქართველ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ომგადახდილმა მეცნიერმა ს. წერეთელმა გამოაქვეყნა 54 მეცნიერული შრომა. მან ბრძოლისა და შრომის ფრონტზე დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის", „შრომის წითელი დროშის" ორდენები და მედლები, მათ შორის „კავკასიის დაცვისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „იაპონიაზე გამარჯვებისათვის". საქართველოს სახელმწიფო პრემია (გარდაცვალების შემდეგ) მონოგრაფიისათვის „დიალექტიკური ლოგიკა".

ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე

(1923-1997)

დაიბადა 1923 წლის 5 მაისს ს. ყვარელში, მამა 1929 წ. რეპრესირებულ იქნა და გარდაიცვალა გადასახლებაში 1933 წ. 1930 წელს დედასთან ერთად თბილისში გადმოსახლებულმა ნიკო ჭავჭავაძემ 1940 წ. დაამთავრა დედაქალაქის მეორე საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაიწვიეს. 1941 წელს დაამთავრა მოკლე ვადიანი კურსები. მიიღო ლეიტენანტის სამხედრო წოდება. 1942-1944 წლებში მონაწილეობდა ბრძოლებში ჯერ როგორც ოცეულის მეთაური, ხოლო შემდეგ ასეულის მეთაური. ოთხგზის მძიმედ დაჭრილი ნ. ჭავჭავაძე ჯანმრთელობის გაუარესების გამო 1944 წ. სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს.

გამოჯანმრთელებისთანავე 1945 წ. მაისიდან მუშაობა დაიწყო შრომითი რეზერვების სისტემაში ჯერ სამმართველოს სამხედრო ინსპექტორად, შემდეგ სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის სამხედრო ხელმძღვანელად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაბრუნებულმა ნ. ჭავჭავაძემ 1949 წ. წარჩინებით დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც წარმატებით განვლო გზა უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან დირექტორამდე. შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე სახელმწიფო კონსერვატორიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უძღვებოდა ფილოსოფიის ისტორიისა და ესთეტიკის დისციპლინებს. 1954 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1971 წ. სადოქტორო დისერტაციები. 1979 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1984 წლიდან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის გამგე. მისი კვლევის საგანი იყო ღირებულებათა თეორიისა და კულტურის ფილოსოფიის პრობლემები.

ნ. ჭავჭავაძე აკადემიკოსია სამ ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათგან რამდენიმე მონოგრაფიისა, ქართულ და რუსულ ენებზე.

1968 წლიდან ნ. ჭავჭავაძე სათავეში ედგა ფილოსოფიის ინსტიტუტს. 1992-1995 წლებში ნ. ჭავჭავაძე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ომის ფრონტებზე ნ. ჭავჭავაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის", „შრომის წითელი დროშის" ორდენები და მედლები.

ჭავჭანიძე ვლადიმერ ვალერიანის ძე

დაიბადა ქ. სოხუმში 1920 წლის 2 სექტემბერს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1936 წ. სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ - 1942 წლის ნოემბრიდან დაიწყო მეცნიერული მუშაობა ასლად ჩამოყალიბებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტში, მაგრამ 1943 წლის იანვარში იგი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. თბილისის საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი გახდა. თავდადებით იბრძოდა №110 გვარდიული დივიზიის შემადგენლობაში ჯერ ფაშისტური გერმანიის, ხოლო პრაღის განთავისუფლების შემდეგ იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

დემობილიზაციის შემდეგ ვლ. ჭავჭანიძემ დაამთავრა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1953 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და შეუდგა მუშაობას ფიზიკასა და კიბერნეტიკაში. 1957 წ. მისი ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ფიზიკა-კიბერნეტიკის ბაზა. პირველად მსოფლიოში ვლ. ჭავჭავნიძის ინიციატივით შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორად 1960 წ. ნიშნავენ. 1964 წ. ვლ. ჭავჭანიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1967 წ. გახდა პროფესორი და თბილისის სახელმწიფო უნი-

ეერსიტეტის თეორიული კიბერნეტიკის კათედრის გამგე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის დარგის საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. ვლ. ჭავჭავნიძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წ. ნამდვილ წევრად.

1984 წ. ვლ. ჭავჭანიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების მანქანური ინტელექტის პრობლემების განყოფილების ხელმძღვანელი.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში 1984 წლამდე დაცული იქნა 200-ზე მეტი საკანდიდატო და ათი სადოქტორო დისერტაცია. ინსტიტუტიდან წასული 40-ზე მეტი სპეციალისტი გასდა ახალი ლაბორატორიებისა და განყოფილებების ხელმძღვანელი რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ.

ვლ. ჭავჭანიძე არის მსოფლიოს ცნობილი მეცნიერი. მან აითვისა „სტატისტიკური პროგრამისტული მოდელირება", რომელშაც განსაკუთრებით გამოჰყო პროცედურულ პროგრამისტული და დინამიკური მიდგომების მთელი კლასი. მოდელირების ეს მეთოდი „მონტე-კარლოს" ტიპის ბევრ მეთოდს შორის ახლაც ითვლება მოდელირების ერთ-ერთ ეფექტურ მეთოდად, კერძოდ ბუნებრივი, ხელოვნური და წარმოებრივი პროცესების იმიტაციის გამოსადეგ საშუალებად.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვლ. ჭავჭანიძის გამოკვლევები ნეირო-კიბენეტიკული, ტვინის კვანტურ-ტალღური თეორიისა და ბინარულ-ალბათური აეტომატების თეორიის დარგში, რომლებმაც მიიყვანეს ის და მისი მოწაფეები აეტომატური მექანიზმების დადგენილი მოქმედების გამოკვლევამდე და ხელოვნური კონცეპტუალური და პრეფერექტული ინტელექტის თეორიამდე. უნდა აღინიშნოს ვლ. ჭავჭანიძის ენციკლოპედიური ნიჭი, უდიდესი შრომის მოყვარეობა, ღრმა მეცნიერული დაინტერესება და ზუსტი შემსრულებლობა.

ვლ. ჭავჭანიძემ ომისა და შრომის ფრონტებზე დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „პრაღის განთავისუფლებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „იაპონიაზე გამარჯვებისათვის", პ. მელიქიშ-

ვილის სახელობის პრემია. იგი იყო კიბერნეტიკის თემაზე სსრ კავშირის ორი სიმპოზიუმის, თბილისის IV საერთაშორისო კონფერენციის და მოსკოვის, ტოკიოს და ლაიპციგის საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი.

ჭილაშვილი შალვა ეძვთიმეს ძე

დაიბადა 1918 წლის 15 დეკემბერს თბილისში, რკინიგზის მოსამსახურის ოჯახში. 1935 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის მეორე საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა და 1941 წელს - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინრის სპეციალობით და გაიგზავნა სამუშაოდ ტყვარჩელში.

1942 წ შ. ჭილაშვილი გაიწვიეს მოქმედ არმიაში, სადაც მიანიჭეს უფროსი სერჟანტის წოდება. მეთაურობდა ოცეულს 1943 წლის მარტამდე, როდესაც დემობილიზებულ იქნა, როგორც სპეციალისტი 1943-1946 წლებში მუშაობდა ჯერ შახტის ვენტილაციის, შემდეგ უსაფრთხოების ტექნიკის განყოფილების უფროსად. 1947-1948 წლებში შ. ჭილაშვილი იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წიაღისეულის დამუშავების კათედრის ასისტენტი აკადემიკოს გრ. წულუკიძესთან. 1948 წლიდან მუშაობდა შრომის დაცვის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად და ლაბორატორიის ხელმძღვანელად. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა და აგრეთვე აქვს 15 საავტორო მოწმობა. 1956 წ. დაიცვა დისერტაცია და გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ომის ფრონტზე შ. ჭილაშვილმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის", „საპატიო ნიშნის" ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

ჭიჭინაძე ვახტანგ კონსტანტინეს ძე

დაიბადა 1918 წლის 7 ოქტომბერს ამბრო-ლაურის რაიონის ს. თლუღში, მოსამსახურის ოჯახში. 1925 წ. ოჯახი გადმოვიდა თბილისში, სადაც ვ. ჭიჭინაძემ დაამთავრა საშუალო სკოლა და განაგრძო სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე, მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და IV კურსის სტუდენტი გაიწვიეს წითელ არმიაში. ის რამდენიმე თვეში დაეუფლა სამხედრო-ტექნიკურ ცოდნას და მიიღო ლეიტენანტის წოდება, იბრძოდა ჯერ ბრიანსკის, შემდეგ პირველი ბელორუსიის ფრონტებზე.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ვ. ჭიჭინაძე დაბრუნდა საქართველოში 1945 წლის ნოემბერში და განაახლა სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1947 წ. მუშაობა დაიწყო მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1949-1952 წლებში იყო მოსკოვის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1953 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1968 წ. სადოქტორო დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებაში, გახდა პროფესორი. 1971-1974 წლებში მუშაობდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის" დირექტორად, შემდეგ - საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ, 1978 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელია. 1983 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ვ. ჭიჭინაძემ გამოაქვეყნა 40-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მათ შორის სამი მონოგრაფია. საზღვარგარეთ გამოვიდა 10-ზე მეტი მეცნიერული შრომა ინგლისურ ენაზე. მან აღზარდა 12 მეცნიერი და რამდენიმე პედაგოგი. მიწვეული იყო საერთაშორისო კონფერენციებზე და ლექციების წასაკითხავად აშშ, გერმანიაში, იტალიასა და პოლონეთში.

ბრძოლის ფრონტებზე ვ. ჭიჭინაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის", „წითელი ვარსკვლავის" ორდენები და მრა-

ვალი მედალი, მათ შორის: „ბერლინის აღებისათვიო“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვ. ჯილდოები.

ხახაშვილი შალვა ივანეს ძე

დაიბადა 1925 წლის 15 დეკემბერს თბილისში. 1943 წ. იანვარში 16 წლისა მოსალისედ წაეიდა წითელი არმიის რიგებში. მიიღო მონაწილეობა საომარ მოქმედებათა პირველ და მეორე ბელორუსიის და მეორე უკრაინის ფრონტებზე. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები და უმაღლესი მთავარსარდლის 9 მადლობა.

1946 წელს ფრონტზე მიღებული ჭრილობის გართულების გამო დემობილიზებულ იქნა არმიიდან როგორც დიდი სამამულო ომის ინვალიდი. ამის გამო გვიან, მხოლოდ 1954 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი. იმავე წელს დატოვეს გერმანული ენის კათედრაზე მასწავლებლად. იყო გერმანული ენის ფაკულტეტის დეკანი. შემდეგ უცხო ენების სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგე. მინიჭებული აქვს პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დოცენტის წოდება.

შ. ხახაშვილმა გამოაქვეყნა 30-ზე მეტი ნაშრომი.

შ. ხახაშვილი არის საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. იგი 40-წელზე მეტია ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის შ. ხახაშვილი დაჯილდოებულია „სამამულო ომის I ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენებით და მედლებით, მათ შორის: „მამაცობისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“ და სხვ.

ხახუტაიშვილი დავით ახმედის ძე

(1924-1999)

დაიბადა 1924 წლის 16 იანვარს, ქობულეთის რაიონის ს. ალამბარში გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ს. ალამბრის არასრულ საშუალო სკოლაში. 1939 წ. სწავლა გააგრძელა ქობულეთის ი. ჭავჭავაძის სახ. პედაგოგიურ სასწავლებელში, მაგრამ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყების გამო 1941 წლის ნოემბერში გაიწვიეს წითელ არმიაში. 1942 წლის აგვისტოში და სექტემბერში მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში კოდორის სათავესთან ქლეხორის მიმართულებით, 394-ე მსროლელი დივიზიის 815-ე მსროლელი პოლკის შემადგენლობაში, საიდანაც, მძიმე ავადმყოფობის გამო, მოხვდა საველე ჰოსპიტალში. ფეხზე დადგომის შემდეგ, 1942 წლის ნოემბერში იგი დემობილიზებული იქნა ძლიერი გამოფიტვისა და დაუძლურების გამო.

1943 წლის იელისში წარჩინებით დამთავრა ქობულეთის ი. ჭავჭავაძის სახ. პედაგოგიური სასწავლებელი. 1943-1946 წლებში მუშაობდა ს. ალამბარში, ჯერ კოლმეურნეობაში, სუბტროპიკულ მცენარეთა სანერგის გამგედ, შემდეგ კი - არასრული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სამხედრო-ფიზიკური მომზადების დარგში.

1946 წლის სექტემბერში შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წ. იყო ს. ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტი, სტუდენტობის პერიოდშიევ გამოაქვეყნა პირველი სამეცნიერო ნაშრომი. სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

1955 წლის აპრილში დაიცვა საკანდიდატო, 1967 წლის მაისში კი სადოქტორო დისერტაცია.

1977 წ. დ. ხახუტაიშვილი დაინიშნა ახლადშექმნილი არქეოლოგიური კელეეის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილედ და საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების განყოფილების გამგედ.

1978 წლის 17 იანვარს პროფ. დ. ხახუტაიშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამავე დროს, შეთავსებით მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

1983 წელს დ. ხახუტაიშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. გამოქვეყნებული აქვს 120-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-ზე მეტი მონოგრაფია, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ ენებზე.

დ. ხახუტაიშვილი წარმატებით იკვლევდა საქართველოს, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებს. მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება საქართველოში პროტოქალაქური და ქალაქური ცივილიზაციის გენეზისს, კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში რკინის მეტალურგიის ჩასახვისა და განვითარების საკვანძო საკითხებს.

დ. ხახუტაიშვილი უნარიანად უძღვებოდა მრავალპროფილიან ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ეწეოდა კვლევა-ძიებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არა მარტო ისტორიის, არამედ ფოლკლორისტიკის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, აჭარის ახალი და უახლესი ისტორიის დარგშიც.

1978 წლიდან დ. ხახუტაიშვილი იყო საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტისა და სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, ბათუმის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი და აღმასკომის წევრი, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის და ეურნ. „ჭოროხის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს საისტორიო საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ბათუმის საპატიო მოქალაქე.

დ. ხახუტაიშვილი 1989-1990 წლებში არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატად. 1993 წლის იანვრიდან იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ხიდაშელი შალვა ვასილის ძე
(1911-1994)

დაიბადა 1911 წლის 8 თებერვალს გორის მაზრის დაბა ცხინვალში, პედაგოგის ოჯახში. 1918 წელს დედასთან ერთად საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში, სადაც 1927 წ. დაამთავრა დედაქალაქის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

უნიეერსიტეტის დამთავრების შემდეგ შ. ხიდაშელი თაეის მეუღლესთან, შემდგომში ცნობილ ფოლკლორისტ ელენე ეირსალაძესთან ერთად ლენინგრადში გაემგზავრა. მუშაობდა სააეტომობილო-საგზაო ინსტიტუტსა და მექანიკა-მანქანათმშენებლობის ცენტრალურ ინსტიტუტში ფილოსოფიის მასწავლებლად. 1933-1936 წლებში იყო ლენინგრადის ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით.

1936 წ. შ. ხიდაშელი ოჯახთან ერთად დაბრუნდა თბილისში და ივ. ჯავახიშვილის წინადადებით მუშაობა დაიწყო რუსთაველის და მისი ეპოქის მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. აქ მოუსწრო მას მეორე მსოფლიო ომმა და 1941 წლიდან იგი მოქმედ არმიაში იყო, ჯერ კაეკასიის, ხოლო შემდეგ მესამე უკრაინისა და ლენინგრადის ფრონტებზე. 1945 წ. დემობილიზაციის შემდეგ შ. ხიდაშელი მუშაობდა ჯერ გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტში. კითხულობდა ისტორიულ და დიალექტიკურ მატერიალიზმს, ფილოსოფიის ისტორიას, ანტიკური ფილოსოფიის ისტორიასა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის კურსებს.

შ. ხიდაშელმა 1947 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1962 წ. სადოქტორო დისერტაცია. 1953 წლიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე იგი მუშაობდა საქართეველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ ფილოსოფიის ისტორიის, ხოლო შემდეგ ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების გამგედ.

გამოქვეყნებული აქვს 80-მდე მეცნიერული შრომა ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ომგადახდილმა მეცნიერმა შ. ხიდაშელმა დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „მამაცობისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ხურციძე ნიშა ყარამანის ძე

დაიბადა 1912 წლის 25 იანვარს ოზურგეთის რაიონის ს. ახალ საყდარში, გლეხის ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა ოზურგეთის კოოპერაციული ტექნიკუმი, 1936 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით, 1941 წ. - მოსკოვის საგეგმო ინსტიტუტის ასპირანტურა. 1941 წლის იანვარში წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიიღო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1941-1946 წლებში ნ. ხურციძე იმყოფებოდა მაიორის წოდებით დიდ სამამულო ომში კარელიის და მესამე ბელორუსიის ფრონტებზე. 1947 წ. დაუბრუნდა მშვიდობან ცხოვრებას, 1977 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიიღო პროფესორის წოდება.

ნ. ხურციძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია პოლიტიკური ეკონომიის თეორიისა და ისტორიის, შრომის ნაყოფიერების ზრდის მეთოდების და სხვა პრობლემებზე. მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, ნ. ხურციძემ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის“ ორი, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის: „კენიგსბერგის აღებისათვის“, „ბერლინის აღებისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ხუციშვილი მირიან ნიკოლოზის ძე

დაიბადა 1924 წლის 27 ივნისს ახმეტის რაიონის ს. ზემო სოდაშენში. მასწავლებლის ოჯახში. 1930 წ. ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ქ. გორში, სადაც დაამთავრა მე-4 საშუალო სკოლა.

1942 წ. მ. ხუციშვილი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში და ჩარიცხეს მახაჩყალის სამხედრო სასწავლებელში კურსანტად. 1943 წლიდან, სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მსახურობდა ოცეულის მეთაურად 33-ე სამთო მსროლელი კორპუსის მე-8 ბრიგადაში, მოგვიანებით დაამთავრა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ალპინიზმისა და სამთო-სათხილამურო სკოლა. 1946 წლის სექტემბრამდე იყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სხვადასხვა ნაწილებში ოცეულის მეთაურად (ახალქალაქი, ლენინაკანი, ქუთაისი, ბათუმი).

არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მ. ხუციშვილმა დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და ერთ წელზე მეტ ხანს მუშაობდა გორის რაიონის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე.

მ. ხუციშვილი 1952 წელს ხელმეორედ გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე: ოცეულის მეთაურად (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი), ასეულის მეთაურის მოადგილედ და ცალკე ბატალიონის პროპაგანდისტად (შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ოლქი-კამჩატკა), სკოლის უფროსის მოადგილედ (ვლადივოსტოკი, ჩრდილოეთ სახალინი). 1958 წლის დეკემბერში საბჭოთა არმიის რიგების შემცირებასთან დაკავშირებით დემობილიზებულ იქნა კაპიტნის წოდებით.

1959 წლის 15 აპრილიდან მ. ხუციშვილი მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ჯერ მეცნიერული ათეიზმის განყოფილე-

ბის გამგედ, ხოლო 1973 წლიდან რელიგიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელად. 1972 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოაქვეყნა ორი მონოგრაფია და რამდენიმე ცალკე შრომა. 1989 წლიდან მუშაობს წამყვან მეცნიერ თანამშრომლად და რელიგიის ისტორიის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელად.

1960 წლიდან მ. ხუციშვილი ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციას, რომელიც სწავლობდა და დოკუმენტურად აფიქსირებდა (კინო, ვიდეო, ფოტო) ქართველი ხალხის უძველესი სულიერი კულტურის ფორმებს: შემორჩენილ ქართულ ხალხურ დღეობებსა და წეს-ჩვეულებებს, საკულტო დანიშნულების ძეგლებსა და მათთან დაკავშირებულ რიტუალს, საცხოვრებელ, სამეურნეო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს (არქიტექტურულად აზომა და ახაზა საქართველოს მთიანეთის საკულტო დანიშნულების ძეგლები). მოძიებული მასალის საფუძველზე შედგა საქართველოს მთიანეთის საკულტო დანიშნულების ძეგლთა რუკა, შეიქმნა ათამდე ეთნოგრაფიული დოკუმენტური ფილმი, რომელთაგან სუთი დემონსტრირებული იყო ანთროპოლოგიური და ეთნოგრაფიული ფილმების მსოფლიო ფესტივალზე (1985-1991 წწ. ქ. პიარნუში), სადაც დაიმსახურა ფესტივალის ყიურის დიპლომი.

მ. ხუციშვილმა დაიმსახურა მთავრობის ჯილდოები: „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და მედლები: „გერმანიაზე გამარჯვებისათვის", „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 40 წელი" (1958). „დიდ სამამულო ომში 1941-1945 წწ. გამარჯვების 40 წლისთავი".

ჯაბიძე დავით ვასილის ძე

დაიბადა 1917 წლის 23 იანვარს თერჯოლის რაიონის ს. ჩხარში, ღარიბი გლეხის ოჯახში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1932-1934 წლებში ტყიბულის სამთო-სამრეწველო სასწავლებელში სწავლასთან ერთად ფიზიკურად მუ-

შაობდა ქვანახშირის შახტში. შემდეგ სწავლა განაგრძო ჩხარის საშუალო სკოლაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სწავლასთან ერთად დაეუფლა თბილისის აეროკლუბში საფრენოსნო საქმეს. 1938 წ. მესამე კურსის სტუდენტმა წარჩინებით დაამთავრა სწავლა თბილისის აეროკლუბში და გახდა მფრინავი. ამავე დროს 22 წლის ახალგაზრდამ სპეციალური გაწვევით ჩინებულად დაამთავრა სტალინგრადის სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი და მიიღო უმცროსი ლეიტენანტის წოდება მფრინავ-გამანადგურებლის სპეციალობით. იგი მონაწილეობდა ფინეთთან ომში.

სსრ კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმას დ. ჯაბიძე ბალტიისპირეთში შეხვდა. გვარდიის ავიაგამანადგურებელი პოლკის მფრინავებმა - კ. პოკრიშკინმა (შემდგომი სამგზის გმირი) და გმირებმა გორბაჩევსკიმ, ს. ზდოროვცევმა, ბ. ჩირკოვმა, დ. ჯაბიძემ და სხვებმა ლენინგრადის დაცვისას პირველებმა გამოიყენეს საპაერო „ტარანი" და მამაცურად უმკლავდებოდნენ ტექნიკით უპირატეს ფაშისტებს. ლენინგრადის გმირ დამცველებზე გაზეთმა „ლენინგრადსკაია პრავდა"-მ თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა დ, ჯაბიძის ფოტო და სტატია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ფაშისტური აეიაციის 100-მდე ბომბდამშენი ლენინგრადის დასაბომბად მიემართებოდა. ჰაერში ავიდა ავიაგამანადგურებელი ნაწილი, რომლის ერთ-ერთ რგოლს მეთაურობდა დ. ჯაბიძე. საბჭოთა გამანადგურებელთა დარტყმით დემორალიზებული ფაშისტური აეიაციის საბრძოლო მწყობრი დაიშალა, მაგრამ ფაშისტებს არ სურდათ ბომბებით დატვირთული დაბრუნებულიყვნენ თავიანთ აეროდრომზე. ვერ მიაღწიეს რა ლენინგრადს, ბომბდამშენთა ერთი ნაწილი შეეცადა დაებომბა საგარეუბნო სადგური, სადაც ლენინგრადში მყოფ ბავშვთა ევაკუაცია მიმდინარეობდა. დ. ჯაბიძეს კარგად ესმოდა რა დიდი უბედურება შეიძლებოდა დატეხოდა თავს ათასობით ბავშვის სიცოცხლეს, თუ ფაშისტები მიაღწევდნენ მიზანს. ამიტომ მან მტკიცე საბრძოლო მითითება მისცა თავისი რგოლის მფრინავებს - მტრის არცერთი თვითმფრინავი არ დაეშვათ მიზანთან. თვითონ ჯაბიძემ კი მტრის საფლანგო ბომბდამშენი „იუ-88" ამოიღო მიზანში. ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების ჯერით საგრძნობლად დააზიანა იგი, მაგრამ მაინც წინ

მიიწევდა, ცდილობდა მომაკვდინებელი ტვირთი სადგურის თავზე ჩამოეყარა. დ. ჯაბიძეს ტყვია-წამალი გაუთავდა, მაგრამ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება თავისი მანქანით დაჯახებოდა სვასტიკიან სვავს. დ. ჯაბიძის მიერ გატარნილი კუდმოწყვეტილი „იუ-88“ სადგურის გარეუბანში ჩამოეარდა“.

ასეთი მამაცობით და მოხერხებით გადაარჩინა დ. ჯაბიძემ ათასობით ბავშვი და მათი თანმხლები დაღუპვას. გმირობითა და მამაცობითაა აღსავსე დ. ჯაბიძის შემართებანი გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ კავკასიის, უკრაინის, ყირიმისა და სხვა ფრონტებზე. აქტიურად მონაწილეობდა ბერლინის აღებაშიც. სულ გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ დ. ჯაბიძემ 400-ზე მეტი ჯაფრენა მოაწყო და საპაერო შეტაკებებში პირადად მან ჩამოაგდო 27 თვითმფრინავი, მწყობრიდან გამოიყვანა მტრის დიდძალი ცოცხალი ძალა და ტექნიკა. ასეთი საბრძოლო მამაცობისა და ავიაესკადრილიის ენარიანი მეთაურობისათვის 1946 წლის 15 მაისს კაპიტან დავით ყასილის ძე ჯაბიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დ. ჯაბიძე ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მშვიდობიან შრომას დაუბრუნდა. 1955 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურაც, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა ჯერ დოცენტი, შემდეგ პროფესორიც.

დ. ჯაბიძემ დაიმსახურა „ლენინის“, 2 „წითელი დროშის „, „ალექსანდრე ნეველის“, „სამამულო ომის I და II ხარისხის“, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენები, აგრეთვე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენი და მრავალი მედალი, მათ შორის: „ოქროს ვარსკვლავი“, „ლენინგრადის დაცვისათვის“, „სტალინგრადის დაცვისათვის“, „კავკასიის დაცვისათვის“. „ბერლინის აღებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“, საქართველოს უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.

ჯალაბაძე გიორგი ვლადიმერის ძე
(1922-1998)

დაიბადა 1922 წ. გორის რაიონის ს. ქორდში, გლეხის ოჯახში. 1928 წ. სწავლა დაიწყო ს. არბოს სკოლაში. II კლასიდან მშობლებმა თბილისში გადაიყვანეს სასწავლებლად, 1941 წ. დაამთავრა საშუალო სკოლა. პარალელურად სწავლობდა თბილისის აეროკლუბში.

ომის დაწყებისთანავე აეროკლუბი სამხედრო საავიაციო კლუბად გადაკეთდა და გ. ჯალაბაძე ამ კლუბის მოხალისე კურსანტად დარჩა. იმავე წლის ბოლოს მან სწავლა გააგრძელა წნორში ევაკუირებულ ავიაგამანადგურებელთა სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1942 წ. იმავე წლის სექტემბრიდან მოქმედ არმიაში იყო და იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. 1943 წ. მძიმე ჭრილობების გამო გაათავისუფლეს არმიიდან. ომის ბოლო წლებში მუშაობდა მასწავლებლად გორის რაიონის ს. არბოში.

გ. ჯალაბაძემ 1950 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იყო ამ მუზეუმის ასპირანტი. მუზეუმში მუშაობის პერიოდში მან განელო გზა პრეპარატორიდან - ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელამდე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ეთნოგრაფიული გამოფენები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. მისი ხელმძღვანელობით 1961 წლიდან ხორციელდებოდა საქართველოს ცალკეული რეგიონების კომპლექსური შესწავლა. ექსპედიციების შედეგები გამოცემულია ავტორთა კოლექტივის კრებულებად: სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო, შიდა ქართლი, გურია, მესხეთ-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, თუშეთი, ქსნის ხეობა.

გ. ჯალაბაძის ხელმძღვანელობით მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების 20-ზე მეტმა თანამშრომელმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. იგი იყო რამდენიმე საყურადღებო მონოგრაფიის ავტორი, მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

გ. ჯალაბაძემ დაიმსახურა „სამამულო ომის I ხარისხის“, „დიდების I ხარისხის“ ორდენები და მედლები: „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „მამაცური შრომისათვის“.

ჯანჯღავა ვარლამ სოსრამის ძე
(1911-1993)

დაიბადა 1911 წლის 23 ივლისს ზუგდიდის რაიონის ს. ახალკაკში. დაამთავრა ჯერ შეიწლიანი შრომის სკოლა, შემდეგ ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და ერთხანს მასწავლებლობდა ს. კოკოს შვიდწლედში. 1931 წ. აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

იგი თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლისადმი და 1933 წ. ვ. ჯანჯღავა გაგზავნეს ამიერკავკასიის უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სასწავლებლად, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. 1935 წ. გაიწვიეს წითელ არმიაში. დაიწყო მუშაობა თბილისში დისლოცირებული ქართული მსროლელი დივიზიის 187-ე პოლკის პოლიტხელად. ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს ამავე დივიზიის პოლიტგანყოფილებაში დივიზიონის სკოლის უფროსად.

1938 წ. ეროვნული სამხედრო შენაერთების დაშლასთან დაკავშირებით ვ. ჯანჯღავა გადაიყვანეს ქ. დნეპროპეტროვსკში 307-ე მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილედ. 1939 წ. იგი ამ თანამდებობიდან შევიდა მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1941 წლის სექტემბერში და უმალვე დაინიშნა პოლიტგანყოფილების უფროსად. კურსანტთა 34-ე დამკერელ ბრიგადაში, რომელიც ყალიბდებოდა ქ. ტაშკენტში. უკვე 1941 წლის ნოემბერში ეს ბრიგადა იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან სერპუხოვის რაიონში. 1941 წლის 6 დეკემბერს ბრიგადა 49-ე არმიის შემადგენლობაში სხვა შენაერთებთან ერთად გადავიდა შეტევაზე გერმანელ ფაშისტთა დაჯგუფების წინააღმდეგ და განუწყვეტლივ განაგრძობდა შეტევით ბრძოლებს

1942 წლის მაისამდე. ეს ბრიგადა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო შენაერთი გადაკეთდა 233-ე მსროლელ დივიზიად, რომლის პოლიტგანყოფილების უფროსად დანიშნეს ვ. ჯანჯღავა. დივიზია 1942 წლის ივლისში გადაიყანეს ჯერ ვორონეჟის, შემდეგ სტალინგრადის ფრონტზე, სადაც პირველი გვარდიულ არმიის შემადგენლობაში აწარმოებდა მძიმე თაედაცვით ბრძოლებს. იმავე წლის 23 სექტემბერს როგორც დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. ჯანჯღავა იმყოფებოდა პოლკის საბრძოლო პოზიციებზე, სადაც მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ მან ითხოვა კვლავ ფრონტს დაბრუნებოდა და ის დანიშნეს 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად, სადაც დაჰყო 1950 წლამდე.

414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელიც მონაწილეობდა გააფთრებულ ბრძოლებში ტამანის და ყირიმის ფაშისტ დამპყრობელთაგან გასათავისუფლებლად, განსაკუთრებით ისახელა თავი ანაპის, ქერჩისა და გმირი ქალაქის სევასტოპოლის გათავისუფლებაში. ანაპისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურებისათვის 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას ანაპის სახელი მიენიჭა, ხოლო ყირიმის გათავისუფლებისათვის დაჯილდოდა წითელი დროშის ორდენით.

1952-1956 წლებში ვ. ჯანჯღავა მსახურობდა ამირკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1957 წლის მარტიდან იგი პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით გავიდა თადარიგში. იგი მოღვაწეობდა ჯერ მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ, სოლო 1969-1984 წლებში თბილისის საქალაქო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე. 1955-1957 წლებში ის აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს IV, V და VI მოწვევების დეპუტატად.

1987 წლის იანვრიდან ვ. ჯანჯღავა გადავიდა სამეცნიერო საშუშაოზე, დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში მან არა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა.

ე. ჯანჯღავას 10 წიგნისა და მრავალრიცხოვან სტატიებს შორის აღსანიშნავია მონოგრაფია „414-ე წითელდროშოვანი", რომელიც 3-ჯერ გამოიცა ქართულ ენაზე, ხოლო 2-ჯერ რუსულად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მონოგრაფიის ყოველ გამოცემას იგი აფართოებდა და ავსებდა ახალი სახელებით და ფაქტებით.

ე. ჯანჯღავას ეკუთვნის ფრიად საინტერესო წიგნი „აჯიმუშკაის ტრაგედია", რომელსაც საფუძველად უდევს ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მონაწილის ფრონტული ჩანაწერები, რომელსაც ავტორმა აჯიმუშაკაის კატაკომბებში მიაკვლია და იგი საკუთარი მოგონებებითაც შეავსო.

ე. ჯანჯღავა ცხოველად ეხმაურებოდა მეორე მსოფლიო ომის თემატიკისადმი მიძღვნილ გამოცემასა თუ პრესაში ამა თუ იმ საკითხების კრიტიკულ შეფასებებს, ფაქტების გაყალბებისა თუ დამახინჯების მცდელობას და თავის მოვალეობად მიაჩნდა ებრძოლა სინამდვილის ობიექტური გაშუქებისათვის. ასე დაწერა მან თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნაშრომი „მკაცრი მდგომარეობით ნაკარნახევი ერთი ბრძანების თაობაზე", რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. იგი დაწერილია მისეული პრინციპით - დაუშვებელია წარსულის შელამაზება და შეცდომების მიჩუმათება, მიღწევების დავიწყება, მით უმეტეს უარყოფა-განქიქება.

ე. ჯანჯღავამ პირველმა შეისწავლა იაპონიის წინააღმდეგ ომში ქართველთა მონაწილეობის საკითხი, რითაც შეავსო მეორე მსოფლიო ომის ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებული სარეკვი. მასვე ეკუთვნის პოლონეთისათვის ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობის გამოკვლევა, რომლის გამოქვეყნებას ვერ მოესწრო.

ე. ჯანჯღავამ დაიმსახურა 10 ორდენი - „სამამულო ომის I ხარისხის" - ორი, „შრომის წითელი დროშის" - სამი, „წითელი ვარსკვლავის" - სამი, „საპატიო ნიშნის" ორდენი და 15 მედალი, მათ შორის: „მოსკოვის დაცვისათვის", „სტალინგრადის დაცვისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის" „ფაშიზმის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლის მედალი მან მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისაგან.

ჯაში ნიკოლოზ უშანგის ძე

დაიბადა 1919 წლის 15 დეკემბერს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით. 1940-1941 წლებში. სწავლობდა მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტში. 1941-1945 წლებში იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. მონაწილეობდა კავკასიის, ქერჩის და ყირიმის, ბელორუსიის, პოლონეთის გათავისუფლებისათვის ბრძოლებში და ბერლინის აღებაში დასთან-ვალინა ჯაშთან ერთად, რომელმაც რაიხსტაგის კედელს მიაწერა „ვიყავი ბერლინში. თბილისიდან ვალინა ჯაში".

ომის დამთავრების შემდეგ ნ. ჯაში დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. 1950-1953 წლებში დაამთავრა მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და იქვე დაიცვა დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო სარისხის მოსაპოვებლად. 1968 წელს გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 1970 წელს - პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, 1975-1982 წლებში ნ. ჯაში კითხულობდა ლექციებს უნიკერსიტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობაზე და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მას ეკუთვნის 21 წიგნი, მათ შორის 9 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სტატია ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. 30 წელზე მეტი მუშაობდა ხელმძღვანელ პარტიულ და საზოგადოებრივ სამუშაოზე. 1954-1955 წლებში იყო გაზეთ „კომუნისტის", ხოლო 1957-1981 წლებში - გაზეთ „თბილისის" რედაქტორი, 1981-1994 წლებში - გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი.

ნ. ჯაში სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს რესპუბლიკის IV მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კპ ცკ-ის წევრად, ჟურნალისტთა თბილისის ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარედ, თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, ომისა და შრომის ვეტერანთა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ და თბილისის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საბჭოს წევრად.

ომგადახდილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ნ. ჯაშმა დაიმსახურა „სამამულო ომის I და II ხარისხის“, „წითელი ეარსკელავის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენები და 14 მედალი, მათ შორის „ბერლინის აღებისათვის“, „შრომითი წარჩინებისათვის“.

ჯიშიაშვილი ალექსანდრე პავლეს ძე

დაიბადა 1913 წლის 18 მარტს ქ. ტყიბულში მოსამსახურის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1941 წელს - საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურა. იმავე წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ასპირანტურაში სწავლის პარალელურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის ასისტენტად და დოცენტად.

ალ. ჯიშიაშვილი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს მოქმედ არმიაში. იგი უფროსი ლეიტენანტის წოდებით იყო ბატალიონის პოლიტხელი, მონაწილეობდა დასავლეთის ფრონტის სხვადასხვა უბნებზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. 1943 წლის დეკემბერში როგორც ფრონტზე დაავადებული გაათავისუფლეს საბჭოთა არმიის რიგებიდან და გაგზავნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებაში.

დოცენტი ა. ჯიშიაშვილი 1944-1952 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე, შემდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი. შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე დოცენტად და თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგედ.

ა. ჯიშიაშვილი 1953 წლიდან 1976 წლამდე მუშაობდა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-

სამეცნიერო დარგში. პარალელურად ასრულებდა ზოგადი ფილოლოგიის კათედრის გამგის მოვალეობას. აქტიურ მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევა.

ა. ჯიშიაშვილის საბრძოლო დამსახურება აღინიშნა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენითა და 9 მედლით, მათ შორის: „სტალინგრადის დაცვისათვის", „საბრძოლო გამარჯვებისათვის" და „გერმანიაზე გამარჯვებისათვის 1941-1945 წლების სამამულო ომში".

ჯომიდავა ნიკოლოზ საბას ძე

დაიბადა 1915 წლის 23 მაისს ჩხოროწყუს რაიონის ს. ჭოლაში, გლეხის ოჯახში. 1929 წ. დაამთავრა ჭოლის შვიდწლიანი შრომის სკოლა, ხოლო 1930-1932 წლებში ქ. ზუგდიდის ჩაის მეურნეობის ტექნიკუმი. 1933-1937 წლებში იყო თბილისის ასოთამწყობი და ამავე დროს კარგად დაეუფლა ფოტო-საქმეს. 1938 წ. სწავლა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. მაგრამ იმავე წლის დეკემბერში გაიწვიეს წითელ არმიაში. მსახურობდა ფინეთის საზღვრებზე. 1941 წ. მონაწილეობდა ქერჩის პირველ სადესანტო ოპერაციებში. 1942 წ. გაბაფხულზე ის აქტიურად მონაწილეობდა ყირიმიდან ჯარის ნაწილების ტამანის ნახევარკუნძულზე გემებით გადაყვანაში. 1942 წლიდან ნ. ჯომიდავა მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში.

1945 წ. ბოლოს იგი დაავადებული დაუბრუნდა მშვიდობიან ცხოვრებას საქართველოში. მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში ფოტო-კორესპონდენტად. ამავე დროს ხელახლა შეეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს ისტორიის სპეციალობით. 1953-1967 წლებში მუშაობდა ქ. სოხუმში განათლებისა და კულტურის სამინის-

ტრის სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1967 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ნ. ჯომიდავა ავტორია რამდენიმე მეცნიერული შრომის, მათ შორის ოთხი მონოგრაფიისა, რომლებიც მიძღვნილია აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობისადმი.

ომგადახდილმა ნ. ჯომიდავამ დაიმსახურა „სამამულო ომის II ხარისხის" ორდენი და 8 მედალი, მათ შორის: „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის".

ჯორჯაძე ირაკლი ივანეს ძე

დაიბადა 1919 წლის 8 ოქტომბერს ყვარლის რაიონის ს. საბუეში. ამ სოფლიდან იყო წარმოშობით საქართველოს გამოჩენილი მოღვაწე არჩილ ჯორჯაძეც, რომელიც „საბუელის" ფსევდონიმითაც არის ცნობილი საქართველოს პატრიოტთა შორის. ირ. ჯორჯაძემ პირველდაწყებითი განათლება სოფ. საბუეში მიიღო, შემდეგ სწავლობდა თბილისში. დიდი სამამულო ომის დროს იგი უნარიანად მეთაურობდა არტილერიის ბატარეას, დივიზიონს, პოლკს.

ირ. ჯორჯაძემ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში გამოიჩინა თავი როგორც საზრიანმა და უნარიანმა მეთაურმა. მან აისრულა ახალგაზრდობის ოცნება. წარმატებით დაამთავრა სამხედრო საარტილერიო აკადემია. იგი როგორც სანიმუშო არტილერისტი, თეორიისა და პრაქტიკის კარგი მცოდნე აკადემიის დამთავრების შემდეგ იქვე დატოვეს მასწავლებლად. ირ. ჯორჯაძეს სამუდამოდ დაამახსოვრდა 1941 წ. 5 მაისი, როდესაც კრემლის ყრილობათა სასახლეში ტრადიციული დარბაზობა გაიმართა წითელი არმიის აკადემიის მორიგი გამოშვების პატივსაცემად. სიტყვით იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გამოვიდა. ახალბედა მეთაურმა მთელი სიცხადით დაინახა თავისი უდიდესი პასუხისმგებლობა და იგრძნო გარდუვალი ომის საფრთხე.

ირ. ჯორჯაძემ დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე ბერლინში ჩვენი ჯარის შეჭრამდე სახელოვნად განელო დიდი გზა, ის

მონაწილეობდა გააფთრებულ ბრძოლებში მოსკოვისა და სტალინგრადის მისადგომებთან, კურსკის რკალზე, ბელორუსიის პირველ და მეორე ფრონტებზე, ბერლინის აღებაში. ირ. ჯორჯაძე სამხედრო საარტილერიო აკადემიაში გადაიყვანეს მასწავლებლად და მალე ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების კათედრის გამგის მოადგილედ, შემდეგ - კათედრის გამგედ. მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია სამხედრო მეცნიერების ხარისხის მოსაპოვებლად, გახდა დოქტორიც და პროფესორიც. მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი შრომა, მათ შორის მონოგრაფიები: „პეტრე ბაგრატიონი", „იაკობ ჯუღაშვილი", „ი. ბ. სტალინის მხედართმთავრული ხელოვნება", „საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორია" და სხვ.

ირ. ჯორჯაძემ სამშობლოს აღუზარდა მრავალი გენერალი და სამხედრო მეცნიერი, მისი სამხედრო კონსულტაციით შეიქმნა ცნობილი ორსერიანი მხატვრული ფილმი „ბაგრატიონი" და მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმი „გზა".

ირ. ჯორჯაძე სამხედრო ისტორიით არ იფარგლებოდა, როგორც ავტომატიზებული სისტემის (ასუ) სპეციალისტი იგი ხშირად გამოდიოდა პრესაში სამხედრო საქმეთა და სამშობლოს დაცვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე.

ომგადახდილი გენერალ-ლეიტენანტი ირ. ჯორჯაძე 1979 წ. დიდი დამსახურებისათვის აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

• ირ. ჯორჯაძემ დაიმსახურა „წითელი დროშის" სამი, „სამამულო ომის I ხარისხის" 2, „II ხარისხის" ერთი, „ოქტომბრის რევოლუციის", შრომის წითელი დროშის", „წითელი ვარსკვლავის" ორი ორდენი. აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ორდენები და მრავალი მედალი, მათ შორის. „მოსკოვის დაცვისათვის", „კენიგსბერგის აღებისათვის", „ბერლინის აღებისათვის", „გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

სარჩევი

წინათქმა . . . . . .
1. აბულაძე გრიგოლ იაკობის ძე 4
2. აღამია დაეით ნესტორის ძე 5
3. აზიროეი არტემ იეანეს ძე 5
4. არახამია შოთა გიორგის ძე (ა. აზიროეი) 6
5. ასათიანი ioeeel ერასტის ძე 7
6. აფაქიძე ანდრია ნესტორის ძე 9
7. აღლაძე ანდრია ვასილის ძე (გ. საითიძე) 11
8. ახელედიანი შარდენ ნიკოლოზის ძე (რ. ანდღულაძე) 12
9. ბაბალამეილი იეანე პაელეს ძე (მ. ნათმელაძე) 13
10. ბაჩალიამეილი ირაკლი ელიზბარის ძე (რ. ანდღულაძე) 15
11. ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე 16
12. ბერიძე გრიგოლ მარკოზის ძე (კ. მაჭარამეილი) 17
13. ბოლქეაძე სიმონ სპირიდონის ძე (გ. ჩხაიძე) 18
14. ბრეგაძე გრიგოლ ვასილის ძე (ელ. კუპატაძე) 19
15. ბუაძე შოთა დაეითის ძე (ა. აზიროეი) 20
16. გაბრიჭიძე კარლო ერემიას ძე (რ. ანდღულაძე) 21
17. გაგოიძე ვახტანგ ალექსის ძე 22
18. გარდაფხაძე კარლო კონსტანტინეს ძე (ა. აზიროეი) 23
19. გეგენაეა გრიგოლ ელასის ძე (რ. ანდღულაძე) 24
20. გეგეშიძე მისეილ კირილეს ძე (მ. ნათმელაძე) 25
21. გერიტიშეილი დაეით ელადიმერის ძე (ვ. იეანიძე) 27
22. გოზალიშეილი შალეა ნიკოლოზის ძე (ალ. ირემამეილი) 28
23. გუჩუა ეიქტორ გესას ძე (ი. ჩიქაეა) 29
24. დაეითაია თეოფანე ფარნას ძე 31
25. დეალი რაფიელ რაფიელის ძე 32
26. დიღებულიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (რ. ანდღულაძე) 34
27. დოლიძე გიეი ეალერიანის ძე (რ. ანდღულაძე) 35
28. დუმბაძე მამია ქიშვარდის ძე (ე. კუპატაძე) 36
29. ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე 37
30. ესაიამეილი ეალერიან გიორგის ძე 39
31. ეფრემიძე შოთა პორფილეს ძე (რ. ანდღულაძე) 40
32. ეამაკიძე ეალერიან ელადიმერის ძე (ა. აზიროეი) 40
33. ეამაკიძე ოთარ ნიკოლოზის ძე (რ. ანდღულაძე) 41

34. ვამალომიძე ალექსანდრე პანტელეიმონის ძე (რ. ანდღულაძე) 42
35. ვამაყმაძე მოთა ნოეს ძე (ალ. ირემაშვილი) 43
36. ზაქარიაძე გერმანე ირაკლის ძე 44
37. ზურაბიშვილი ვალერიან სოლომონის ძე 45
38. თოლორაია დომენტი სიმონის ძე 46
39. თურნავა სერგო ერისტოს ძე (ა. აზიროვი) 47
40. თუმაბრამიშვილი დავით მიხეილის ძე (გ. ჩხაიძე) 49
41. იოსელიანი ავთანდილ პაველეს ძე 50
42. იოსელიანი დიმიტრი მელიტონის ძე (ა. აზიროვი) 51
43. კაკულია შალვა თეოფინეს ძე 52
44. კალანდაძე ალექსანდრე პაველეს ძე (ალ. ირემაშვილი) 53
45. კალატოზიშვილი მიხეილ გიორგის ძე (რ. ანდღულაძე) 54
46. კაჭარავა პეტრე მიხეილის ძე (რ. ანდღულაძე) 55
47. კერესელიძე შალვა იასონის ძე (რ. ანდღულაძე) 56
48. კვაშილავა გრიგოლ ერასტის ძე (რ. ანდღულაძე) 57
49. კვეკვესკირი ივანე ბარდღუს ძე 58
50. კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე 60
51. კობახიძე ქიშვარდ ულადიმერის ძე (მ. ბადრიძე) 61
52. კოჩინაშვილი ალექსი ულადიმერის ძე 63
53. კუპრაძე ვიქტორ დიმიტრის ძე (კ. ივანიძე) 64
54. კუჭავა გიორგი დომენტის ძე (რ. ანდღულაძე) 65
55. ლამქარაძე დავით ბესარიონის ძე 66
56. ლომინაძე გიორგი სილოვანის ძე (რ. ანდღულაძე) 67
57. ლორთქიფანიძე იოსებ პაველეს ძე (ალ. ირემაშვილი) 68
58. მაისურაძე ზაქარია პაველეს ძე (რ. ანდღულაძე) 69
59. მამაცაშვილი გიორგი დავითის ძე (რ. ანდღულაძე) 70
60. მაჩაიძე ეროდიონ ილარიონის ძე (კ. ივანიძე) 71
61. მაჭავარიანი ვარდენ მიხეილის ძე (რ. ანდღულაძე) 72
62. მაჭარაშვილი დავით ვასილის ძე (ა. აზიროვი) 73
63. მაჭარაშვილი კარლო შალვას ძე 74
64. მახალდიანი ვახტანგ ვასილის ძე 76
65. მახარაძე ილია სამუელის ძე (კ. მაჭარაშვილი) 77
66. მგელაძე დავით ირაკლის ძე 78
67. მელაშვილი კოტე მიხეილის ძე 79
68. მელქაძე ვალერიან ირაკლის ძე 80
69. მელქაძე ილია იაკობის ძე (ზ. კობახიძე) 81
70. მესხი კალისტრატე ათანასეს ძე (რ. ანდღუალძე) 82

71. მესხია შოთა ამბაკოს ძე 83
72. მირცხულავა ილია იორდანეს ძე 84
73. მისაბიშვილი შოთა ელადიმერის ძე (ნ. ჯომიდავა) 85
74. ნახუცრიშვილი გრიგოლ ლუკას ძე (გრ. აბულაძე) 86
75. ნიკარაძე ალექსანდრე იოანეს ძე (გრ. აბულაძე) 88
76. ონიანი ვასილ სარდიონის ძე (კ. ივანიძე) 89
77. ოქროპირიძე ზურაბ იოსების ძე (რ. ანდღულაძე) 90
78. პაპავა გიორგი ელადიმერის ძე (კ. მაჭარაშვილი) 91
79. პაგარავა დიმიტრი ტროფიმეს ძე (რ. ანდღულაძე) 92
80. ქვანია გრიგოლ კონდრატეს ძე 93
81. სარალიძე ალექსანდრე სევასტის ძე (ზ. კობახიძე) 94
82. სილაგაძე ბესიამინ გიორგის ძე (ე. კუპატაძე) 95
83. სულაქველიძე ვიქტორ სამსონის ძე 97
84. სულხანიშვილი შოთა ვასილის ძე (დ. მგელაძე) 98
85. ტაბატაძე კარლო ტრიგოლის ძე (ე. კუპატაძე) 99
86. ტაბალუა ილია მაქსიმეს ძე 101
87. ფარჯანაძე ალექსანდრე გიორგის ძე (კ. მაჭარაშვილი) 103
88. ფაცურია ანდრია ჯოგოს ძე 104
89. ფეიქრიშვილი იოსებ ფირუმის ძე (რ. ანდღულაძე) 105
90. ფერაძე გიორგი ნიკოლოზის ძე (რ. ანდღულაძე) 106
91. ქარჩავა ელადიმერ ივნეს ძე (ნ. ჯომიდავა) 107
92. ქაჯაია ოთარ მიხეილის ძე (ალ. ღლონტი) 108
93. ქეათაძე კორნელი გერასიმეს ძე 109
94. ქორთუა ნიკოლოზ შელიკონის ძე 110
95. ქოჩორაძე ვახტანგ ალექსანდრეს ძე (გრ. აბულაძე) 111
96. ღლონტი ალექსანდრე ანდრიას ძე 112
97. ყიფიანი როსტომ იასონის ძე (რ. ანდღულაძე) 113
98. ყურაშვილი ბორის ეპიფანეს ძე (ა. აზიროვი) 115
99. შათირიშვილი შოთა ირიდიონის ძე (კ. მაჭარაშვილი) 116
100. ჩარკვიანი ალექსანდრე ილიას ძე 117
101. ჩიქავა იოსებ ლავრენტის ძე 119
102. ჩხაიძე დავით ქრისტეფორეს ძე (რ. ანდღულაძე) 120
103. ჩხარტიშვილი სანდრო დომენტის ძე (ი. ჩიქავა) 121
104. ცამციშვილი ამირან ივნეს ძე 124
105. ცერცვაძე მიხეილ ვასილის ძე 125
106. ციციშვილი გიორგი შალვას ძე (ე. კუპატაძე) 126
107. ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე 127

108. წერეთელი საელე ბერედიქტეს ძე 130
109. ჭაეჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე (ვ. საითიძე) 1332
110. ჭაეჭანიძე ელადიმერ ეალერიანის ძე 133
111. ჭილაშვილი შალეა ექვთიმეს ძე 135
112. ჭიჭინაძე ვახტანგ კონსტანტინეს ძე 136
113. ხახაშვილი შალეა იოანეს ძე (გრ. აბულაძე) 137
114. ხახუტაიშვილი დავით ახმედის ძე (მ. ნათმელაძე) 138
115. ხიდაშელი შალეა ეასილის ძე (გ. საითიძე) 140
116. ხურციძე ნიკა ყარამანის ძე 141
117. ხუციშვილი მირიან ნიკოლოზის ძე 142
118. ჯაბიძე დავით ეასილის ძე 143
119. ჯალაბაძე გიორგი ელადიმერის ძე (გ. ჩხაიძე) 146
120. ჯანჯღავა ეარლამ სოსრამის ძე (მ ბადრიძე) 147
121. ჯაში-ნიკოლოზ უშანგის ძე 150
122. ჯიშიაშვილი ალექსანდრე პავლეს ძე (დ. მგელაძე) 151
123. ჯომიდავა ნიკოლოზ საბას ძე 152
124. ჯორჯაძე ირაკლი იოანეს ძე 153

ნარკვევების დანარჩენი ნაწილის ავტორია კრებულის შემდგენელი გრ. ბრეგაძე

ტირაჟი – 300

ფასი სახელშეკრულებო